

თანამდებობა

თამარ ქვერცხლი

---

სასურალო ტელე

წარდგა ჩაუტას

სასურალო



© თენიგიზ ურუშაძე, თამარ ქვრივიშვილი, 2014

**ISBN 978-9941-450-32-7**

## **სარჩევი**

<b>თავი 1.</b> ნიადაგის პორიზონტები	5
<b>თავი 2.</b> ტაქსონომიური ერთეულების სისტემა	11
<b>თავი 3.</b> ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა პაზა	19
<b>თავი 4.</b> ცალკეული ნიადაგების დიაგნოსტიკა	32
<b>თავი 5.</b> ნიადაგების საველე დიაგნოსტიკის მეთოდები	107

## თავი 1. ნიადაგის პორტფელი

ნიადაგების გენეზისური პორიზონტები შედარებით ერთგვაროვანი ფენებია, რომლებისგანაც შედგება ნიადაგების პროფილი. პორიზონტები ნიადაგნარმოქმნის შედეგია და ურთიერთკავშირში არიან, ამიტომ ეწოდებათ გენეზისური. ისინი ერთმანეთისგან და ნიადაგნარმოქმნელი ქანებისგან განსხვავდებიან მორფოლოგიური ნიშნებით და ანალიზური მონაცემებით (ქიმიური, ფიზიკური, ფიზიკურ-ქიმიური შედეგნილობით), ბიოლოგიური პროცესების მიმდინარეობით. გენეზისური პორიზონტები ნიადაგში ნივთიერებათა შეტანის, გადაადგილების, გამოტანის და გარდაქმნის შედეგად წარმოიქმნებიან. გენეზისური პორიზონტები წარმოადგენენ ნიადაგების კლასიფიკაციის საფუძველს, რის გამოც მათ უწოდებენ დიაგნოსტიკურს.

პორიზონტებს გააჩინიათ სახელწოდება და აღმნიშვნელი ლათინური ასო-ინდექსები. დღემდე მსოფლიო ნიადაგმცოდნეობაში ნიადაგების გენეზისური პორიზონტების ერთიანი კონცეფცია და ნომენკლატურა არ არსებობს.

საქართველოში გამოიყენება ძირითადი გენეზისური პორიზონტების შემდეგი აღნიშვნები და სიმბოლოები:

A<sub>0</sub>-ტყის მკვდარი საფარი ან სტეპის ქეჩა;

A<sub>1</sub>-კორდი;

A - ჰუმუსიანი;

A<sub>2a</sub>- სახნავი;

A<sub>1</sub> - ჰუმუსიან-აკუმულაციური;

A<sub>2</sub> - ელუვიური, აღინიშვნება ასევე E სიმბოლოთი;

B - ილუვიური;

G - ლებიანი;

T - ტორფიანი;

C - დედაქანი;

D - ქვეშნაფენი ქანი.

გენეზისური პორიზონტების უფრო დეტალური აღნიშვნისთვის, მათი გენეზისის ან შედგენილობის ასახვის მიზნით, მოცემულ პორიზონტში ძირითად ანბანურ აღნიშვნებს ემატება ასოები მთავარი სიმბოლოს ქვემოთ, მარჯვნივ. მაგალითად: g აღნიშვნას გალებების ნიშანს, s-მიუთითებს ადვილად ხსნადი მარილების დაგროვებას; კარბონატების არსებობა აღინიშვნება -ca, თაბაშირის-es ინდექსებით. დამატებითი ინდექსების გამოყენება დამოკიდებულია ნიადაგურ პროცესებზე, მაგალითად: f აღნიშვნას გარკინებას, t- გათიხებას, m-მეტა-მორფულ პროცესს.

ცალკეული გენეზისური ჰორიზონტი, თვისებების გამოხატულების სარისხის და წარმომქმნელი ძირითადი პროცესების გამოვლენის მიხედვით, შეიძლება დაყოს ქვეპორიზონტებად. მათ აღსანიშნავად შესაბამისი გენეზისური ჰორიზონტების ძირითადი სიმბოლოები ინომრება ზევიდან ქვევით ანუ გამოიყენება ციფრები. მაგალითად, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, C<sub>1</sub>, C<sub>2</sub>, ზოგჯერ გამოიყენება სხვა დამატებითი სიმბოლოებიც. ჰუმუსიანი ჰორიზონტის ქვეპორიზონტებს აღნიშნავენ ასე: A<sup>I</sup>, A<sup>II</sup>, A<sup>III</sup>.

ნიადაგის პროფილში ასევე გამოიყოფა გარდამავალი ჰორიზონტები, რომლებშიც ერთდროულად ორი ჰორიზონტის ნიშან-თვისებებია გამოხატული და მათ აღნიშნავენ შესაბამისი ორი ასოთი-AB, BC, A<sub>1</sub>A<sub>2</sub> და ა.შ.

ნიადაგმცოდნეთა საერთაშორისო საზოგადოების მიერ შემუშავებულია ნიადაგების ჰორიზონტების სიმბოლოების საერთაშორისო სისტემა:

H - ზედაპირული ჰორიზონტი, რომელიც შედგება ნყლით გაჯერებული ტორფისგან;

O - ზედაპირული ჰორიზონტი, რომელიც შექმნილია დაუშლელი ან ნაწილობრივ დაშლილი ორგანული ნივთიერებისგან;

A - ჰუმუსიანი ჰორიზონტი, რომელშიც გროვდება ნიადაგის მინერალურ ნაწილთან მჭიდროდ დაკავშირებული ჰუმუფიცირებული ორგანული ნივთიერება;

E - ღია ფერის ჰორიზონტი, რომელიც შეიცავს უფრო ნაკლებ ორგანულ ნივთიერებას, თიხას და ერთნახევარუჟანებს, ვიდრე უშუალოდ მისი ქვეშნაფერი;

B - ჰორიზონტი, განთავსებული A ან E-ს და C ან R-ს შორის, მასში დარღვეულია ქანების სტრუქტურა, აკუმულირებულია თიხა ილუვიაციის, გამოფიტვის ახალნარმონაქმნების გზით;

C - ფეხვიერი მასალა ნიადაგის პროფილში, რომელსაც სხვა ჰორიზონტის ნიშნები არ გააჩნია;

G- ლებიანი ჰორიზონტი, რომელიც შეიცავს მუდმივი ჭარბი ტენიანობის შედეგად აღდგენილ ნაერთებს;

R- მკვრივი ნიადაგნარმომქმნელი ქანი.

ნიადაგების ჰორიზონტების სიმბოლოების საერთაშორისო სისტემაში გამოყოფენ ქვეპორიზონტებს: A1, A2, B2 და ა.შ., შერეულ ჰორიზონტებს: A/E, E/B და ა.შ., გარდამავალ ჰორიზონტებს: AE, BC და ა.შ.

სხვადასხვა ნიადაგის გენეზისური ჰორიზონტების მსგავსება დაკავშირებულია ერთიან ნიადაგნარმოქმნის პროცესთან, რომლის ზემოქმედებითაც ისინი ფორმირდებიან. მათ შორის განსხვავებას განა-

პირობებს ნიადაგნარმოქმნის გამოხატულების ხარისხი და მისი შეთანაბყობა სხვა პროცესებთან. ერთი და იგივე გენეზისური ჰორიზონტი შეიძლება განმეორდეს სხვადასხვა ნიადაგში და შესაძლებელია იყოს დიაგნოსტიკური ცალკეული ტიპის ნიადაგისთვის.

გენეზისური ჰორიზონტების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ორგანული და მინერალური ნივთიერებები.

## ჰუმუსიანი და ორგანოგენური ჰორიზონტები

ტორფიანი ჰორიზონტი (T)- წარმოიქმნება ნიადაგის ზედაპირზე, ჭარბი დატენიანების დროს, განსხვავებული ბოტანიკური შედეგენილობისა და დაუშლელი ან ნახევრად დაშლილი მცენარეული ნარჩენებისაგან.

მკვდარი საფარი (A0)- ზედაპირული ფენა, რომელიც გროვდება ტყეში ან ველზე მცენარეების მინისზედა და მინისქვეშა ნარჩენების სახით; სხვადასხვა დროს ჩამოცვენილი მასალის მიხედვით განსხვავებული ხარისხითაა დაშლილი. შედეგენილობის მიხედვით განასხვავებენ წიწვიან, ფოთლოვან და ბალახოვან მკვდარ საფარს.

ეკრდიანი (A1)-მინერალური ჰუმუსიან-აკუმულაციური ზედაპირული ჰორიზონტი, წარმოიქმნება ბალახების ფესვების ნარჩენების დაშლის ხარჯზე, ჰუმუსის დაგროვების შედეგად; მისი მოცულობის ნახევარი ცოცხალი ფესვებისგან შედგება.

მინერალური ჰუმუსიან-აკუმულაციური (A<sub>1</sub>)- ჰორიზონტი უმეტესად მუქი ფერის, მდებარეობს პროფილის ზედა ნაწილში და მასში გროვდება ჰუმუსოვანი ნივთიერებები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ნიადაგის მინერალურ ნაწილთან.

სახნავი ჰორიზონტი (A<sub>2a</sub>)- აგროგენური, ყველა სახნავი ნიადაგის ზედაპირული ჰორიზონტი, 20-30 სმ სისქის, შეცვლილი ხანგძლივი დამუშავების შედეგად. პლანტაციების დროს (მოხვნა 40 სმ-ზე ღრმად) ალინიშნება პლანტაციებული (A<sub>2b</sub>) ჰორიზონტი.

## ელუვიური ჰორიზონტები

გაენერებული (E<sub>1</sub>)-ლია ფერის, მოთეთრო ჰორიზონტი პროფილის ზედა ნაწილში, ორგანოგენური ჰორიზონტების ქვეშ, წარმოიქმნება გაენერების გავლენით. მინერალური ნაწილი მჟავების ზემოქმედებით იშლება ამორფულ პროდუქტებამდე და გამოიტანება ამ ჰორი-

ზონტიდან. ამავდროულად, შეიძლება გამოტანილი იქნას ლექის ფრაქცია წინასწარი დაშლის გარეშე.

ლესივირებული (E<sub>2</sub>)- ლია ფერის ჰორიზონტი პროფილის ზედა ნანილში, მკვდარი საფარის, ჰუმუსიანი ან სახნავი ჰორიზონტის ქვეშ, ნარმოიქმნება ლესივირების გავლენით; სუსტად მჟავე არეს პირობებში ჰორიზონტიდან გამოირცხება ლექის ნანილაკები დაშლის გარეშე.

გასოლოდებული (E<sub>3</sub>)-ლია ფერის, მოთეთრო ჰორიზონტი პროფილის ზედა ნანილში, ჰუმუსიანი ჰორიზონტის ქვეშ, ნარმოიქმნება გასოლოდების შედეგად. ტუტე ხსნარის მოქმედებით იძლება მინერალური ნანილი, შთანთქმის კომპლექსიდან გამოძევდება გაცვლითი ნატრიუმი და გამოიტანება მინერალების დაშლის ამორფული პროდუქტები.

ელუვიურ-ლებინი (E<sub>4</sub>)-ლია ფერის, მოთეთრო ჰორიზონტი პროფილის ზედა და შუა ნანილში, ნარმოიქმნება გალებების გავლენით, ტენის ნანილობრივ ჩამრეცხი რეჟიმის პირობებში მიმდინარეობს მინერალური ნანილის აღდგენითი პროცესები მჟავის ზემოქმედებით და დაშლის პროდუქტები გამოიტანება ჰორიზონტიდან.

## ილუვიური ჰორიზონტები

ილუვიურ-აკუმულაციური (B)- გამკვრივებული და მძიმე მექანიკური შედგენილობის ჰორიზონტი, მდებარეობს პროფილის შუა ნანილში, ჰუმუსოვანი ან ელუვიური ჰორიზონტის ქვეშ.

ილუვიურ-თიხიანი (Bt) - გამკვრივებული და მძიმე მექანიკური შედგენილობის ჰორიზონტი, მდებარეობს ჰუმუსოვანი ან ელუვიური ჰორიზონტის ქვეშ, პროფილის შუა ნანილში და ხასიათდება თიხის დაგროვებით.

ილუვიურ-ჰუმუსიანი (Bh) - ჰუმუსის აკუმულაციის ჰორიზონტი, მუქი ყავისფერი ან მონითალო-ყავისფერი შეფერილობის, მდებარეობს პროფილის შუა ნანილში.

ილუვიურ-რკინიანი (Bf) - მდებარეობს ელუვიური ჰორიზონტის ქვეშ, პროფილის შუა ნანილში, ხასიათდება რკინის დაგროვებით.

ილუვიურ-ალუმინ-რკინა-ჰუმუსიანი (Bfh)- მდებარეობს ელუვიური ჰორიზონტის ქვეშ, პროფილის შუა ნანილში, ხასიათდება ჰუმუსის და ერთნახევარი უანგების დაგროვებით.

ბიცობიანი (Bn<sub>a</sub>) - ძლიერ გამკვრივებული და მძიმე მექანიკური შედგენილობის ჰორიზონტი მდებარეობს პროფილის შუა ნანილში,

ელუვიური ან ჰუმუსიან-ელუვიური ჰორიზონტის ქვეშ, ხასიათდება პრიზმული სტრუქტურითა და მშთანთქავ კომპლექსში გაცვლითი ნატრიუმის მნიშვნელოვანი რაოდენობის შემცველობით.

ქვესახნავი (Bp) - ჰორიზონტი ფორმირებულია უშუალოდ სახნავი ჰორიზონტის ქვეშ, ხანგრძლივად დამუშავებულ ნიადაგებში, ხასიათ-დება გამკვრივებით და მძიმე მექანიკური შედგენილობით.

### მეტამორფული ჰორიზონტები

სიალიტურ-მეტამორფული (Bm) - ნიადაგწარმომქმნელი ქანების შიდანიადაგური გათიხების („in situ“) ჰორიზონტი პროფილის შუა ნაწილში, ხასიათდება თიხის დაგროვებით.

ფერალიტურ-მეტამორფული (Box) - ნიადაგწარმომქმნელი ქანების მინერალების შიდანიადაგური ღრმად დაშლის ჰორიზონტი პროფილის შუა ნაწილში, ჰუმუსიან და სიღრმით ჰორიზონტებს შორის, ხასიათდება კაოლინიტის და ერთნახევარი უანგების დაგროვებით.

დანიდული (V) - ჰორიზონტი პროფილის ზედა ნაწილში, დატენიანების დროს ხასიათდება გაჯირჯვებით, პლასტიკურობით, ნებოვნებით, გამოშრობის დროს -ძლიერი დანაპრალებით, მაღალი სიმკვრივით, სიმაგრით, ბელტოვანი სტრუქტურით.

### აკუმულაციური ჰორიზონტები

მარილიანი (S) - ჰორიზონტი პროფილის ნებისმიერ ნაწილში, დამლაშების (განმლაშების) სტადიისა და ხარისხის მიხედვით, ხასიათდება ადგილად ხსნადი მარილების დაგროვებით.

თაბაშირიანი (Ssc) - ჰორიზონტი პროფილის ქვედა ნაწილში, ხასიათდება თაბაშირის დაგროვებით.

კარბონატული (Scs) - ჰორიზონტი პროფილის შუა და ქვედა ნაწილში, ხასიათდება მეორადი კარბონატების დაგროვებით.

გარკინიანებული (Sf) - ჰორიზონტი პროფილის სხვადასხვა ნაწილში, ხასიათდება რკინის უანგების მაქსიმალური დაგროვებით.

კარბონატულ-კონკრეციული (Skc)-ჰორიზონტი 0,5-5 სმ დიამეტრის, მომრგვალებული, არასწორი ფორმის კარბონატული კონკრეციების მაქსიმალური დაგროვებით.

რკინიან-კონკრეციული ანუ ორტშტეინიანი (Skf) - ჰორიზონტი რკინა-მანგანუმიანი და ჰუმუსიანი შედგენილობის კონკრეციებით.

## ჰიდროგენური ჰორიზონტები

ლებიანი (G) - ჰორიზონტი გალებების ნიშნებით, წარმოიქმნება ჰიდრომორფულ ნიადაგებში, ხანგრძლივი ან მუდმივი დატენიანების და ანაერობულ პირობებში, აღდგენითი პროცესების შედეგად; ახასიათებს მომტრედისფერო, რუხი, მწვანე-ნაცრისფერი შეფერილობა, რკინის და მანგანუმის ქვეუანგების, მოძრავი ალუმინის შემცველობა.

## სილრმითი ჰორიზონტები

ნიადაგწარმომქმნელი ქანი (C) - ნიადაგური პროფილის ყველაზე ღრმა ჰორიზონტი, არ გააჩნია ორგანოგენური, ელუვიური, ილუვიური ან მეტამორფული ჰორიზონტების თვისებები; ზოგიერთ შემთხვევაში ახასიათებს აკუმულაციური ან ლებიანი ჰორიზონტის თვისებები.

ქვეშნაფენი ქანი - ნიადაგწარმომქმნელი ქანების ქვეშ, ზედაპირიდან 2-3 (5) მ-ის საზღვრებში, განასხვავებენ ფხვიერ (D) და მკვრივ (R) ქვეშნაფენ ქანებს. ისინი გამოიყოფა იმ შემთხვევაში, როდესაც გენეზისური ჰორიზონტები წარმოიქმნება ერთ ქანზე, მისი ქვეშმდებარე ქანი კი განსხვავებულია თვისებებით.

ნიადაგების პროფილის თითოეული თანმიმდევრული (ზევიდან-ქვევით) ჰორიზონტის საველე დიაგნოსტიკის დროს აუცილებელია დადგინდება:

1. ჰორიზონტის ინდექსი (საბოლოო და ზუსტი ან მიახლოებითი).
2. ჰორიზონტის სისქე სმ-ით (მითითებული უნდა იყოს სილრმე ჰორიზონტის ზედა საზღვრიდან ქვედა საზღვრამდე).
3. ჰორიზონტებს შორის საზღვრების ფორმა (სწორი, ტალღოვანი, ჯიბიანი, ენოვანი, ჩარეცხილი).
4. ჰორიზონტებს შორის გადასვლის ხასიათი (მკვეთრი, აშკარა, თანდათანობითი).

## თავი 2. ტაქსონომიური ერთეულების სისტემა

ნიადაგების ძირითად ტაქსონომიურ ერთეულს წარმოადგენს გენეზისური ნიადაგური ტიპი.

ნიადაგური ტიპისთვის დამახასიათებელია ძირითადი გენეზისური ჰორიზონტების ერთიანი სისტემა და საერთო თვისებები, რომელიც განპირობებულია ნიადაგნარმოქმნის მსგავსი რეჟიმებითა და პროცესებით.

ნიადაგის გენეზისურ ტიპს მიეკუთვნებიან ნიადაგები, რომელიც ვითარდებიან ერთი ტიპის ბიოლოგიურ, კლიმატურ და ჰიდროლოგიურ პირობებში, გარკვეული ჯგუფის ნიადაგნარმომქმნელ ქანებზე და ხასიათდებიან ნიადაგნარმოქმნის ძირითადი პროცესის მკაფიო გამოვლენით.

ნიადაგური ტიპი გამოიჩინევა: 1) ორგანული ნივთიერებების ჩართვის, მათი გარდაქმნის და გახრწნის პროცესების ერთნაირი ტიპით; 2) მინერალური მასის დაშლის, მინერალური და ორგანულ-მინერალური ახალქმნილებების სინთეზის ერთნაირი ტიპის კომპლექსით; 3) ნივთიერებების მიგრაციის და აკუმულაციის ერთნაირი ტიპის ხასიათით; 4) ნიადაგური პროფილის ერთნაირი ტიპის შენებით; 5) ნიადაგების ნაყოფიერების შენარჩუნების და ამაღლების მსგავსი მიმართულების ღონისძიებებით.

ნიადაგური ტიპის ეს განმარტება გულისხმობს, რომ გენეზისურ საფუძველზე ნიადაგების კლასიფიკაციის დამუშავებასთან ერთად, უნდა ხდებოდეს უმთავრესი ნიადაგური თვისებების და პროცესების ტიპზაკია-დაჯგუფება.

ნიადაგურ ტიპზე უფრო დაბალი ტაქსონომიური ერთეულებია: ქვეტიპი, გვარი, სახეობა, სახესხვაობა და თანრიგი.

ქვეტიპი გამოიყოფა ტიპის ფარგლებში. ეს არის ნიადაგების ჯგუფი, რომელიც ხარისხობრივად განსხვავდება ძირითადი და თანმდევი ნიადაგნარმოქმნის პროცესების გამომულავნებით და გარდამავალი საფეხურია ტიპებს შორის. ქვეტიპის ტაქსონომიური ერთეული ხასიათდება ძირითადი გენეზისური ჰორიზონტების ხარისხობრივი მოდიფიკაციით, რაც გამოიხატება გენეზისურ ნიშნებში. რაოდენობრივი მაჩვენებლები დაიგნოსტიკურ კრიტერიუმებად არ გამოიყენება.

გვარები გამოიყოფა ქვეტიპის ფარგლებში. მათი ხარისხობრივი გენეზისური თავისებურებანი განისაზღვრება ადგილობრივი პირობების კომპლექსის გავლენით: ნიადაგნარმომქმნელი ქანების შედგენილობით, გრუნტის წყლების ქიმიზმით და ა.შ. გამოფიტვისა და ნიადაგნარმოქმნის ნინამორბედი ფაზების პროცესში შეძენილია ნია-

დაგწარმოქმნის სუბსტრატის თვისებები (რელიქტური ჰორიზონტები და ძველი ნიადაგნარმოქმნის ნიშნები). გვარის ტაქსონომიური ერთეული გამოიყოფა ანალიტიკური მონაცემების საფუძველზე ანუ იმის მიხედვით, რაც არ დაგინდება საველე პირობებში.

სახეობა გამოიყოფა გვარის ფარგლებში. სახეობები განსხვავდებიან ნიადაგნარმოქმნის პროცესის განვითარების ხარისხითა (გაენერების ხარისხი, ჰუმუსირების სილრმე და ხარისხი, დამლაშების ხარისხი და ა.შ.) და მათი ურთიერთობავაშირით. სახეობა ასახავს ნიადაგების ტიპებისა და ქვეტიპებისათვის დამახასიათებელი ნიშნების ლოკალიზაცია-გამოხატულების ხარისხის რაოდენობრივ მაჩვენებლებს.

სახეობები ჰუმუსოვანი ჰორიზონტის სისქის (სმ) მიხედვით:  
ღია ჰუმუსოვანი ჰორიზონტის მქონე ნიადაგებისთვის:

მცირე სისქის	<10
საშუალო სისქის	10 - 20
სქელი	20 - 30

მუქი ჰუმუსოვანი ჰორიზონტის მქონე ნიადაგებისთვის:

ძალიან მცირე სისქის	< 30
მცირე სისქის	30 - 50
საშუალო სისქის	50 - 80
სქელი	80 - 120

ტორფიანი ჰორიზონტის (სმ) სისქის მიხედვით:

მცირედ ტორფიანი	10 - 20
ტორფიანი	20 - 30
ღლიერ ტორფიანი	30 - 50

სახნავი ფენის სისქის (სმ) მიხედვით:

მცირედ სახნავიანი	<20
საშუალოდ სახნავიანი	20 - 30
ღრმად სახნავიანი	30 - 40

სახეობები პროფილში გალებების სილრმის და ადგილის მიხედვით:

ღრმად გალებებული - ქანისკენ გარდამავალ ჰორიზონტში (100-130 სმ)

ზედაპირულად გალებებული - ზედაპირული ჰორიზონტისა და  
მის ქვეშ მდებარე ჰორიზონტში (50 სმ ზემოთ)  
პროფილურ გალებებული - პროფილის მთელ სიღრმეში.

ბიცობი ნიადაგის სახეობები ბიცობიან-ელუვიური (ბიცობიანი ჰორიზონტის ქვეშ მდებარე მასის) სისქის (სმ) მიხედვით:

ქერქიანი	< 5
მცირე სისქის	5-10
საშუალო სისქის	10-20
ღრმა	> 20

სახეობები კარბონატების განლაგების (10% HCL შხუილის) სიღრმის (სმ) მიხედვით:

კარბონატული	< 30
სუსტად გამოტუტული	30-50
საშუალოდ გამოტუტული	50-80
ძლიერ გამოტუტული	> 80

სახეობები ადვილადხსნადი მარილების განლაგების სიღრმის (სმ) მიხედვით (ურწყავ დამლაშებულ ნიადაგებში):

მლაშობი	0-30
მლაშობიანი	30-80
სიღრმით მლაშობიანი	80-150
სიღრმით დამლაშებული	>150

სახეობები ადვილადხსნადი მარილების განლაგების სიღრმის (სმ) მიხედვით (სარწყავ დამლაშებულ ნიადაგებში):

მლაშობი	0-50
მლაშობიანი	50-100
სიღრმით დამლაშებული	100-200

სახეობები ბიცობიანობის ხარისხის (შთანთქმის ტევადობიდან გაცვლითი ნატრიუმის რაოდენობის %) მიხედვით:

არ არის ბიცობიანი	<3
სუსტად ბიცობიანი	3-5
საშუალოდ ბიცობიანი	5-10
ძლიერ ბიცობიანი	10-15

სახეობები თაბაშირიანი ჰორიზონტის სისქის (სმ) მიხედვით:

მცირე სისქის	40
საშუალო სისქის	40-100
სქელი	100

სახეობები თაბაშირის შემცველობის (%) მიხედვით:

საშუალოდ თაბაშირიანი	10-20
ძლიერ თაბაშირიანი	20-40
ძალიან ძლიერ თაბაშირიანი	40

სახეობები თაბაშირიანი ჰორიზონტის ზედა საზღვრის სიღრმის (სმ) მიხედვით:

ზედაპირულთაბაშირიანი	20-60
არალრმად თაბაშირიანი	60-100
სიღრმით თაბაშირიანი	100-200

სახეობები ტორფის გახრწნის ხარისხის (%) მიხედვით:

ტორფიანი	<25
ნეშომპალა-ტორფიანი	25-50
ტორფიან-ნეშომპალიანი	50-75
ნეშომპალიანი	>7

სახესხვაობა განისაზღვრება ნიადაგური ჰორიზონტების და ნიადაგნარმომქმნელი ქანების მექანიკური (გრანულომეტრული) შედგენილობით. სახესხვაობის ტაქსონომიური ერთეული გამოსახავს ნიადაგების დაყოფას ასევე პროფილის ხირხატიანობისა და ქვიანობის მიხედვით.

მექანიკური ფრაქციების კლასიფიკაცია ზომების (მმ) მიხედვით:	
ხირხატი (ხრეში, ლორლი, ქვა)	>1
მსხვილი ქვიშა	1-0,5
საშუალო ქვიშა	0,5-0,25
ნვრილი ქვიშა	0,25-0,05
მსხვილი მტვერი	0,05-0,01
საშუალო მტვერი	0,01-0,005
ნვრილი მტვერი	0,005-0,001
ლექი	<0,001

სახესხვაობები მექანიკური (გრანულომეტრული) შედგენილობის (ფიზიკური თიხის ნაწილაკების- <0,01 მმ რაოდენობა %) მიხედვით:

მძიმე თიხა	>80
საშუალო თიხა	65-80
მსუბუქი თიხა	50-65
მძიმე თიხნარი	40-50
საშუალო თიხნარი	30-40
მსუბუქი თიხნარი	20-30
ქვიშნარი	10-20
ქვიშა	0-10

ნიადაგების სახესხვაობების შედარებით დეტალური დაყოფა ჭარბი მექანიკური ფრაქციის მიხედვით:

მძიმე თიხები

მტკრიან-ლამიანი  
ლამიან-მტკრიანი

საშუალო და მსუბუქი თიხები

მტკრიან-ლამიანი  
ლამიან-მტკრიანი  
მსხვილმტკრიან-ლამიანი  
ლამიან-მსხვილმტკრიანი

მსუბუქი თიხები

მტკრიანი  
მსხვილმტკრიანი  
ლამიან-ქვიშიანი

მძიმე და საშუალო თიხნარები

-ლამიანი  
ლამიან-მტკრიანი  
მსხვილმტკრიან-ლამიანი  
ლამიან-მსხვილმტკრიანი  
მტკრიანი  
მსხვილმტკრიანი  
ქვიშიან-მტკრიანი  
ლამიან-ქვიშიანი  
მტკრიან-ქვიშიანი

## მსუბუქი თიხნარები

მსხვილმტვრიანი  
ლამიან-ქვიშიანი  
მტვრიან-ქვიშიანი  
ქვიშიანი  
ხრეშიან-ქვიშიანი

## ქვიშნარები

მსხვილმტვრიანი  
ლამიან-ქვიშიანი  
მტვრიან-ქვიშიანი  
ქვიშიანი  
ხრეშიან-ქვიშიანი

## ქვიშები

წვრილმარცვლიანი  
წვრილმარცვლიან-მსხვილმტვრიანი  
წვრილმარცვლიანი ლამიან-ქვიშიანი  
საშუალომარცვლიანი  
საშუალომარცვლიანი ხრეშიანი  
მსხვილმარცვლიანი  
წვრილმარცვლიანი ხრეშიანი  
მსხვილმარცვლიანი ხრეშიანი

სახესხვაობები ხირხატიანობის ხარისხის (%) მიხედვით:

სუსტად ხირხატიანი	5-10
საშუალოდ ხირხატიანი	10-20
ძლიერ ხირხატიანი	20-50
ძალიან ძლიერ ხირხატიანი	> 50

სახესხვაობები ქვიანობის მიხედვით (იგულისხმება ≥5 სმ ზო-  
მის ქვების შემცველობა):

1. ნიადაგის ზედაპირის ქვიანობის (%) ხარისხის მიხედვით:

ზედაპირულად სუსტად ქვიანი	>10
ზედაპირულად საშუალოდ ქვიანი	10-20
ზედაპირულად ძლიერ ქვიანი	20-40
ზედაპირულად ძალიან ძლიერ ქვიანი	>40

2. სახნავ ფენაში (0-30 სმ) ქვების შემცველობის მიხედვით (სა-  
ერთო დაქვიანება- მ<sup>3</sup> ჰა-ზე):

ძალიან სუსტად ქვიანი	5
სუსტად ქვიანი (მცირედ ქვიანი)	5-20
საშუალოდ (ზომიერად) ქვიანი	20-50
ძლიერქვიანი (ბევრქვიანი)	50-100
ძალიან ძლიერ ქვიანი (ძალიან ბევრქვიანი)	>100

3. პროფილში ქვიანობის გამოვლენის სიღრმის (სმ) მიხედვით:

ზედაპირიდან ქვიანი	0-30
არა ღრმაქვიანი	30-50
სიღრმით ქვიანი	50-100

თანრიგი განისაზღვრება ნიადაგის წვრილმინიანი პროფილის  
სიმძლავრით; თანრიგის ტაქსონომიურ ერთეულში ნიადაგები  
ასევე დაჯგუფებულია ნიადაგნარმოქმნელი და ქვეშნაფენი ქა-  
ნების გენეზისური თვისებების (მკვრივი ქანები, მორენული, ალუ-  
ვიური და ა.შ.) მიხედვით.

ნიადაგის თანრიგები წვრილმინიანი პროფილის სიმძლავრის  
(სმ) მიხედვით:

სუსტად განვითარებული პროფილით	30-50
საშუალოდ განვითარებული პროფილით	50-80
ღრმად განვითარებული პროფილით	80-120
მძლავრი პროფილით	>120

ნიადაგნარმომქნელი ქანის გენეზისური ტიპის მიხედვით გა-  
მოყოფენ შემდეგი თანრიგის ნიადაგებს:

განვითარებული ლიოსისებრ თიხნარებზე,  
ალუვიური,  
ვულკანური,  
მორენული,  
ტბური,  
ეოლური,  
ფლუვიაგლაციალური,  
ზღვიური,  
ორგანოგენური,  
ელუვიური,  
დელუვიური,  
პროლუვიური.

იმ შემთხვევაში თუ ნიადაგური პროფილი ფორმირდება ორწევ-  
რიან ანდა შრეობრივ ნაფენებზე, ითვალისწინებენ ლითოლოგიურ  
შრეებს, რომელთაც აღნიშნავენ რომაული ციფრების სიმბოლოებით  
(აღნიშვნა იწყება II-დან), გენეზისური ჰორიზონტების ინდექსების  
წინ.

### **თავი 3. ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის არსი.**

#### **ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის არსი.**

ნიადაგის საერთაშორისო კლასიფიკაციას საფუძველად უდევს ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზა (WRB). მსოფლიო მონაცემთა ბაზის არსი მდგომარეობს ნიადაგების გენეზისურობის პრინციპში, რომელიც გულისხმობს ნიადაგების დაჯგუფებას პროფილის შეფასების მიხედვით. კლასიფიკაციის ამგვარი პრინციპი საშუალებას იძლევა ნიადაგების გენეზისური თავისებურებების საფუძველზე განხორციელდეს ნიადაგური ტაქსონომიების დიაგნოსტიკა.

1998 წელს წიგნის სახით გამოიცა მსოფლიო მონაცემთა ბაზის პირველი სამუშაო-ტექნიკური დოკუმენტი, რომელიც ითარგმნა მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე, მათ შორის, 2005 წელს ითარგმნა და გამოიცა ქართულ ენაზე. 2006 წელს განახლდა აღნიშნული გამოცემა, რომელშიც წარმოდგენილია 32 ნიადაგური ჯგუფი (დამატებულია ტექნიკოსოლები და სტაგნოსოლები), ნაცვლად წინა ვერსიაში დაფიქ-სირებული 30 ჯგუფისა. ორივე ვერსიაში დაცულია ტაქსონომიური ერთეულების იერარქია. ნიადაგური ჯგუფები ასოცირებულია ტიპებთან, რომლებიც პრეფიქსებად და სუფიქსებად წარმოდგენილი კვალიფიკატორების მეშვეობით იყოფიან უფრო დაბალი დონის ერთეულებად.

1998-2006 წწ ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზამ მიიღო ნიადაგების კლასიფიკაციისა და ნომენკლატურის ოფიციალური სისტემის სტატუსი. ზოგიერთ ქვეყანაში (იტალია, მექსიკა, ნორვეგია, პოლონეთი, ვიეტნამი) იგი აღიარებული იქნა ძირითად ნიადაგურ კლასიფიკაციად.

ნიადაგის მსოფლიო მონაცემთა ბაზა არ გულისხმობს ეროვნული საკლასიფიკაციის სისტემების შეცვლას. მისი მიზანია საერთო მახასიათებლების მოქებნა, რომელთა მიხედვითაც განხორციელდება ეროვნული კლასიფიკაციებისა და მონაცემთა ბაზის ტაქსონომიური ერთეულების შეჯერება.

ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზა მოიცავს სისტემატიკის ორ დონეს: 1. ნიადაგური ჯგუფები და 2. ნიადაგური ჯგუფების კომბინაცია კვალიფიკატორებთან (პრეფიქსები და სუფიქსები), რომელთა მრავალგვარობა განაპირობებს ნიადაგური ჯგუფების შედარებით დეტალურ დახასიათებას.

პრეფიქსები წინ ერთვის ნიადაგური ჯგუფის ძირითად სახელწოდებას, სუფიქსები კი გამოიყენება დასახელების შემდეგ. პრეფიქსებში გაერთიანებულია მოცემული ჯგუფისთვის ტიპური ან სხვა ჯგუ-

ფისკენ გარდამავალი კვალიფიკატორები, მათი დანარჩენი ნაწილი კი მიეკუთვნება სუფიქსებს.

მსოფლიო მონაცემთა ბაზა ეფუძნება ნიადაგების თვისებების ერთიანობას, რომელიც იყოფა სამ კატეგორიად: 1. დიაგნოსტიკური ჰორიზონტები; 2. დიაგნოსტიკური ნიშან-თვისებები; 3. დიაგნოსტიკური მასალა ანუ სუბსტრატი.

## **ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის ნიადაგური ჯგუფების მოკლე განმარტებები**

თანამედროვე საერთაშორისო მონაცემთა ბაზა მოიცავს ნიადაგური ჯგუფების 32 მონაცემს.

1. პისტოსოლები – ნიადაგები, რომლებსაც გააჩნიათ ღრმა ორგანული ჰორიზონტი და ორგანული ნივთიერების მაღალი მემცველობა. ისინი ფორმირდებიან ორგანულ დიაგნოსტიკურ სუბსტრატზე (მშრალ და ტენიან პირობებში დედამინის ზედაპირზე დაგროვილი ორგანული ნარჩენები). მინერალური კომპონენტები სუსტ გავლენას ახდენენ ნიადაგების თვისებებზე.
2. - 3. ანთროსოლები და ტექნოსოლები – ამ ჯგუფებში გაერთიანებულია ყველა ხელოვნური ნიადაგი, რომელთა მორფოლოგიური ნიშნები და ანალიზური მახასიათებლები ძლიერ ცვალებადობენ. ამ ნიადაგებს გააჩნიათ ერთი საერთო მახასიათებელი-მათი თვისებები რადიკალურად შეცვლილია ადამიანის ზემოქმედების შედეგად.
4. ანდოსოლები – ნიადაგები, რომლებიც ფორმირდებიან ვულკანურ რეგიონებში და ვულკანოგენურ ქანებზე, თუმცა ისინი ასევე წარმოიქმნებიან არავულეანურ ნალექებზეც (ლიისები, ფერალიტური გამოფიტვის პროდუქტები). ანდოსოლებს გააჩნიათ ვიტრიკ ან ანდიკ თვისებების მქონე დიაგნოსტიკური ჰორიზონტები.
5. არენოსოლები – ქვიშიანი ნიადაგები, რომლებშიც სუსტად ან საერთოდ არ არის გამოხატული ნიადაგნარმოქმნის ნიშნები.
6. გერტისოლები – ნიადაგები ფორმირდებიან ისეთ დედაქანებზე, რომლებიც ხასიათდებიან გაჯირჯვების უნარის მქონე თიხების მაღალი შემცველობით. მათი პროფილის შენებაში მონაწილეობს დიაგნოსტიკური ჰორიზონტი ვერტიკი და ახასიათებთ კარგად გამოხატული პერიოდული დანაპრალება.

7. ფლუვისოლები – ნიადაგები, რომლებიც ფორმირდებიან ალუ-ვიურ დანალექ ქანებზე, ხასიათდებიან შრეობრიობით და შეი-ცავენ ფლუვიკ დიაგნოსტიკურ მასალას.
8. გლეისოლები – ნიადაგები, რომელთა პროფილში ადგილი აქვს მუდმივ ან დროებით გადატენიანებას და შეინიშნება გლეიკ დიაგნოსტიკური ნიშან-თვისება.
9. ლეპტოსოლები – მცირე სისქის, ხირხატიანი ნიადაგები, რომ-ლებიც ფორმირდებიან დაურღვეველ მკვრივ ან კარბონატულ ქანებზე.
10. რევოსოლები – ნიადაგები, რომლებიც არ არიან გაერთიანე-ბული არცერთ სხვა ნიადაგურ ჯგუფში, ფორმირდებიან ფხვიერ ქანებზე და გააჩნიათ სუსტად განვითარებული პრო-ცილი.
11. კამბისოლები – სუსტად და ზომიერად განვითარებული ნია-დაგები, რომლებშიც გამოვლენილია ნიადაგნარმოქმნის საწყისი ნიშნები, ისინი ძირითადად გავრცელებულია ფერდო-ბებზე და გააჩნიათ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი კამბიკი.
12. პლინტისოლები – წითელი და ყვითელი ფერის ნიადაგები უმე-ტესად ფორმირდებიან ძველი გამოფიტვის ზედაპირზე. მათი პროფილის შენებაში მონაწილეობს ჰორიზონტი, რომელიც მდებარეობს ზედა ჰორიზონტის ქვეშ და შედგება ახალნარ-მოქმნილი თიხის, რკინის უანგისა და კვარცის ნარევისგან.
13. ფერალისოლები – წითელი და ყვითელი ფერის ნიადაგები ფორმირდებიან ლრმა გამოფიტვის ქერქზე, ხასიათდებიან მდგრადი ფიზიკური თვისებებით, კალონიტისა და ერთნახე-ვარი უანგების სიჭარბით. ამ ჯგუფის ნიადაგების შუა ჰორი-ზონტები გამოიჩინევიან გაცვლითი კატიონების დაბალი ტე-ვადობით.
14. ნიტისოლები – ტენიან ტროპიკულ და სუბტროპიკულ რეგიო-ნებში გავრცელებული წითელი და ყვითელი ფერის კარგად განვითარებული ნიადაგები, პირველადი მინერალების საემა-ოდ მაღალი შემცველობით. ისინი ხასიათდებიან სპეციფიკუ-რი სტრუქტურით (კაკლოვანი სტრუქტურული აგრეგატები მბრწყინავი ზედაპირებით) და დიაგნოსტიკური ნიტიკ ჰორი-ზონტის არსებობით.
15. ალისოლები – ტენიან ტროპიკულ და სუბტროპიკულ რეგიო-ნებში გავრცელებული წითელი და ყვითელი ფერის ნიადაგე-ბი, რომელთაც გააჩნიათ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი არჯი-

- კი, ხასიათდებიან გაცვლითი კატიონების მაღალი ტევადობით და გაცვლითი Al-ის მაღალი შემცველობით.
16. აკრისოლუები – ტენიან ტროპიკულ და სუბტროპიკულ რეგიონებში გავრცელებული ძლიერ გამოტუტული წითელი და ყვითელი ფერის ნიადაგები, რომლებიც ფორმირდებიან მუავე ქანებზე, ხასიათდებიან ფუძეების არამაძლრობით, გაცვლითი კათიონების დაბალი ტევადობით და დიაგნოსტიკური არჯიყობრივი ჰარიტონტის არსებობით.
  17. ლიკსისოლუები – ტენიან ტროპიკულ და სუბტროპიკულ რეგიონებში გავრცელებული წითელი და ყვითელი ფერის ნიადაგები, რომლებიც ხასიათდებიან დაბალი გაცვლითი ტევადობით და ფუძეების მაძლრობის მაღალი ხარისხით.
  18. სოლონჩაკები – მშრალ და ნახევრად მშრალ რეგიონებში გავრცელებული ნიადაგები, რომლებშიც მაღალია ადვილად ხსნადი მარილების შემცველობა და ახასიათებთ დიაგნოსტიკური სალიკ ჰორიზონტის არსებობა.
  19. სოლონეცები – მშრალ და ნახევრად მშრალ რეგიონებში გავრცელებული ნიადაგები, რომლებშიც მაღალია გაცვლითი Na-ის შემცველობა და გააჩნიათ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი ნატრიკი.
  20. გიფსისოლუები – მშრალი და ნახევრად მშრალ რეგიონებში გავრცელებული ნიადაგები, რომლებიც ხასიათდებიან თაბაშირის მეორადი დაგროვებით.
  21. დიურისოლუები – მშრალ და ნახევრად მშრალ რეგიონებში გავრცელებული ნიადაგები, რომლებსაც გააჩნიათ კაჟმინით შეცემენტებული ახალწარმონაქმნები.
  22. კალცისოლუები – მშრალ და ნახევრად მშრალ რეგიონებში გავრცელებული ნიადაგები, რომლებიც მდიდარია მეორადი კარბონატებით, გააჩნიათ კალციკ და პეტროკალციკ დიაგნოსტიკური ჰორიზონტები.
  23. ჩერნოზიომები – სტეპის ზონაში გავრცელებული ნიადაგები, რომლებიც ხასიათდებიან სქელი, მუქი შეფერილობის ჰუმუსით მდიდარი ზედა ჰორიზონტით და პროფილის შუა ნანილში კარბონატების შემცველობით. მათ გააჩნიათ დიაგნოსტიკური ჰორიზონტები ვორონიკი და კალციკი.
  24. კაშტანაზიომები – მშრალი სტეპის ზონაში გავრცელებული ნიადაგები, რომლებიც ხასიათდებიან მუქი მორუხო-ყავისფერი ზედა ჰორიზონტით, გარკვეულ სიღრმეზე კარბონატების

და/ან თაბაშირის არსებობით. მათ გააჩნიათ დიაგნოსტიკური ჰორიზონტები მოლიკი და კალციკი.

25. ფაიოზიომები – სტეპის ზონაში გავრცელებული ნიადაგები, რომლებიც ხასიათდებიან ფუძეების მაღალი მაძლრობით, მათ პროფილში არ შეიმჩნევა კარბონატების მეორადი აკუმულაციის ნიშნები და გააჩნიათ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი მოლიკი.
26. პოდზოლები – ზომიერად ტენიან პირობებში გავრცელებული მჟავე ნიადაგები, რომლებსაც ახასიათებთ მოთეთრო ელუვიური ჰორიზონტი. მის ქვეშ მდებარეობს მოშავო-ყომრალი შეფერილობის, ილუვიური ალუმინ-რკინა-ორგანული ნივთიერებების შემცველი ჰორიზონტი. ამ ჯგუფის ნიადაგებს გააჩნიათ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი სპოლიკი.
27. პლანოსოლები – გასოლოდებული ნიადაგები, რომლებიც გავრცელებულია ზომიერად ტენიან პირობებში, ხასიათდებიან მოთეთრო ჰორიზონტის არსებობით, რომელიც მდებარეობს ზედაპირული ჰორიზონტის ქვეშ და ფარავს სუსტად გამტარ, მკვრივ ფენას.
28. ალბელუვისოლები – ზომიერად ტენიან რეგიონებში გავრცელებული ნიადაგები, ხასიათდებიან მჟავე რეაქციით და მოთეთრო ჰორიზონტის ენისებრი საზღვრით. ნიადაგებს გააჩნიათ თიხით მდიდარი არჯიკ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი.
29. ლუვისოლები – ზომიერად ტენიან რეგიონებში გავრცელებული ნიადაგები, ხასიათდებიან ფუძეების მაღალი მაძლრობით და არჯიკ დიაგნოსტიკური ჰორიზონტის არსებობით, რომელშიც მნიშვნელოვნად გროვდება თიხა.
30. სტაგნოსოლები – ზომიერად ტენიან რეგიონებში გავრცელებული ნიადაგები, რომლებიც წარმოიქმნებიან პერიოდულად ზედაპირული დატენიანების პირობებში და ხასიათდებიან სტაგნიკ დიაგნოსტიკური ნიშან-თვისებებით.
31. უმბრისოლები – ზომიერად ტენიან რეგიონებში გავრცელებული ნიადაგები, რომლებიც ხასიათდებიან მჟავე რეაქციით და მუქი ფერის, ორგანული ნივთიერების მაღალი შემცველობის ზედა ჰორიზონტით. ნიადაგებს გააჩნიათ დიაგნოსტიკური ჰორიზონტები უმბრიკი და მოლიკი.
32. ერიოსოლები – ამ ჯგუფში გაერთიანებულია ნიადაგები, რომელთა პროფილში მუდმივი მზრალობა შეიმჩნევა ზედაპირიდან 100 სმ სიღრმემდე.

## **დიაგნოსტიკური ჰორიზონტების, ნიშან-თვისებების, სუბსტრატებისა და კვალიფიკატორების მოკლე მიმოხილვა**

დიაგნოსტიკური ჰორიზონტები და ნიშან-თვისებები ხასიათდებიან განსაზღვრული ხარისხობრივ-რაოდენობრივი მაჩვენებლებით (ორგანული ნივთიერების შემცველობა, ფუძეებით მაძლრობის ხარისხი, სისქე, მინერალური, ქიმიური და მექანიკური (გრანულომეტრული) შედგენილობის თავისებურებანი), რომელთა შეხამება ასახავს ნიადაგნარმოქმნის პირობებსა და პროცესს. დიაგნოსტიკური სუბსტრატები ნიადაგნარმოქმნელი ქანებია, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ ნიადაგნარმოქმნელ პროცესებზე. ნიადაგების თანამედროვე სისტემატიკაში დიაგნოსტიკური ჰორიზონტების, ნიშნებისა და სუბსტრატის საფუძველზე გამოყოფენ ნიადაგურ ჯგუფებს (ნიადაგური ჯგუფი არის ტაქსონომიური ერთეული, რომელიც თავისი არსით ახლოსაა ნიადაგურ ტიპთან).

საველე დიაგნოსტიკის ფარგლებში აუცილებელია დიაგნოსტიკური ჰორიზონტების, ნიშან-თვისებებისა და სუბსტრატის ერთიანი მორფოლოგიური აღწერა. ნიადაგების დიაგნოსტიკის დასაზუსტებლად მიმართავენ დამატებითი მახასიათებლების გამოვლენას საველე და ლაბორატორიულ პირობებში.

ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის ნიადაგური ჯგუფების ძირითად დასახელებებს, შედარებით სრულყოფილი და დამატებითი დიაგნოსტიკისთვის, ემატება ერთი ან მეტი კვალიფიკატორი. ისინი გამოხატავენ ჰორიზონტის სისქისა და დიაგნოსტიკური ნიშან-თვისებების გამოვლენის ხარისხს.

## **დიაგნოსტიკური ჰორიზონტები**

**მოლიკი - ჰუმუსიან-აკუმულაციური ზედაპირული ჰორიზონტი,** ხასიათდება რუხი, მუქი-რუხი ან შავი შეფერილობით, ორგანული ნივთიერების მაღალი შემცველობით, მარცვლოვანი ან წვრილყომ-ტოვანი სტრუქტურით,  $>50\%$  ფუძეების მაღლრობით. მოლიკის საველე დიაგნოსტიკას ამარტივებს მუქი შეფერილობა და კარგად გამოხატული მარცვლოვანი ან წვრილყომტოვანი სტრუქტურა, რაც მიუთითებს ფუძეებით მაძლრობაზე.

**უმბრიკი - ჰუმუსიან-აკუმულაციური ზედაპირული ჰორიზონტი,** ხასიათდება მოლიკის მსგავსი შეფერილობით, სისქით და ორგანული ნივთიერების შემცველობით. მისგან განსხვავდება სტრუქტურით და  $<50\%$  ფუძეებით მაძლრობით. უმბრიკის ძირითადი დიაგნოსტიკური ნიშნებია მუქი შეფერილობა და სტრუქტურა, რომელიც გაცილებით

უარესადაა გამოხატული მოლიკთან შედარებით. უმბრიკის დიდ ნანილს აქვს მჟავე რეაქცია (წყლის გამონანური 1:2,5), pH მაჩვენებელი 5,5-ზე დაბალია, რაც შეესაბამება 50%-ზე ნაკლებ ფუძეებით მაძლრობას.

**კორონიკი – ნარმოადგენს** მოლიკის განსაკუთრებულ ტიპს. ეს არის სქელი, თოთქმის შავი, კარგად გასტრუქტურებული ჰუმუსიანაკუმულაციური ზედაპირული ჰორიზონტი, ახასიათებს ფუძეებით მაძლრობის მაღალი ხარისხი, ორგანული ნივთიერების დიდი რაოდენობით აკუმულაცია და მაღალი ბიოლოგიური აქტიურობა. საველე პირობებში მარტივად განისაზღვრება შავი ფერისა და მარცვლოვანი სტრუქტურის მიხედვით. მოლიკისგან განსხვავდება ორგანული ნივთიერების უფრო მეტი შემცველობით და შედარებით მუქი შეფერილობით.

**პისტიკი – ტორფიანი ზედაპირული ჰორიზონტი**, წყლით გაუდენ-თილი წლის რომელიმე სეზონში (როცა ადგილი არა აქვს ხელოვნურ დრენირებას), ორგანული ნახშირბადის შემცველობა მინიმუმ 20%.

**ანთრიკი – მუქი შეფერილობის ზედა ჰორიზონტი**, რომელიც ნარმოიქმნება ხანგრძლივი გაკულტურების (მოხვნა, მოკირიანება, სასუქების შეტანა და სხვ.) შედეგად.

**ანდიკი – ჰორიზონტი შეიძლება იყოს ზედაპირული და ასევე გვევდება პროფილის სიღრმეშიც.** ნარმოიქმნება პიროკლასტური ნალექების ზომიერი გამოფიტვის შედეგად. ზედაპირული ანდიკ ჰორიზონტები შეიცავს ორგანულ ნივთიერებას დიდი რაოდენობით (>5%), აქვთ ძალიან მუქი შეფერილობა, ახასიათებთ ფხვიერი აგერძულება და დაბალი მოცულობითი ნონა. სიღრმითი ანდიკ ჰორიზონტი უფრო ღია ფერისაა. გამოყოფენ ანდიკის ორ ტიპს: 1. სილ-ანდიკი-გამოირჩევა ალოფანების სიჭარბით, რეაქცია ცვალებადობს მჟავე არედან ნეიტრალურამდე; 2. ალუ-ანდიკი-ხასიათდება ალუმინ-ორგანული კომპლექსური ნაერთებით, რეაქცია მერყეობს ძლიერ მჟავედან მჟავე არემდე.

**ნიტიკი – თიხით მდიდარი ჰორიზონტი**, მდებარეობს ზედაპირული ჰორიზონტის ქვეშ, ხასიათდება მძიმე თიხნარი ან უფრო მძიმე გრანულომეტრული შედგენილობით, წითელი ან ყვითელი ელფერით, კარგად გამოხატული კაკლოვანი ან ბელტოვანი აგრეგატების მბზინავი ზედაპირით, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს თიხის ილუვიაციასთან.

**კამბიკი – მეტამორფული ჰორიზონტი**, რომელიც ნათლად განსხვავდება მის ქვეშ მდებარე ჰორიზონტისგან გრანულომეტრით, ფერით, სტრუქტურით, კარბონატების შემცველობით. ხასიათდება მძი-

მე მექანიკური შედგენილობით, ნიადაგური მასის ადგილზე გათიხებით (in situ), პირველადი მინერალების შესამჩნევი რაოდენობით, კარბონატების გამოტუტვის ნიშნებით (როდესაც ქანი კარბონატულია).

**სპოდიუკი** – ილუვიური ჰორიზონტი, რომელშიც აკუმულირებულია ამორფული პროდუქტები. ხასიათდება მუქი შეფერილობით, ორგანული ნივთიერების და ალუმინის ილუვიური ნაერთების ან ილუვიური რკინის შემცველობით.

**არჯიკი** – თიხა-აკუმულაციური ჰორიზონტი, რომელიც მდებარეობს პროფილის შუა ნაწილში. მისი ძირითადი დიაგნოსტიკური ნიშნებია: გრანულომეტრული (ტექსტურული) დიფერენციაცია, თიხის მაღალი შემცველობა ქვედა ჰორიზონტთან შედარებით და სტრუქტურულ აგრეგატებზე თიხიანი კუტანების არსებობა.

**სალიკი** – ადვილად სხნადი მარილების მეორადი აკუმულაციის ზედაპირული ან სილრმითი ჰორიზონტი, რომელიც შეიცავს  $>2\%$  რაოდენობის მარილებს (თაბაშირზე ადვილად ხსნად მარილებს). საველე პირობებში მისი პირველი მანიშნებელია ჰალოფიტების არსებობა. ადვილად ხსნადი მარილები გროვდებიან ან ზედაპირზე ან პროფილის შიგნით, გარკვეულ სილრმეზე, ვიზუალურად მათი დაფიქსირება შესაძლებელია მხოლოდ მშრალ პირობებში.

**ნატრიუკი** – მკვრივი თიხა-აკუმულაციური ჰორიზონტი, რომელ-საც ახასიათებს სვეტოვანი ან პრიზმული სტრუქტურა, ჰორიზონტის ზედა ნაწილში სქელი თიხიანი კუტანების არსებობა, გაცვლითი ნატრიუმის შემცველობა  $\geq 15\%$ , ძლიერ ტუტე რეაქცია ( $\text{pH H}_2\text{O} > 8,5$ ).

**გიფსიკი** – შეუცემენტებელი ჰორიზონტი, რომელიც შეიცავს თაბაშირს 5%-ზე მეტი რაოდენობით და მის ახალწარმონაქმნებს სხვა-დასხვა ფორმით (ფსევდომიცელიუმი, კრისტალები და ა.შ.).

**კალციკი** – მეორადი  $\text{CaCO}_3$ -ის დაგროვების ჰორიზონტი, რომელ-შიც მისი რაოდენობა  $\geq 15\%$ . კალციუმის კარბონატები დიფუზიურ (შერეულია ნიადაგის მასაში) ფორმაშია ან გვხვდება ცალკეული ახალწარმონაქმნის სახით (ფსევდომიცელიუმი, კონკრეციები, ძარღვები და ა.შ.). საველე პირობებში  $\text{CaCO}_3$ -ის არსებობის დასადგენად იყენებენ 10%  $\text{HCl}$ . რეაქციის შედეგად სხვადასხვა ხარისხით გამოხატული შიშინი (მხოლოდ ისმის, ვიზუალურად შეიმჩნევა ცალკეული ბუშტები ან სქელი ქაფი და ა.შ.) მიუთითებს კალციუმის კარბონატების გარკვეული რაოდენობის შემცველობაზე.

**ვიტრიკი** – ზედაპირული ან სილრმითი ჰორიზონტი, რომელშიც მაღალია ვულკანური მინისა და სხვა ვულკანოგენური პირველადი მინერალების რაოდენობა. ახასიათებს ორგანული ნივთიერების მაღალი და თიხის დაბალი შემცველობა. საველე დიაგნოსტიკას ამარტი-

ვებს გამოუფიტავი (სახეშეუცვლელი) ვულკანური მინის და მინისებრი აგრეგატების არსებობა.

ვერტიკი - თიხიანი სიღრმითი ჰორიზონტი, რომელსაც დაჯდომა-გაჯირჯვების შედეგად ახასიათებს სლიქენსაიდების (გაპრიალებული და დაღარულ ზედაპირიანი აგრეგატები) არსებობა. მას ახასიათებს მაგარი ან ძალიან მაგარი აგებულება. გამოშრობისას ჰორიზონტში წარმოიქმნება ≥1 სმ ზომის ნაპრალები.

ფერალიკი - ჰორიზონტი მდებარეობს პროფილის შუა ნაწილში, წარმოიქმნება ხანგრძლივი და ინტენსიური გამოფიტვის შედეგად. ახასიათებს რეინის, მანგანუმის, ალუმინის, ტიტანის უანგების და ჰიდროუანგების შემცველობა, ფხვიერი აგებულება (ნიადაგი თითებს შორის ფქვილივით შეიგრძნობა), მაღალი ფორიანობა, ქვიშნარი ან უფრო მძიმე გრანულომეტრული შედგენილობა. ქვების, ხრეშის და კონკრეციების შემცველობა არ აღემატება 80%. ჰორიზონტში არ შეიმჩნევა კუტანები, როგორც ილუვიაციის გამოხატულების ნიშანი.

ფერიკი - ჰორიზონტი ხასიათდება რეინის, რეინისა და მანგანუ-მის სეგრეგაციით, რის შედეგადაც წარმოიქმნება მსხვილი ზომის ლა-ქები და კონკრეციები. ფერიკი ტროპიკულ და სუბტროპიკულ რეგიო-ნებში თანდათანობით გადადის პლინტიკ ჰორიზონტში.

პლინტიკი - სიღრმითი ჰორიზონტი, რომელიც შედგება ძალიან გარკინებული (ხშირად მანგანუმთან ერთად), ჰუმუსით ღარიბი კაო-ლინიტური თიხისა და კვარცის ნარევისგან, რომელიც უანგბადთან კონტაქტის და დატენიანება-გამოშრობის ციკლების მონაცვლეობის შედეგად გარდაიქმნება ორტენტეინის ფენად ან კონკრეციებად და არათანაბარი ზომის მაგარ აგრეგატებად. ჰორიზონტს ჩვეულებრივ ახასიათებს წითელი ლაქები. მუდმივად ტენიან პირობებში პლინტიკის ნივთიერებები არ არის ძალიან მაგარი და მისი გაჭრა ბარით შე-საძლებელია. დასველების და გამოშრობის ხშირი, განმეორებითი ციკლების შემდეგ, პლინტიკი ძალიან მკვრივდება და გარდაიქმნება ორტენტეინად.

დიურიკი - სიღრმითი ჰორიზონტი, რომელიც სხვადასხვა ხარის-ხით შეცემენტებულია კაუმინის კონკრეციებით, რომლებიც უმეტე-სად წარმოდგენილია ობალის ან მიკროკრისტალური ფორმებით.

## დიაგნოსტიკური ნიშან-თვისებები

გლეივ ფერის – ნარმოიქმნება გრუნტის წყლებსა და კაპილარულ ფორიანობას შორის განსხვავებული უანგვა-აღდგენითი პოტენციალით, რის შედეგადაც ადგილი აქვს რკინის და მანგანუმის (ჰიდრო)ოქსიდების არათანაბრად განანილებას. გლეივ ფერის ნიშანი (მონითალო, მოყავისფრო ან მოყვითალო ფერები აგრეგატების ზედაპირზე ან პროფილის ზედა ნანილში, მორუხო-მოცისფრო ფერები აგრეგატების შიგნით ან პროფილის ქვედა ნანილში) გამოხატავს გალებების პროცესს, რომელსაც განაპირობებს გარკვეული პერიოდის (ტროპიკული რამდენიმე დღის და სხვა ტერიტორიებზე რამდენიმე კვირის) განმავლობაში გრუნტის წყლების გავლენით გამოვლეული აღდგენითი პირობები.

სტაგნი ფერის – მიუთითებს აღდგენით პროცესებზე, რომელსაც განაპირობებს ზედაპირული წყლების ზემოქმედება გარკვეული პერიოდის (ტროპიკული რამდენიმე დღის და სხვა ტერიტორიებზე რამდენიმე კვირის) განმავლობაში. სტაგნი ფერის ნიშანი, აღდგენითი პროცესების ადგილებში, გამოვლენილია ჭრელი ლაქიანობით: აგრეგატების ზედაპირი შედარებით ლიაა და მერთალი, აგრეგატების შიგა ნანილი უფრო მოწითალოა და მუქი.

მეორადი გაკარბონატების – მეორადი კარბონატები მიეკუთვნებიან ახალნარმონაქმნებს, რომლებიც მემკვიდრეობით არ გაღმოდიან დედაქანებიდან. ისინი ნარმოიქმნებიან ნიადაგური სხნარიდან გამოლექვის შედეგად. მეორადი კარბონატები ნარმოქმნიან კონკრეციებს, სფერულ აგრეგატებს-ფენერ და რბილ თეთრ თვლებს, რომლებიც უკეთესად შესამჩნევა მშრალ მდგომარეობაში. კარბონატების ფსევდომიცელიუმები არ მიეკუთვნებიან მეორად კარბონატებს, მათი არსებობა უკავშირდება ტენის ცვალებადობას.

ფერალიკ – ახასიათებს ნიადაგის ისეთ მინერალურ მასას, რომელსაც გააჩნია გაცვლითი კატიონების დაბალი ტევადობა, საკმაოდ მსუბუქი მექანიკური (გრანულომეტრული) შედგენილობა, რომლებიც შეესაბამებიან ჰორიზონტულ ფერალიკის დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებს.

## დიაგნოსტიკური სუბსტრატები

კალკარიკი – ძლიერ შიშინებს 10% HCl-ის ზემოქმედებით, კალციუმის კარბონატის შემცველობა მინიმუმ 2%.

ფლუვიური – ალუვიური, ტბური და ზღვიური ნალექები, რომლებიც რეგულარულად იღებენ ახალ ნაფენებს ან შეძენილი აქვთ ნარსულში.

მთავარი დიაგნოსტიკური მაჩვენებელი არის მინიმუმ 25% ნიადაგური მასის სტრატიფიკაცია (შრეობრიობა).

გიფსირიკი - ნიადაგწარმომქმნელი ქანი, რომელიც შეიცავს  $\geq 5\%$  თაბაშირს.

ლიმნიკი - შეიცავს ორგანულ და მინერალურ ნივთიერებებს (მაგ.: საპროპელი და მერგელი) ერთდროულად.

ტეფრიკი - ვულკანის ამოფრქვევის შედეგად წარმოქმნილი სუსტად გამოიყიტული, ფხვიერი მასალა (მაგ.: ფერფლი, პემზა) ანდა ვულკანოგენური მასალა შერეულია სხვა წარმოშობის ქანებთან (მაგ.: ქვიშიანი ტეფრა, ვულკანოგენური ალუვიონი, ლიოსიანი ტეფრა).

ორგანული სუბსტრატი - შედგება ორგანული ნარჩენებისგან, რომლებიც გროვდებიან დედამინის ზედაპირზე, მშრალ და ტენიან პირობებში. ასეთ სუბსტრატზე წარმოქმნილ ნიადაგზე მინერალური კომპონენტები სუსტ გავლენას ახდენენ.

## კვალიფიკატორები

ანდიკი - 0-100 სმ ფარგლებში ნიადაგის პროფილს გააჩნია ანდიკ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი.

კალკარიკი - 20-დან 50 სმ სიღრმემდე ნიადაგის პროფილი შეიცავს კარბონატულ ნივთიერებებს.

კალციკი - მეორადი კარბონატების დაგროვება ნიადაგის პროფილის 0-100 სმ სიღრმის ფარგლებში.

კამბიკი - 0-50 სმ სიღრმის ფარგლებში ნიადაგის პროფილს გააჩნია კამბიკ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი.

ქრომიკი - 0-150 სმ სიღრმის ფარგლებში ნიადაგის პროფილი შეიცავს მინიმუმ 30 სმ სისქის ფენას, რომლის უმეტესი ნაწილის ელფერი არის 7,5 YR ან უფრო წითელია.

დისტრიკი - 20-100 სმ სიღრმის ფარგლებში ნიადაგის სისქის უმეტესი ნაწილისთვის ფუძეებით მაძლრობის ხარისხი დაბალია 50%-ზე.

ეუთრიკი - 20-100 სმ სიღრმის ფარგლებში ნიადაგის სისქის უმეტესი ნაწილისთვის ფუძეებით მაძლრობის ხარისხი  $\geq 50\%$ .

ფერალიკი - 0-100 სმ სიღრმის ფარგლებში ნიადაგის პროფილს გააჩნია ფერალიკ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი ან ფერალიკ დიაგნოსტიკური ნიშან-თვისება.

ფერიკი - 0-100 სმ სიღრმის ფარგლებში ნიადაგის პროფილს გააჩნია ფერიკ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი.

**ფლუვიები – 25-100** სმ სიღრმის ფარგლებში ნიადაგის პროფილი შეიცავს ფლუვიების სუბსტრატს.

**ლუვიები – 0-100** სმ სიღრმის ფარგლებში ნიადაგის პროფილს გააჩნია დიდაგნოსტიკური არჯიკ ჰორიზონტი და ფუძეებით მაძლრობის ხარისხი ≥50%.

**მოლიერი – ნიადაგის პროფილს გააჩნია ზედაპირული მოლიკ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი.**

**უმბრიები – ნიადაგის პროფილს გააჩნია ზედაპირული უმბრიკ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი.**

**ჰუმიები – ორგანული ნახშირბადის შემცველობა ფერალსოლებისა და ნიტისოლების პროფილის 0-100 სმ სიღრმის ფარგლებში შეადგენს მინიმუმ 1,4%, ლეპტოსოლების პროფილში ზედაპირიდან 25 სმ სიღრმემდე – მინიმუმ 2%, დანარჩენი ნიადაგების პროფილში ზედაპირიდან 50 სმ სიღრმემდე – მინიმუმ 1%.**

**მოლიკუმიები – ნიადაგის პროფილს გააჩნია მოლიკ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი და ჰუმიკ კვალიფიკატორი.**

**ნატრიები – 0-100 სმ სიღრმის ფარგლებში ნიადაგის პროფილს გააჩნია ნატრიკ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი.**

**ნიტიები – 0-100 სმ სიღრმის ფარგლებში ნიადაგის პროფილს გააჩნია ნიტიკ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი.**

**სტაგნიები – 0-100 სმ სიღრმის ფარგლებში ნიადაგის პროფილს გააჩნია სტაგნიკ ფერის ნიმან-თვისება ან/და ალბიკ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი.**

**გლეიები – 0-100 სმ სიღრმის ფარგლებში ნიადაგის პროფილის მინიმუმ 25 %-ს გააჩნია გლეიკ ფერის ნიშან-თვისება.**

**ჰაბლიები – ალნიშნავს მოცემული თვისების ტიპურ (მისთვის დამახსიათებელი სპეციფიკურ) გამოვლენას.**

**რენდიები – ნიადაგის პროფილში მოლიკ ჰორიზონტი უშუალოდ ფორმირებულია კარბონატულ სუბსტრატზე, რომელშიც კალციუმის კარბონატების შემცველობა შეადგენს მინიმუმ 40%.**

**ვერტიკები – 0-100 სმ სიღრმის ფარგლებში ნიადაგის პროფილს გააჩნია ვერტიკ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი.**

**ქლეიები – 0-100 სმ სიღრმის ფარგლებში ნიადაგის პროფილს გააჩნია თიხიანი გრანულომეტრული შედგენილობის მინიმუმ 30 სმ სისქის ფენა.**

**კუტანიები – არჯიკ ჰორიზონტში თიხის კუტანების არსებობა.**

**სპოდიკი – 0-200** სმ სიღრმის ფარგლებში ნიადაგის პროფილს გააჩნია სპოდიკ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი.

**ჰისტიკი – 0-40** სმ სიღრმის ფარგლებში ნიადაგის პროფილს გააჩნია ჰისტიკ დიაგნოსტიკური ჰორიზონტი.

**აბრაპტიკი – მექანიკური (გრანულომეტრული)** შედგენილობის მკვეთრი ცვლილება.

**სკელეტიკი – ზედაპირიდან 100** სმ სიღრმემდე ნიადაგის პროფილი შეიცავს 40- დან 90 %– მდე ხირხატს.

ნიადაგის ჯგუფების დიაგნოსტიკისთვის ასევე იყენებენ პრეფიქსებს, რომლებიც კომბინაციაშია სხვა კვალიფიკატორებთან (მაგ.: ენდოეუთორიკი) და აღნიშნავენ სისქეს ან ნიადაგის თვისებების ინტენსივობას. ხშირად მიმართავენ ორმაგ კომბინაციებს (მაგ.: ეპიპიპერკალციკი).

## პრეფიქსები

**ბათი – აღნიშნავს** ჰორიზონტს, სუბსტრატს ან ნიშან-თვისებას ნიადაგის პროფილის 100-200 სმ სიღრმის ფარგლებში.

**ენდო – აღნიშნავს** ჰორიზონტს, სუბსტრატს ან ნიშან-თვისებას ნიადაგის პროფილის 50-100 სმ სიღრმის ფარგლებში.

**ეპი – აღნიშნავს** ჰორიზონტს, სუბსტრატს ან ნიშან-თვისებას ნიადაგის პროფილის ზედაპირიდან 50 სმ სიღრმემდე.

**ჰიპერ – აღნიშნავს** ნიადაგის პროფილში განსაზღვრული თვისების ჭარბად ან ძალიან ძლიერად გამოვლენას.

**ჰიპო – აღნიშნავს** ნიადაგის პროფილში განსაზღვრული თვისების სუსტად და უმნიშვნელოდ გამოვლენას.

**ორთო – აღნიშნავს** ნიადაგის პროფილში განსაზღვრული თვისების ტიპურ გამოვლენას.

**პარა – აღნიშნავს** განსაზღვრულ თვისებებთან მსგავსებას.

**პროტო – მიანიშნებს** განსაზღვრული თვისების წარმოქმნის წინაპირობაზე ან მისი ფორმირების ადრეულ სტადიაზე.


## თავი 4. ფალკოული ნიაღაგაბის დიაგნოსტიკა

### ნითელმიწები

ნითელმიწებისთვის დამახასიათებელია ნითელი შეფერილობა, გათიხება და ჩვეულებრივ მძლავრი პროფილი.

ნითელმიწები ხასიათდებიან მუავე რეაქციით, ამასთან pH სიდიდე უმნიშვნელოდ იცვლება პროფილის მიხედვით. ჰუმუსის შემცველობა საშუალო ან მაღალია; ჰუმუსის ტიპი ფულვატურია. შთანთქმის ტევადობა დაბალი და საშუალოა. შთანთქმულ კატიონებში, როგორც ნესი, ჭარბობს გაცვლითი ნყალბადი. ნითელმიწები ხასიათდება მძიმე თიხნარი, მსუბუქი, საშუალო და მძიმე თიხა მექანიკური შედგენილობით. ეს ნიაღაგები გაღარიბებულია კაჟმინით და ფუძეებით და გამდიდრებულია ერთნახევარი ჟანგეულებით. ნიაღაგის მინერალური ნანილი ხასიათდება ფერალიტური გამოფიტვით. თიხამინერალები ნარმოდგენილია კაოლინიტით, ჰალუზიტით, ჰეტიტითა და ჰიბსიტით. ნითელმიწებში სილიკატური რეინბა ჭარბობს არასილიკატურზე. რეინბა ცალკეული ფორმები პროფილის მიხედვით მეტ-ნაკლებად თანაბრადა განაწილებული.

ნითელმიწების ძირითადი ელემენტარული ნიაღაგნარმოქმნელი პროცესებია: ფერალიტიზაცია, გათიხება და ჰუმუსნარმოქმნა.



ნახ. 1. ნითელმიწის ძირითადი მაჩვენებლები

წითელმიწების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 1,9% (130400 ჰა). ეს ნიადაგები გავრცელებულია ტენიანი სუბტროპიკული ზონის სამხრეთ-დასავლეთ ნანილში (აჭარა, გურია), აგრეთვე გვხვდება სამეგრელოსა და აფხაზეთში. წითელმიწები გავრცელებული 100-300 მეტრამდე ზღვის დონიდან.

წითელმიწების პირველი მეცნიერები იყვნენ ა. კრასნოვი (1894) და ვ. დოკუჩაევი (1899), რომლებიც მათ აიგივებდნენ ლატერიტებთან. შემდეგ კ. გლინკამ (1906) ნიადაგების პირველ მსოფლიო რუკაზე ცალკე გამოჰყო „წითელმიწა“, „ლატერიტები“, „ყვითელმიწა“. მისი აზრით წითელმიწები რელიეფური ნიადაგებია, რომლებიც ამჟამად ენერნარმოქმნის პროცესი მიმდინარეობს.

30-იან წლებში, პ. პოლინოვის (1933, 1936, 1956) ხელმძღვანელობით, ჩატარდა წითელმიწების ფუნდამენტალური გამოკვლევები. ამ სამუშაოებით დამტკიცდა, რომ: 1) დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულში წითელი ფერის გამოფიტვის ქერქზე ვითარდება მჟავე ნიადაგნარმოქმნის ფორმები; 2) გამოფიტვის ქერქის სხვადასხვა ფორმას უკავშირდება ნიადაგების სხვადასხვა ვარიანტების ფორმირება; 3) უმეტეს შემთხვევაში თანამედროვე ნიადაგები ასაკით უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე გამოფიტვის ქერქი.

ბ. პოლინოვის აზრით წითელი ფერის ნარჩენი გამოფიტვის ქერქის ფორმირება დაიწყო პლეისტოცენში, ბრტყელი რელიეფის (პენეპლენის) პირობებში, ტექტონიკური ხასიათის მომდევნო გადაადგილებებმა გადაიყვანეს ვაკე რელიეფი დახრილში და მთის ნაკადების შემდგომშა მოქმედებამ ჩამოაყალიბა მთისნიერების თანამედროვე რელიეფი. ამ პროცესების შედეგად გამოფიტვის ქერქმა და ნიადაგებმა განიცადეს მნიშვნელოვანი ჩამორეცხვა. თანამედროვე ნიადაგები გამოფიტვის ქერქზე ბევრად უფრო ახალგაზრდაა; ისინი შეიქმნა მათ ნარჩენებზე და გადარეცხვის და გადაფენის პროდუქტებზე - ზეპრისებრ თიხებზე დანანერეცხულია რელიეფის ფორმირების და სუბტროპიკული ტიპის ტყის განსახლების შემდეგ. მიუხედავად ამისა, წყაროს და მდინარის წყლების შემადგენლობის მონაცემები ამტკიცებენ, რომ გამოფიტვა ამჟამადაც ინარჩუნებს კაუმინის გაძლიერებული გამოტანის და ეთნახევარი უანგელუების ნარჩენი დაგროვების ტენდენციას (გლაზოვსკაია, ურუშაძე, 2009).

1934 წელს გამოვიდა ბ. პოლინოვის მონოგრაფია „გამოფიტვის ქერქი. გამოფიტვის პროცესები, გამოფიტვის ქერქის ძირითადი ფაზები და ფორმები და მათი გავრცელება“, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ბ. პოლინოვის მიერ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულში ჩატარებულ გამოკვლევებს. შემდგომში ეს წიგნი ითარგმნა

ინგლისურ ენაზე ბ. პოლინოვის მონაფის - შოტლანდიელი ნიადაგმ-ცოდნის ა. მიურის მიერ.

ბ. პოლინოვის მომდევნო კვლევებით დადგენილი იქნა წითელი ფერის გამოფიტვის ქერქის ორი ფორმა: ყველაზე ძველი ტიპური ნარჩენი ქერქი, რომელმაც შეინარჩუნა პირველადი ამონალვარი ქერ-ქის სტრუქტურა და გამოფიტვის ქერქი, რომლის ფორმირება მოხდა ძველ, ზღვიურ, მდინარეულ ტერასებზე. ეს უკანასკნელი წარმოდგენელია ქვამრგვალების მონაცვლეობით წვრილშრან ალუვიურ ნაფენებთან. გამოფიტვის პროცესების შედეგად ალუვიური ნაფენები გარდაიქმნა ლიტომარქმი და შრეობრივ ზებრისებრ თიხებში.

აჭარაში ჩატარებული კვლევების საფუძველზე ბ. პოლინოვმა დეტალურად დაამუშავა გამოფიტვის ქერქში, ნიადაგში, ადგილობრივი ჩამონადენის წყლებში და საერთოდ ლანდშაფტში ერთანი კვლევის მეთოდი.

ბ. პოლინოვის გამოკვლევებმა საფუძველი ჩაუყარა ქართველი მეცნიერების მნიშვნელოვან კვლევებს. პირველ რიგში ეს უკავშირდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მ. დარასელიას სახელს. მის მიერ იყო ორგანიზებული და ჩატარებული ანასეულში, ჩაის პლანტაციების წითელმინებში, ნიადაგური ხსნარების მრავალნლიური ლიზიმეტრული კვლევები. ლიზიმეტრები დაყენებულ იქნა სხვადასხვა ნარგავების ქვეშ ფესვების გავრცელების მთელ სიღრმეზე, ყველა ნიადაგური პროინგრენტის, შესატანი სასუქების ნორმებისა და შეხამების მიხედვით. სტაციონარული კვლევების 35 -წლიანი შედეგები განზოგადობული იქნა მ. დარასელიას მონოგრაფიაში (1974).

ბ. პოლინოვის მიერ დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკების შესწავლის ძირითადი შედეგები იყო აგრეთვე დადასტურებული აკადემიკოს მ. საბაშვილის მრავალრიცხოვანი კვლევებით (1948). ისინი ეხებოდა წითელმინების სხვადასხვა ვარიანტების დახასიათებას, მათ სივრცობრივ გავრცელებას, გაენერების პროცესებს და სხვ. ამის გარდა, მის მიერ იყო ნაჩვენები, რომ ჩრდილოეთის ენერ ნიადაგებთან შედარებით, საქართველოს სუბტროპიკული ზონის ენერ ნიადაგების განმანსხვავებელი ნიშანია ერთნახევარი ოქსიდების მაღალი შემცველობა, ქვედა ფენებში „ორტშტეინის“ დაგროვება და ჰუმუსის შედარებით მაღალი პროცენტი. დამახასიათებელია აგრეთვე ენერ პორიზონტის გაურკვეველი განცალკევება.

წითელმინების გენეზისური არსი დაწვრილებით იყო განხილული ი. გერასომოვის და ა. რომაშვერიჩის (1967) მიერ. აგტორების აზრით ტენიანი სუბტროპიკებისთვის დამახასიათებელ თანამედროვე წარმონაქმნების გენეზისურ პროფილში გამოსაყოფია შემდეგი ზონები:

ზონა A - გამოფიტვის ქერქის აქტიური შრის ზედა ნაწილი, სადაც ყველაზე სრულად ვითარდება ნიადაგნარმოქმნის პროცესი; ზონა B - იგივე აქტიური შრის ქვედა ნაწილი, ინტენსიური ბიოლოგიური წრებრუნვის გარეთ; ზონა C - ქვემოთ მდებარე, თვით გამოფიტვის ქერქი და ზონა D - სუსტად დამლილი ან დაუშლელი ქანი. ნითელმინებში ზონების ალნიშნული სისტემა მეტ-ნაკლებად მდგრადია, თუმცა სხვა-დასხვა მიზეზით (ქანების შედეგენილობა და თვისებები, რელიეფის და მცენარეულობის თავისებურებანი) მერყეობს. გამოფიტვის ქერქიდან ნიადაგების გამიჯვნის მიზნით შემოღებულ იქნა „ნიადაგნარმოქმნის მოქმედი ზონის“ ცნება.

ტენიან სუბტროპიკული ბ. პოლინოვის მიერ ჩატარებული კვლე-ვებს ჰქონდა დიდი მეთოდოლოგიურ და ზოგადად თეორიული მნიშვ-ნელობა, როგორც ნიადაგმცოდნეობის, ისე ახალი მეცნიერების - ლანდშაფტების გეოგიმიის განვითარების საქმეში.

საქართველოს ნითელმინებს მონოგრაფიული ნაშრომები უძლვ-ნეს ა. რომაშვილმა (1974) და შ. ფალავანდიშვილმა (1987).

ნითელმინებს უკავია ბორცვიან-გორაკიანი რელიეფი. ნიადაგ-ნარმოქმნელი ქანები ნარმოდგენილია ფუძე ამონალვარი ქანების (ძირითადში ანდეზიტებით) და მათი დერივატების გამოფიტვის ნითე-ლი ფერის პროდუქტებით. გრუნტის წყლის დგომის სილრმე 8-10 მ აღნევს.

კლიმატი ტენიანი სუბტროპიკულია. საშუალო წლიური ტემპერა-ტურა საკმაოდ მაღალია  $13,7-15,1^{\circ}\text{C}$ . ყველაზე ცივი თვის - იანვრის ტემპერატურა  $4,8-6,8^{\circ}\text{C}$ , ხოლო ყველაზე თბილი თვის - აგვისტოს  $21,9-24,5^{\circ}\text{C}$ . სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა რვა თვეა. ნალე-ქების წლიური რაოდენობა 1200-დან 2500 მმ-დედა. ნალექების მინიმუ-მი მოდის გაზაფხულზე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  $3500-4700^{\circ}\text{C}$ .

ბუნებრივი მცენარეულობა ნარმოდგენილია შერეული სუბტრო-პიკული ტყით, რომელშიც გვხვდება წაბლი, ჰარტვისის მუხა, ნიფე-ლი, რცხილა და სხვ. ეს ტყე ხასიათდება მარალმნვანე ქვეტყით. ამჟამად ამ ტყის დიდი ნაწილი გაჩერებილია, გაშენებულია სუბტროპი-კული კულტურები და ჩაის პლანტაციები.

ნიადაგურ პროფილს ჩვეულებრივ აქვს შემდეგი აგებულება: A-AB - B -BC-C.

A - ჰუმუსოვანი, ნითელ-ყავისფერი ან ნარინჯ-ყავისფერი სიმძ-ლავრით 12-25 სმ, კომტოვანი ან მარცვლოვან-კომტოვანი, მძიმე თიხნარი ან თიხიანი, ფხვიერი, გადასვლა თანდათანო-ბითი.

**AB** - გარდამავალი, ნარინჯის ან ყავისფერ-წითელი ფერის, საერთო სიმძლავრით 20-35 სმ, კოშტოვან ან კაკლოვან-კოშტოვანი, გადასვლა მკვეთრი.

**B** - არაერთგვაროვანი შეფერილობით, ყავისფერ-წითელი ან ყავისფერ-ნარინჯისფერი საერთო სიმძლავრით 30-45 სმ, გამკვრივებული, კოშტოვან-დაკუთხული. გადასვლა თანდათანობითი.

**BC** - არაერთგვაროვანი, წითელი, გამკვრივებული, კოშტოვანი. გადასვლა თანდათანობითი.

**C** - წითელი ან ნარინჯისფერი გამოფიტვის ქერქი, გვხვდება რკინის და მანგანუმის ახალქმნილებები.

წითელმინები განსხვავდებიან ყვითელმინებისაგან, რომლებიც ვითარდებიან იგივე ბიოკლიმატურ პირობებში კაუმინით მდიდარ ქანებზე, წითელი შეფერილობით, უფრო მყარი და ნაკლებად უხეშისტრუქტურით, მეტი გამოფიტვით.

წითელმინები იყოფა ორ ქვეტიპად: ტიპური და გაენერებული.

ტიპური წითელმინები ფართოდაა გავრცელებული წითელმინების არეალის სამხრეთ ნაწილში და ფორმირდებიან ანდეზიტ-ბაზალტის გამოფიტვის ქერქზე, იშვიათად - ქვამრგვალების და უფრო იშვითად - ზებრისებრ თიხებზე.

გაენერებული წითელმინები ფორმირდებიან რელიფის გავაკებულ ელემენტებზე. ჩვეულებრივ ისინი ვითარდებიან ზებრისებრ თიხებზე.

წითელმინების ქვეტიპებში გამოყოფენ შემდეგ გვარებს:

განვითარებული ამონალვარი ქანების ელუვიონზე - ხასიათდებიან ერთნახევარი ჟანგეულების დიდი შემცველობით (40-50%), მკვრივი მიკროსტრუქტურიანობით, ყველაზე მაღალი შთანთქმისუნარიანობით.

განვითარებული ქვამრგვალების ელუვიონზე - ხასიათდებიან ერთნახევარი ჟანგეულების დაბალი შემცველობით (35%-მდე), დაქვეითებული შთანთქმისუნარიანობით და უფრო მყარი მიკროსტრუქტურიანობით.

განვითარებული ზებრისებრ თიხებზე - ხასიათდებიან ერთნახევარი ჟანგეულების ყველაზე დაბალი შემცველობით (25-30%), დაბალი შთანთქმისუნარიანობით და ძალიან სუსტად გამოხატული მიკროსტრუქტურიანობით.

განვითარებული გადანალექ წითელმინა მასალაზე - ხასიათდებიან შრეობრიობით, მკაფიო ჭრელი შეფერილობის უქონლობით, ქანში შეუმჩნეველი გადასვლით, ნაკლებად ხელსაყრელი ფიზიკური თვისებებით.

წითელმინები იყოფიან სახეობებად ჰუმუსოვანი პორიზონტის სიმძლავრით: ღრმად ჰუმუსირებული ( $>30$  სმ), არაღრმად ჰუმუსირებული ( $30$ -დან  $20$  სმ-მდე) და წვრილჰუმუსირებული ( $< 20$  სმ).


წითელმინები, ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის მიხედვით, მიეკუთვნებიან ნიტისოლების ნიადაგურ ჯგუფს, ნიტიკ პორიზონტის არსებობის გამო. ეს ნიადაგები გავრცელებულია სუბტროპიკულ რეგიონებში. ნიტისოლებისათვის დამახასიათებელია: კარგად განვითარებული, სქელი, მუქი წითელი ან მონითალო-ყავის-ფერი პროფილი, მძიმე მექანიკური შედგენილობა. ნიადაგების რეაქცია მუავეა, თუმცა ორგანული ნივთიერების შემცველობასთან ერთად, pH-ის მაჩვენებლებიც საკმაოდ მერყევია. პროფილში გამოვლენილია დიაგნოსტიკური ქვალიფიკატორი ქრომიკი.

## ყვითელმინები

ყვითელმინები ხასიათდებიან ყვითელი შეფერილობით, გათიხებით, კომტოვანი სტრუქტურით და ჩვეულებრივ მძლავრი პროფილით.

ყვითელმინების რეაქცია მუავეა. ჰუმუსის შემცველობა მერყეობს 2-დან 7%-მდე. სილრმით ჰუმუსის შემცველობა საკმაოდ მკვეთრად მცირდება. ჰუმუსი - ფულვატურია. შთანთქმული კომპლექსი არ არის მაძლარი ფუძეებით, მაგრამ არამაძლრობის ხარისხი მნიშვნელოვნად იცვლება (4-7-დან 60-70%-მდე). მექანიკური შედგენილობა საკმაოდ უმნიშვნელოად იცვლება. ამორფული რკინის შემცველობა მცირეა, ხოლო არასილიკატურის საკმაოდ მაღალი. მთლიანი ქიმიური შემადგენლობის მიხედვით ძირითადი უანგეულები არათანაბრადაა განაწილებული. ლექის ფრაქციაში  $\text{SiO}_2 : \text{R}_2\text{O}_3$  შეფარდება დიდ ფარგლებში მერყეობს (1,95-2,71) და მიუთითებს როგორც ფერალიტურ, ისე სიალიტურ გამოფიტვაზე.

ყვითელმინების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმოქმნელი პროცესებია: ფერალიტიზაცია, გათიხება, ჰუმუსწარმოქმნა და გალებება.



ნახ.2. ყვითელმინების ძირითადი მაჩვენებლები

ყვითელმინების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 4,5% (317 600 ჰა). ეს ნიადაგები ძირითადად ვრცელდება ზღვის დონიდან 100-მ-დან 500-600 მ-მდე, დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ ზონაში - გაგრის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირეს, გალის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროცხუს, ხობის, სენაკის, მარტვილის, აბაშის და ნაკლებად ხონის, წყალტუბოს, ტყიბულის და ვანის რაიონების გორაკ-ბორცვიან ზოლში.

ყვითელმინები, როგორც დამოუკიდებელი ნიადაგური წარმონაქმნი, სამხრეთ კავკასიაში პირველად გამოყოფილი და აღწერილი იქნა ლენქორანის ოლქში (აზერბაიჯანი) ვ. აკიმცვევის (1926) მიერ. სახელწოდება „ყვითელმინები“ შემოღებული იყო ყვითელი ფერის გამოფიტვის ქერქზე განვითარებული დასავლეთ საქართველოს ნითელმინების ქვედა პორიზონტებთან მსგავსების საფუძველზე. მაგრამ უფრო ადრე ამ ნიადაგებზე ცალკეული მონაცემები მოყვანილია პ. კოსოვიჩის (1910), ი. ვიტინის (1914), ს. ზახაროვის (1913, 1924) შრომებში.

ყვითელმინები საფუძვლიანად შესწავლილი იქნა მ. საბაშვილის (1936, 1948) მიერ. მან პირველმა გამოამჟღავნა ამ ნიადაგების დამოკიდებულება ნიადაგნარმომქმნელი ქანის ხასიათზე. კვლევის საწყისს ეტაპზე ყვითელმინები განიხილებოდა როგორც წითელმინა-ყვითელმინების ტიპის ქვეტიპი. ამჟამად ეს ნიადაგები გამოიყოფა ცალკე გენეზისურ ტიპიად.

ყვითელმინები ფორმირდებიან ტენიანი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში. საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს 13,7-15,1°C, ყველაზე ცივი თვის (იანვრის) - 3,3 - 6,8°C, ყველაზე თბილი თვის (ივლისის) - 19,3-24,5°C. სავეგეტაციო პერიოდი გრძელდება რვა თვეს. ნალექების წლიური რაოდენობა დიდია (1100 მმ-დან 2500 მმ-

მდე), მაგრამ მათი განაწილება თვეების მიხედვით არათანაბარია. ნა-ლექების მინიმუმი აღინიშნება აპრილში, მასშა და ივნისში. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა საკმაოდ მაღალია (80%-მდე).

ყვითელმინები გავრცელებულია ძველ ზღვიურ ტერასებზე, დანა-ნევრებულ და მათთან მიმდებარე მთისწინებზე. ნიადაგნარმომქმნე-ლი ქანები ნარმოდგენილია მუავე და საშუალოდ მყარი ქანების (პირ-ველ რიგში ფიქლების) გამოფიტვის პროდუქტებით. ტერასებზე ეს ნიადაგები ჩვეულებრივ ვითარდებიან ფხვიერ, თიხიან ქანებზე. ნია-დაგნარმომქმნელი ქანები მიეკუთვნებიან სიალიტურ თიხებს, რომ-ლებშიც  $\text{SiO}_2$  :  $\text{Al}_2\text{O}_3$  აღნევს 3,20; თუმცა გვხვდება ფერალიტიზირებუ-ლიც შეფარდებით  $\text{SiO}_2$  :  $\text{Al}_2\text{O}_3 < 2,50$ . ნიადაგნარმომქმნელი ქანები ხა-სიათდებიან ცუდი ფიზიკური თვისებებით, რაც ხელს უწყობს მათ ჩამორცხვას და დამენერებას. საერთოდ ყვითელმინების არეალი განისაზღვრება ქანების გავრცელებით.

ბუნებრიცი მცენარეულობა ნარმოდგენილია შერეული სუბტროპი-კული ტყებით (მუხები, ძელქვა, ნაბლი, ლაფანი, ნიფელა, ცაცხვი, ნე-კერჩხალი და სხვ.). ამჟამად ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ბუნებრიცი მცენარეულობა განადგურებულია და შეცვლილია სასოფლო-სამეურ-ნეო მინდვრების და პლანტაციის კულტურული მცენარეულობით.

ნიადაგურ პროფილს ჩვეულებრივ აქვს შემდეგი აგებულება: A-AB-B-BC-C.

A - მუქი-რუხი ჰემუსოვანი ჰორიზონტი სიმძლავრით 10-15 სმ, კომტოვანი, ზოგჯერ კომტოვან-კაკლოვანი, თიხნარი, გა-დასვლა თანდათანობითი.

AB - მორუხო-ყვითელი გარდამავალი ჰემუს-მეტამორფული ჰო-რიზონტი სიმძლავრით 15-20 სმ, კომტოვანი, ქვედა ნანილში ხშირად შეიცავს ნერილ, ნერტილოვან რკინა-მანგანუმის კონკრეციებს, თიხნარი, გადასვლა ნათელი.

B - ყვითელი ილუვიური მეტამორფული ჰორიზონტი სიმძლავ-რით 30-40 სმ, მკვრივი, პრიზმული, ნერილბელტოვანი, ზოგ-ჯერ უსტრუქტური, ტენიან მდგომარეობაში ბლანტი, თიხა, გადასვლა ნათელი.

BC - ყვითელი ან ჩალისფერ-ყომრალი ქანისკენ გარდამავალი ჰორიზონტი სიმძლავრით 20-40 სმ, უსტრუქტურო, ქანის ნამტვრევები, როგორც ნესი, ძლიერ გამოფიტული.

C - ყვითელი გამოფიტვის ქერქი, გვხვდება რკინის და მანგანუმის ახალქმნილებები

ყვითელმინები განსხვავდებიან ყვითელ-ყომრალებისგან, რომლე-ბიც ვითარდებიან უფრო გრილ პირობებში, უფრო ღრმა გამოფიტვით, ერთნახევარი უანგეულების მეტი და კაუმინის ნაკლები შემცველობით.

ყვითელმიწები განსხვავდებიან ნითელმიწებისაგან, რომლებიც ვითარდებიან იგივე ბიოკლიმატურ პირობებში, მაგრამ კაუმინით ღარიბ ქანებზე, ყვითელი შეფერილობით, ნაკლებად მყარი და უფრო უხეში სტრუქტურით. ნაკლები გამოფიტვით.

ყვითელმიწები იყოფა სამ ქვეტიპად: ტიპური, გაენერებული და გალებებული.

ტიპური - გავრცელებულია ისეთ ადგილებში, სადაც მშრალი პერიოდი არ აღინიშნება. შიდანიადაგური გამოფიტვის და ნორმალური ეროვნის პროცესები ამ ნიადაგებში უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, ვიდრე ზედა პორიზონტებიდან ლექის გამოტანა, რაც განსაზღვრავს არადიფიცირებული პროცესის სუსტ განვითარებას.

გაენერებული - ხასიათდებიან დიფერენცირებული პროფილით, რაც დასტურდება მექანიკური შემადგენლობით და მთლიანი ქიმიური ანალიზის მონაცემებით.

გალებებული - ვითარდებიან ბრტყელ და ჩავარდნილ, სუსტად დრენირებულ ნყალგამყოფ ნაკვეთებზე, ხასიათდებიან გალებების ნიშნებით.

ყვითელმიწების ქვეტიპებში გამოყოფენ შემდეგ გვარებს:

ჩვეულებრივი - ამ გვარს გააჩნია ყვითელმიწების ქვეტიპების ყველა ნიშნი და თვისება.

ნარჩენ-კარბონატული - ფორმირდებიან ისეთ ქანებზე, რომლებიც შეიცავენ კარბონატებს. ჩვეულებრივი ნიადაგებისგან განსხვავებით ქვედა პორიზონტები ხასიათდებიან ნეიტრალური რეაქციით და გადიდებული შთანთქმის ტევადობით.

განუვითარებელი - ფორმირდებიან შედარებით მკვრივი ქანების მცირე სიმძლავრის ელუვიონზე; ხასიათდებან ხირხატიანობით.

ქვარგვალიანები - განუვითარებელი გვარის ანალოგიურია, მაგრამ მისგან განსხვავებით ფორმირდებიან ქვარგვალის ნაფენებზე.

ყვითელმიწები იყოფიან სახეობებად პუმუსოვანი პორიზონტის სიმძლავრის მიხედვით: ღრმად ჰუმუსირებული ( $>30$  სმ), არაღრმად ჰუმუსირებული ( $30$ -დან  $20$  სმ-მდე) და ნერილ ჰუმუსირებული ( $<30$  სმ).


ყვითელმიწები შეიძლება გაერთიანდეს ლუგისოლების ჯგუფში არჯიკ პორიზონტის გამო. ამ ჯგუფის ნიადაგები გამოირჩევიან ფუძეების მაღალი მაძლრობით და ისეთი პორიზონტის არსებობით, რომელშიც შეიმჩნევა თიხის მნიშვნელოვანი აკუმულაცია. თიხის ელუვიაციას და ტექსტურულ დიფერენციაციას შეიძლება უკავშირდებოდეს საკლევ პროფილებში არჯიკ პორიზონტის არსებობა, რომელიც განსხვავდება ზედა პორიზონტისგან ლექის შედარებით მომატებული რაოდენობით. ყვითელმიწების პროფილში აღინიშნება ფერიკ მახასიათებელი.

## ჭაობიანი ნიადაგები

ჭაობიანი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია მძიმე მექანიკური შედგენილობა, გალებების ნიშნები და მძლავრი პროფილი.

ჭაობიანი ნიადაგები ხასიათდებიან სუსტი ტუტე ან ნეიტრალური რეაქციით. ჰუმუსის შემცველობა დიდია. შთანთქმულ კატიონებში მკვეთრად ჭარბობს გაცვლითი კალციუმი. ძირითადი უანგეულები არათანაბრადა განაწილებული, რაც მათ ალუვიურ ბუნებაზე მიუთითებს. რკინის სხვადასხვა ფორმები მომატებული რაოდენობითაა. ამორფული რკინის დაგროვება აღინიშნება პროფილის ზედა ნანილში, დაკრისტალებული რკინა ჭარბობს პროფილის სილრმეში.

ჭაობიანი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმოშემნელი პროცესებია: გალებება, გათიხება, ჰუმუსნარმოქმნა და ტორფნარმოქმნა.



ნახ.3. ჭაობიანი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

ჭაობიანი ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს დაახლოებით 2,9% (130471პა). ეს ნიადაგები ძირითადად გავრცელებულია კოლხეთის დაბლობზე, აგრეთვე აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში.

კოლხეთის დაბლობის ჭაობიანი ნიადაგების ერთ-ერთი პირველი მკვლევარი იყო დ. გედევანიშვილი, რომელმაც 20-იან წლებში დაამუშავა ამ ნიადაგების პირველი გენეზისური კლასიფიკაცია. შემდგომში ეს ნიადაგები შეისწავლეს ს. ზახაროვმა, ბ. ფილოსოფოვმა, რ. პაპილოვმა, გ. კოსტავამ, ა. მონერელიამ, თ. რამიშვილმა და სხვ.

ა. მონერელიას აზრით კოლხეთის დაბლობზე ჭაობის ნარმოქმნა დაკავშირებულია ატმოსფერულ ნალექებთან და მდინარეების კალპოტიდან გადმოსული ზედაპირული წყლების მოქმედებასთან.

გ. კოსტავას მოსაზრებით დაჭაობების პროცესი უკავშირდება გრუნტისა და ნიადაგების წყლის მოქმედებას.

ჭაობიან ნიადაგებს უკავია დელტურ -აკუმულაციურ ვაკეთა ტიპის დაბლობი, რომელიც ამოვსებულია ალუვიურ-ტერიგენული მასალით, რომლის შემადგენლობაში მონაწილეობს კავკასიონისა და ამიერკავკასიის სამხრეთი მთიანეთის ამგები ქანების გამოფიტვის პროდუქტები. ნაფენები უმეტესად კარბონატულია, ზედა ფენებში თიხის სიჭარბით.

კლიმატი თბილია, ტენიანი და რბილი. საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს  $13,7-14,4^{\circ}\text{C}$ . ყველაზე ცივი თვის იანვრის ტემპერატურაა  $3,6-4,6$ , ხოლო ყველაზე თბილი თვის-აგვისტოს  $22,4-23,2^{\circ}\text{C}$ . სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა რვა თვეა. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს  $1157-1757$  მმ. ნალექების მინიმუმი მოდის გაზაფხულზე, ხოლო მაქსიმუმი-შემოდგომასა და ზამთარში. საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა აღნევს  $71-82\%$ .

ბუნებრივი მცენარეულობის გაბატონებული ტიპია-ბარის ტყეები, ხოლო თანმხლები-წყლოვან-ჭაობიანი მცენარეულობა. ბარის ტყეები წარმოდგენილია თბელით. მინარევის სახით გვხვდება იმერეთის მუხა, იფანი, რცხილა, ლაფანი და სხვ. ჭაობებში გავრცელებულია ჭილი, ისლი და სხვ.

ჭაობიანი ნიადაგების პროფილს აქვთ შემდეგი შენება: A(g) – B(g)-BC(g).

A(g) - მუქი-რუხი ჰუმუსოვანი ჰორიზონტი სიმძლავრით  $15-20$  სმ, კორტოვანი, მძიმე მექანიკური შედგენილობის, გადასვლა ნათელი.

B(g) - რუხი-ყომრალი ჰორიზონტი სიმძლავრით  $40-60$  სმ, ბელტოვანი, მძიმე მექანიკური შედგენილობის, გალებების ნიშნებით.

BC(g) - მუქი-ყომრალი ჰორიზონტი სიმძლავრით  $30-50$  სმ, ბელტოვანი, მძიმე მექანიკური შედგენილობის, გალებებული.

ჭაობიანი ნიადაგები აერთიანებენ ორ ტიპს: მინერალურ-ჭაობიან და ორგანულ-მინერალურ ჭაობიან ნიადაგებს.

მინერალურ-ჭაობიანი ნიადაგები იყოფა ორ ქვეტიპად: ლამიან-ჭაობიან და მდელოს ჭაობიან ნიადაგებად.

ლამიან-ჭაობიანი ნიადაგები ფორმირდება ტყის მცენარეულობის ქვეშ, ხოლო მდელოს ჭაობიანი ნიადაგები-ნატყეურ მდელოს ცენტების პირობებში.

ორგანულ-მინერალურ ჭაობიანი ნიადაგები იყოფა ორ ქვეტიპად: სუბაქვალური-ჭაობიანი და ტორფიან-ჭაობიანი.

ჭაობიანი ნიადაგების ქვეტიძებში გამოყოფენ შემდეგ გვარებს: ნეიტრალური, მუავე, ძლიერ მუავე, ნორმალურ-ნაცრიანი.

ჭაობიანი ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის გლეისოლების ჯგუფს, პროფილში მიმდინარე აღდგენითი პროცესებისა და გამოხატული გლეიი ფერის ნიშნით. გლეისოლების სპეციფიური, ტიპური თვისებების გამოხატულების გამო, სახელწოდებას სუფიქსად დაემატება კვალიფიკატორი ჰაპლიკი.

## ყვითელმიწა-ენერი ნიადაგები

ყვითელმიწა-ენერი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია მკვეთრად დიფერენცირებული პროფილი, კარგად გამოხატული ელუვიური და ყვითელ-ყომრალი ილუვიური ჰორიზონტი.


ყვითელმიწა-ენერი ნიადაგები ხასიათდება მუავე რეაქციით, ყველაზე მაღალი მუავიანობით გამოიჩინება ელუვიური ჰორიზონტები, სიღრმით აღინიშნება მუავიანობის შემცირების ტენდენცია. ჰუმუსის შემცველობა მცირე ან საშუალოა. ნიადაგები ღრმად ჰუმუსირებულია. ჰუმუსის ტიპი ფულვატურია, შთანთქმის ტევადობა დაბალი. ნიადაგები ფუძეებით არამაძლარია. მექანიკური შედგენილობის მიხედვით ნიადაგები თიხნარებსა და თიხებს მიეკუთვნება. ელუვიური ჰორიზონტები გაღარიბებულია წვრილი ფრაქციებით. ამ ჰორიზონტებში აღინიშნება კაუმინის დაგროვება და ერთნახევარი ჟანგების შემცირება. სიღრმეში, ილუვიურ ჰორიზონტებში, პირიქით, კაუმინის შემცველობა მცირდება და ერთნახევარი ჟანგების იზრდება. ნიადაგის მინერალური ნაწილი ხასიათდება ალიტური გამოფიტვით. ამ ნიადაგების ერთ-ერთი დიაგნოსტიკური ნიშანია ორტშტეინიანი ჰორიზონტის არსებობა, რომლის ნარმოქმნაში მონაწილეობს არა მარტო ზედა ჰორიზონტებიდან გამორეცხილი ერთნახევარი ჟანგეულები, არამედ რკინით გამდიდრებული ინფილტრაციული წყალი. მასში არსებული რკინის ნაერთების ხარჯზე ხდება ილუვიური ჰორიზონტის რკინით გამდიდრება და მძლავრი ორტშტეინიანი ჰორიზონტის ჩამოყალიბება. თიხამინერალებში ჭარბობს კაოლინიტი, ქლორიტები, ჰალიაზიტი. ყვითელმიწა-ენერ ნიადაგებში არასილიკატური რკინის შემცველობა ჭარბობს სილიკატურს.

ყვითელმიწა-ენერი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმოქმნებილი პროცესებია: გაენერება, ლესივირება, ალიტიზაცია და გამოტუტვა.

ყვითელმინა-ენერების საერთო ფართობი საქართველოში 2% შეადგენს (137 600 ჰა). ეს ნიადაგები ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ ზონაში ზღვის დონიდან 30-დან 200 მ-მდე, ძირითადად, კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში, აფხაზეთში, სამეგრელოსა და შედარებით ნაკლებად იმერეთში. ამ ნიადაგების საკმაოდ დიდი მასივები გვხვდება მდინარეების კოდორის, ენგურის, ხობის, რიონის, ყვირილას და სხვ. ძველ ტერასებზე.

ყვითელმინა-ენერი ნიადაგების პირველი მკვლევარი იყო დ. გელევანიშვილი (1912, 1927), რომელიც მათ სუბტროპიკულ ენერებს უწოდებდა, ამით განასხვავებდა ამ ნიადაგებს ჩრდილოეთის ენერებისგან და უკავშირებდა სუბტროპიკულ ყვითელმინა ნიადაგებს. ეს სახელნოდება გაიზიარა მრავალმა მკვლევარმა (ვიტინი, 1914; ზახაროვი, 1924, 1935; შულგა, 1924; კოვდა, 1934; პოლიონვი 1930; საბაშვილი, 1937, 1948; დარასელია, 1949 და სხვ.).

ვ. კოვდა (1934) ამ ნიადაგებს მიაკუთხნებდა ენერებს შემდეგი ნიშნებით: 1) სუბტროპიკული ენერნარმოქმნით, მჟავიანობითა და ფუძეების არამაძლრობის მიხედვით; 2) აშკარად გაენერებული ჰორიზონტების დიდი სიმძლავრით; 3) უფრო ღრმა ჰორიზონტებში ერთნახევარი ჟანგების ნანილობრივი გადაადგილებით და კონკრეციების დაგროვებით; 4) კაუმინის დაგროვებით ზედა ჰორიზონტებში.



ნახ.4. ყვითელმინა-ენერი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

მ. საბაშვილი (1936) აღნიშნავდა, რომ ამ ნიადაგებში ორტჭეინის ნარმოქმნა აისანება დაჭაობებით და ორგანულ ნივთიერებებთან ერთად ერთნახევარი ჟანგების ჩარეცხვით ქვედა ჰორიზონტებში.

კ. ბოგატირევმა (1954) ეს ნიადაგები გამოიყვანა ეწერების ჯეუ-ფიდან და ყურადღება გაამახვილა ზედაპირული გალებების ნამყვან როლზე.

1963 წლის საველე ექსკურსიის შედეგად ი. გერასიმოვმა დასავ-ლეთ საქართველოს სუბტროპიკული ენერი ნიადაგები მიაკუთვნა სუბტროპიკულ ცრუენერებს. ცრუენერებში ნამყვანია ორი ელემენ-ტარული ნიადაგნარმომქმნელი პროცესი: ლესივირება და ზედაპირუ-ლი გალებება. ი. გერასიმოვი (1966) თავის სტატიაში „რა არის აფხა-ზეთის სუბტროპიკული ენერები?“ აღნიშნავდა, რომ კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე ნამდვილი ეწერების არსებობა ნარმოადგენს აბ-სურდულ გეოგრაფიულ პარადოქსს.

ს. ზონის (1971, 1974) აზრით, სუბტროპიკული ნიადაგნარმოქმნა, რომელიც გამოიხატება რკინისა და ალუმინის დაგროვებასა და კაფეინის გამოტანაში, გამორიცხავს გაენერებას. ამ ნიადაგების გაუ-ფერულებას აქვთ გალებების და არა გაენერების ბუნება.

ამ ნიადაგების წყლის რეჟიმი განხილულია მ. დარასელიას (1947) და თ. ურუშაძის, ბ. მლოცველებიჩის (1976) შრომებში. ვ. ლეჟავას, ლ. ილინას, ს. გენდლერის (1984) მიერ შესწავლილია კონკრეციების მორ-ფოლოგია, მიეროსტრუქტურა და მინერალური შედგენილობა, ლ. მა-ჭავარიანის (1989) მიერ კი მიერომორფოლოგია და მიეროქიმია.

ამჟამად მიღებულია ყვითელმინა-ენერების სახელწოდება, რაც საქმაოდ ზუსტად ასახავს მათ გენეზისს.

ყვითელმინა-ენერები ფორმირდება, ძირითადად, ძველ ზღვიურ ტერასებზე. შედარებით მაღალი ჰიფსომეტრული ზოლი დანაწევრე-ბულია და დრენირებული; ტერასების დაბალი ნანილი ხასიათდება ნაკლები წყალწრეტით. ნიადაგნარმომქმნელი ქანები ნარმოდგენი-ლია თიხნარი და თიხა ნაფენებით, რომლებიც ფარავენ ქვამრგვა-ლებს.

კლიმატი არის ტენიანი, სუბტროპიკული. ზამთარი თბილია, იანვ-რის საშუალო ტემპერატურა 4,4-6,8°C; ზაფხული ცხელია, ივლისის საშუალო ტემპერატურა 22,5-24,5°C. საშუალო წლიური ტემპერატუ-რა მერყეობს 14-19°C ფარგლებში. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 4000-დან 4500°C-მდეა. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა არის რვა თვე. ნალექების რაოდენობა საკმაოდ მაღალია-1500 მმ-დე. ზაფხულსა და შემოდგომაზე ფარდობითი ტენიანობა აღწევს 90%, ხო-ლო მინიმალურ სიღიდეებს -67-70%-გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

ამჟამად ბუნებრივი მცენარეული საფარი დარღვეულია გაჩეხვის და ინტენსიური ძოვების შედეგად. ამ ზონაში გავრცელებული კოლ-ხეთის ტიპის პოლიდომინანტური ტყეები ნარმოდგენილი იყო მერქ-ნიანი ხეებით (მუხა, ძელქვა, ნაბლი, ხურმა, რცხილა, იფანი, ლაფანი)

მხვიარა ბუჩქებით (ეკალლიჭი, კატაბარდა) და მარადმწვანე ქვეტყით (ბზა, წყავი, დეკა). ამ ტყის მასივების ფართობები ათვისებულია სა-სოფლო-სამეურნეო კულტურებით: ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, სიმინდი. კოლხეთის ტყეები შემორჩენილია ფრაგმენტური ნაკვეთების სა-ხით.

ყვითელმიწა-ენერი ნიადაგების პროფილს აქვა შემდეგი შენება: A-A<sub>1</sub>A<sub>2</sub>-A<sub>2</sub>B-BC.

A - მუქი რუხი ჰუმუსოვანი პორიზონტი საერთო სიმძლავრით 15-20 სმ, წვრილ-კაკლოვანი, თიხნარი, ფესვების დიდი რაოდენობა, გადასვლა თანდათანობითი.

A<sub>1</sub>A<sub>2</sub>- ჩალისფერ-მორუხო ჰუმუსოვან-ელუვიური პორიზონტი, თიხნარი, წვრილ-კოშტოვანი, ფხვიერი, ფორმოვანი, გადასვლა თანდათანობითი.

A<sub>2</sub> - მოთეთორო-ყვითელი, ელუვიური პორიზონტი სიმძლავრით 5-10 სმ, თიხნარი, კოშტოვანი, ფხვიერი, ფორმოვანი, წვრილი კონკრეციებით, გადასვლა ნათელი.

B - მოყვითალო-უანგისფერი ილუვიური პორიზონტი სიმძლავრით 20-30 სმ, თიხიანი, მომკვრივო, კოშტოვან-ბელტოვანი, გვხვდება კონკრეციები, გადასვლა თანდათანობითი.

BC - მოყვითალო გარდამავალი პორიზონტი სიმძლავრით 20-40 სმ, თიხნარი ან თიხიანი, მევრივი, ბელტოვანი.

ყვითელმიწა-ენერი ნიადაგები განსხვავდება ყვითელმიწებისა და ნითელმიწებისგან მკვეთრად დიფერენცირებული პროფილით, რეინის კონკრეციების მომატებული შემცველობით და ხშირ შემთხვევაში პროფილის ქვედა ნანილში ორტეშტერის არსებობით. ყვითელმიწა-ენერლებიანი ნიადაგებისგან კი განასხვავებს სუსტი გალებება და კონკრეციების ნაკლები შემცველობა.

ყვითელმიწა - ენერი ნიადაგები იყოფა ორ ქვეტიშად: ტიპური და სუსტად არამაძლარი.

ტიპური ყვითელმიწა - ენერი ნიადაგები ვითარდება ტიპის არეალის ყველაზე ტენიან ნანილში. მათი მორფოლოგია და ძირითადი თვისებები შეესაბამება ტიპურ დახასიათებას.

სუსტად არამაძლარი ყვითელმიწა-ენერი ნიადაგები ძირითადად გავრცელებულია ტიპის არეალის შედარებით მშრალ ნანილში. ამ ნიადაგების ილუვიური პორიზონტები გამოირჩევა მოყავისფრო შეფერილობით. მათ ახასიათებთ სუსტი მუავე რეაქცია, დაბალი არამაძლრობის ხარისხი (20%-ზე ნაკლები).

ყვითელმიწა - ენერი ნიადაგების ქვეტიშებში გამოყოფენ შემდეგვარებს:

**ჩენეულებრივი** - ვითარდება ერთგვაროვან თიხნარ და თიხა ნია-დაგნარმომქმნელ ქანებზე და ყველაზე სრულად აქვს წარმოდგენილი ცალკეული ქვეტიპის თვისებები.

**კონტაქტურ-ლებიანი** - ფორმირდება არაერთგვაროვანი მექანიკური შედგენილობის ნიადაგნარმომქმნელ ქანებზე; ამ ნიადაგების პროფილში მკაფიოდაა გამოხატული გალებებული ჰორიზონტები, რაც დაკავშირებულია ქანების მექანიკური შედგენილობის ცვლილებასთან.

**ქვამრგვალებიანი** - წარმოიქმნება თიხნარებსა და თიხებზე, რომლებიც 1მ-მდე იცვლება ქვამრგვალებით.

**კონკრეციული** - შეიცავს პროფილის ერთ ან რამდენიმე ჰორიზონტი ნიადაგის საერთო მასიდან კონკრეციებს 20-დან-50%-მდე.

**ორტმშტეინური** - ხასიათდება ნიადაგის პროფილში სხვადასხვა სიღრმეზე ორტმშტეინის შრის არსებობით.

**ყვითელმინა** - ენერი ნიადაგები იყოფა სახეობად გაენერებული ჰორიზონტის ქვედა საზღვრის სიღრმის მიხედვით: ნვრილ გაენერებული (25 სმ-მდე), არალრმად გაენერებული (25-50 სმ), ორმაგ გაენერებული (50 სმ-ის ქვემოთ).

**ყვითელმინა-ენერი** ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის აკრისოლების ჯგუფს. მათ გააჩნიათ არჯიკ ჰორიზონტი, მჟავე რეაქცია, დაბალი შთანთქმის ტევადობა. ნიადაგებში გამოვლენილია დიაგნოსტიკური კვალიფიკატორები სტაგნიური და ჰიპერფურიკი.

## ყვითელმინა-ენერლებიანი ნიადაგები


**ყვითელმინა-ენერლებიანი** ნიადაგებისთვის დამახასიათებელია მკვეთრად დიფერენცირებული პროფილი, ინტენსიური გალებება, კონკრეციები მთელ სიღრმეზე, ხშირად კარგად გამოხატული ორტმშტეინის ფენის არსებობა.

**ყვითელმინა-ენერლებიანი** ნიადაგები ხასიათდება მჟავე, ნეიტრალური ან სუსტი ტუტე რეაქციით, ჰუმუსის ზომიერი შემცველობით და ღრმა ჰუმუსირებით, ჰუმუსის ტიპი ფულვატურია. ნიადაგები ფუძეებით მაძლარი ან არამაძლარია. მექანიკური შედგენილობის მიხედვით მიეკუთვნებიან თიხნარებსა და თიხებს. ჰუმუსოვანი და ელუვიური ჰორიზონტები გაღარიბებულია წვრილი ფრაქციებით. სილიკატური რკინის შემცველობა ჭარბობს არასილიკატური რკინის რაოდენობას.

ყვითელმინა-ენერლებიანი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომქმნელი პროცესებია: გალებება, გაენერება, ლესივირება, ალიტიზაცია და გამოტუტვა.

ყვითელმინა-ენერლებიანი ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 0,7% (14 200 ჰა) და გავრცელებულია ყვითელმინა-ენერენი ნიადაგების არეალში. განვითარების პირობებით ეს ნიადაგები მეტად ახლოს არიან ერთმანეთთან, მაგრამ ყვითელმინა-ენერლებიანი ნიადაგები ყვითელმინა-ენერებისგან განსხვავდებიან გრუნტის და ზედაპირული ჩამონადენი წყლებით მეტი დატენიანებით.

ყვითელმინა-ენერლებიანი ნიადაგების შესახებ კვლევები ჩატარებული აქვს ა. მონერელიას. მისი აზრით (1974) ეს ნიადაგები კოლხეთის დაბლობის პირობებში განვითარებულია მდინარეთა თანამედროვე და ძველ ტერასებზე. თანამედროვე ტერასებზე განვითარებული ნიადაგები გამოიჩინევიან კარგად გამოხატული გალებების ნიშნების მქონე ჰუმუსოვანი ჰორიზონტითა და მთელს პროფილში კონკრეციების შემცველობით. სიღრმით გალებება მატულობს და 50-60 სმ ქვემოთ ხშირად აღინიშნება გალებებული ჰორიზონტი. ძველ ტერასებზე ფორმირებული ყვითელმინა-ენერლებიანი ნიადაგების პროფილი გენეზისურ ჰორიზონტებზე კარგადაა დიფერენცირებული. ჰუმუსოვანი ჰორიზონტი მცირე სისქისაა. გალებება აღინიშნება ზედაპირიდანვე და სიღრმით თანდათანობით მატულობს. კონკრეციები და ორტშტეინის ფენა კარგადაა გამოხატული.



ნახ.5. ყვითელმინა-ენერლებიანი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

ყვითელმიწა-ენერლებიანი ნიადაგები იყავებენ რელიეფის ჩადაბ-ლებულ ადგილებს. ნიადაგნარმომქმნელი ქანები წარმოდგენილია თიხხარი და თიხა ნაფენებით, რომლებიც ფარავენ ქვამრგვალებს.

კლიმატი არის ტენიანი, სუბტროპიკული. ზამთარი თბილია, იანვ-რის საშუალო ტემპერატურა შეადგენს 4,4-6,8°C; ზაფხული ცხელია, ივნისის საშუალო ტემპერატურა 22,5-24,5°C. საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს 14-19°C ფარგლებში. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 4000-დან 4500°C -მდეა. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა არის რვა თვე. ნალექების რაოდენობა საკმაოდ მაღალია-1500 მმ-მდე. ზაფხულსა და შემოდგომაზე ფარდობითი ტენიანობა აღნევს 90%, ხოლო მინიმალურ სიდიდეებს -67-70%-გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

ამჟამად ბუნებრივი მცენარეული საფარი დარღვეულია. ნიადაგები ათვისებულია, ძირითადად, სიმინდითა და სხვა ერთნლიანი სა-სოფლო-სამეურნეო კულტურებით.

ყვითელმიწა-ენერლებიანი ნიადაგების პროფილს აქვს შემდეგი შენება: A-A<sub>1</sub>A<sub>2</sub>-B (g)-BC (g).

A - მუქი რუხი ჰუმუსოვანი ჰორიზონტი სიმძლავრით 15-20 სმ, ნვრილაკელოვანი, ფესვები დიდი რაოდენობით, თიხნარი, გალებების ნიშნებით, გადასვლა თანდათანობითი.

A<sub>1</sub>A<sub>2</sub>- ჩალისფერ-მორუხო ჰუმუს-ელუვიური ჰორიზონტი სიმძლავრით 5-20 სმ, თიხნარი, ნვრილ-კომტოვანი, ფესვები ნაკლებად, ფხვიერი, გალებების ნიშნებით, ფორმოვანი, გადასვლა თანდათანობითი.

B (g)- მოყვითალო-უანგისფერი ილუვიური ჰორიზონტი სიმძლავრით 30-60 სმ, გალებების ნიშნებით, თიხიანი, მოკვრივო, კომტოვან-ბელტოვანი, შეიმჩნევა კონკრეციები, გადასვლა თანდათანობითი.

BC(g)- მოყვითალო გარდამავალი ჰორიზონტი სიმძლავრით 10-30 სმ, თიხიანი, მკვრივი, ბელტოვანი, გალებების ნიშნებით, გა-დასვლა თანდათანობითი.

ყვითელმიწა-ენერლებიანი ნიადაგები განსხვავდება ყვითელმიწა-ენერი ნიადაგებისგან ინტენსიური გალებებით და მთელს პროფილში კონკრეციების მომატებული შემცველობით.

ყვითელმიწა - ენერლებიანი ნიადაგები იყოფა სამ ქვეტიპად: ზე-დაპირულად ლებნარი, ლებნარი და ლებიანი.

ზედაპირულად ლებნარი ყვითელმიწა - ენერლებიანი ნიადაგები ფორმირდებიან ჭარბტენიანი ზედაპირული დატენიანების გავლენით და აქვთ მეაფიოდ გამოხატული გალებება პროფილის ზედა ნაწილში, განსაკუთრებით, ელუვიური ჰორიზონტის ქვედა და ილუვიური ჰო-

რიზონტის ზედა ნაწილში. ეს ნიადაგები გავრცელებულია შეზღუდულად, ფერდობების გავაკებულ ნაწილებში.

ლებნარი ყვითელმინა - ენერლებიანი ნიადაგები ვითარდებიან ჭარბტენიანი გრუნტის დატენიანების პირობებში. გალებება აღინიშნება ილუვიური ჰორიზონტის ქვედა ნაწილში და ნიადაგებისა და ფარბების განვითარებისა და მომატებული შემცველობით, ხშირად ორტმტენის არსებობით.

ლებიანი ყვითელმინა - ენერლებიანი ნიადაგები განსხვავდებიან ლებნარებისგან უფრო ინტენსიური გალებებით და რკინის კონკრეტიების მომატებული შემცველობით, ხშირად ორტმტენის არსებობით.

ყვითელმინა - ენერლებიანი ნიადაგების ქვეტიცებში გამოიყოფა შემდეგი გვარები:

ჩევეულებრივი - ვითარდებიან უკარბონატო წვრილმინა ქანებზე და ყველაზე სრულად აქვთ წარმოდგენილი ცალკეული ქვეტიცების თვისებები.

ნარჩენ-კარბონატული - ფორმირდებიან კარბონატულ ქანებზე.

ქვამრგვალიანი - წარმოიქმნებიან თიხნარებსა და თიხებზე, რომელიც 18-მდე იცვლებიან ქვამრაგვალებით.

კონკრეციული - შეიცავენ პროფილის ერთ ან რამდენიმე ჰორიზონტში კონკრეციების 20-50% ნიადაგის საერთო მასიდან.

ორტმტენის ფენის არსებობით. ხასიათდებიან პროფილში სხვადასხვა სილრმეზე ორტმტენის ფენის არსებობით.

ყვითელმინა - ენერლებიანი ნიადაგები იყოფა სახეობად გაენერებული ჰორიზონტის ქვედა საზღვრის სილრმის მიხედვით: წვრილ გაენერებული (25 სმ-მდე), არალრმად გაენერებული (25-50 სმ), ორმაგ გაენერებული (50 სმ-ის ქვემოთ).

ყვითელმინა - ენერლებიანი ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის აკრისოლების ჯგუფს, არჯიკ ჰორიზონტის არსებობის გამო. ნიადაგებში გამოვლენილია დიაგნოსტიკური კვალიფიკატორი გლეიკი.

## ყვითელ-ყომრალი ნიადაგები


ყვითელ-ყომრალი ნიადაგების ძირითადი დიაგნოსტიკური მაჩვენებლებია: პრაქტიკულად მკვდარი საფარის უქონლობა, კარგად გამოხატული ჰუმუსოვანი და ილუვიური ჰორიზონტები, ალიტური გამოფიტვა, რკინით გამდიდრება.

ყვითელ-ყომრალი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია მჟავე რეაქცია; ყველაზე მაღალი მჟავიანობით გამოირჩევიან ჰუმუსოვანი ჰორიზონტები; სილრმეში აღინიშნება მჟავიანობის შემცირების ტენდენ-

ცია. ეს ნიადაგები ჰუმუსს დიდი რაოდენობით შეიცავენ და მის განაწილებას არა აქვს ტყის ნიადაგებისთვის დამახასიათებელი კანონზომიერება. ჰუმუსის შემცველობა მეტად ნელა, თანდათანობით მცირდება და პროფილში დაახლოებით ერთი მეტრის სიღრმეზე ვრცელდება. ნიადაგები ფუძეებით არამაღლარია. შთანთქმული წყალბადი საკმაოდ დიდი რაოდენობითაა და ზოგ შემთხვევაში მას შთანთქმის ტევადობის ნახევარზე მეტი უჭირავს. ყვითელ-ყომრალები კალციუმით და მაგნიუმით ღარიბია. მექანიკური შედგენილობით ნიადაგები მძიმე თიხნარებს მიეკუთვნებიან. მიკრონული ფრაქციის გადაადგილება პროფილში არ შეიმჩნევა ან უმნიშვნელოა. ყვითელ-ყომრალი ნიადაგების მინერალური ნაწილი ხასიათდება ფერალიტური გამოფიტვით, არასილიკატური რკინის მომატებული შემცველობით. თიხამინერალებში მაღალია კაოლინიტის შემცველობა, სამუალო რაოდენობითაა ქლორიტები, მცირე რაოდენობით ალინიშნება მონტმორილონიტი და ქარსები.

კაუმინის განაწილება პროფილის მიხედვით თანაბარია, რომელთანაც კორელაციაშია ერთნახევარი უანგეულების მომატებული შემცველობა და თანაბარი განაწილება.

ყვითელ-ყომრალი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომქმნელი პროცესებია: ფერალიტიზაცია, ჰუმუსნარმოქმნა, გამოტუტვა.



ნახ.6. ყვითელ-ყომრალი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

ყვითელ-ყომრალი ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 1,5% (106 000 ჰა). ეს ნიადაგები გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, სუბტროპიკული სარტყელის ყვითელმინა, ნითელმინა და ყომრალ ნიადაგებს შორის, ზღვის დონიდან 400-500 მ-დან 800-1000 მ-მდე.

გ.ტარასაშვილი (1938) აღნიშნავდა დასავლეთ საქართველოს ტყის ნიადაგების თავისებურებას, რომელიც გამოიხატებოდა გადი-დებულ მუავიანობაში, ფუძეებით ძლიერ არამაძლრობაში.

მ. საბაშვილის (1948) მიაჩნდა, რომ დასავლეთ საქართველოს ზო-გიერთი ტყის ნიადაგი, სხვა ყომრალ ნიადაგებთან შედარებით, გამო-ირჩევა ძლიერი არამაძლრობით, მუავე რეაქციით და მათ მიაკუთვ-ნებდა ყომრალებიდან წითელმინებისკენ გარდამავალ წითელი ფერის ყომრალებს.

1963 წელს ბათუმის მიდამოებში, მთა მტირალას ფერდობებზე, საველე ექსკურსის დროს, ი. გერასიმოვმა ამ ნიადაგებს უწოდა ყვი-თველ-ყომრალი, რათა ეჩვენებინა გარდამავალი ხასიათი ზომიერად თბილი სარტყლის ყომრალებიდან ტენიანი სუბტროპიკების ნიადაგე-ბისკენ. მ. ზონა (1966) აგრეთვე გამოთქვა მოსაზრება საქართველო-ში ყვითელ-ყომრალი ნიადაგების შესაძლებელი არსებობის შესახებ.

ნიადაგნარმომქმნელი ფაქტორების, შედგენილობის და მათ ჩამო-ყალიბებაში მონაწილე პროცესების ღრმა შესწავლის საფუძველზე, 1967 წელს თ. ურუშაძემ პირველმა დაასაბუთა ყვითელ-ყომრალი ნი-ადაგების ცალკე გენეზისურ ტიპად გამოყოფის აუცილებლობა. ქარ-თველი მეცნიერის ეს გამოკვლევა იაპონელმა ნიადაგმცოდნებმა საფუძვლად დაუდეს თავიანთ კვლევებს. ჩირონ კანომ (1970) და სუტ-ცუკი ნაგატსუკიმ (1971), თ. ურუშაძის მიერ საქართველოს ყვითელ-ყომრალი ნიადაგებისთვის დადგენილი ნიადაგნარმომქმნელი ფაქ-ტორების, დიაგნოსტიკური ნიშნებისა და სხვა მაჩვენებლების ეტა-ლონირებით, თავიანთ სამშობლოში დამოუკიდებელ ტიპად გამოყვეს ყვითელ-ყომრალი ნიადაგები. თ. ურუშაძის მასალები, ყვითელ-ყომ-რალი ნიადაგების შესახებ, შესულია მთელ რიგ სახელმძღვანელოში, მათ შორის პოლონეთში ზ. პრუსინკევიჩის (1982) და რუსეთში გ. დობ-როვოლსკის, ი. ურუშევსკაიას (1984) ავტორობით.

ყვითელ-ყომრალ ნიადაგებს უკავია ეროზიულ-დენუდაციური ტიპის რელიეფი. დედაქანები ნარმოდგენილია პორფირიტული წყე-ბის, ნეოეფუზიების (ანდეზიტი, ანდეზიტ-ბაზალტი) ძველი, დენუდა-ციური ქერქითა და მათი დერივატებით.

კლიმატი სუბტროპიკულ ჰაერიდურია. ზამთარი თბილია, იანვრის საშუალო ტემპერატურა  $0,7\text{--}3,2^{\circ}\text{C}$ ; ზაფხული არის თბილი, ივლისის საშუალო ტემპერატურა  $18,8\text{--}21,8^{\circ}\text{C}$  -მდეა. სავეგტაციო პერი-ოდის ხანგრძლივობა ექვსი-შვიდი თვეა. ნალექების საშუალო წლიუ-რი რაოდენობა საქმაოდ დიდია  $1035\text{--}2108$  მმ-მდე. თბილ პერი-ოდზე მოდის ნალექების ნახევარზე მეტი. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი მერყეობს  $3500\text{--}4500^{\circ}\text{C}$  -მდე. დატენიანების წლიური კოე-ფიციენტი ერთზე მეტია.

ბუნებრივი მცენარეულობა წარმოდგენილია წაბლის ტყეებით, რომლებშიც მინარევის სახით გვხვდება კავკასიური რცხილა, ჰარტვისის მუხა, აღმოსავლეთის ნეერჩხალი და სხვ. ამ ტყეების განმასხვავებელი ნიშანია მარადმნვანე ქვეტყის (წყავი, კავკასიური დეკა, კავკასიური მოცვი და სხვ.) ფართო გავრცელება. ყვითელ-ყომრალი ნიადაგების შედარებით მცირე ფართობები ათვისებულია, ძირითადად, მრავალნლიანი კულტურებით: ვენახით, ხეხილით.

ყვითელ-ყომრალი ნიადაგების პროფილს აქვს შემდეგი შენება: A-AB-B-C.

A - რუხი-ყომრალი ჰუმუსოვანი ჰორიზონტი საერთო სიმძლავრით 15-20 სმ, მარცვლოვანი, თიხნარი, ფესვების დიდი რაოდენობით, გადასვლა თანდათანობითი.

AB - ყომრალი გარდამავალი ჰორიზონტი საერთო სიმძლავრით 15-20 სმ, მარცვლოვან-წვრილკაკლოვანი, თიხნარი, ფესვები ნაკლები რაოდენობით, გადასვლა ნათელი.

B - ყვითელ-ყომრალი ილუვიური ჰორიზონტი საერთო სიმძლავრით 30-40 სმ, კოშტოვან-დაკუთხული, თიხნარი, მომკვრივო, ერთდროულად ფესვები და ქანის ნატეხები, გადასვლა თანდათანობითი.

C - ყვითელ-ყომრალი, კოშტოვან-დაკუთხული, თიხნარი, ქანის ნატეხების დიდი რაოდენობით.

ყვითელ-ყომრალი ნიადაგები განსხვავდებიან ყომრალებისგან, რომლებიც ფორმირდებიან უფრო გრილ პირობებში, მოყვითალო და ზოგჯერ მონითალო შეფერილობით, პრაქტიკულად მეტარი საფარის უქონლობით, უარესი და ნაკლებად მდგრადი გასტრუქტურებით, უფრო ღრმა ფერალიტური გამოფიტვით, კაუმინის ნაკლები და ერთნახევარი უანგელების მეტი რაოდენობით, უფრო მუავე რეაქციით, მეტი ჰუმუსიანობით და ჰუმუსირებით, ნაკლები შთანთქმის ტევადობით, რეაქციის სხვადასხვა ფორმის მეტი შემცველობით.

ყვითელ-ყომრალი ნიადაგები განსხვავდებიან ყვითელმინებისა და წითელმინებისგან, რომლებიც უფრო თბილ პირობებში ვითარდებიან, უფრო სუსტად გამოხატული მოყვითალო მონითალო შეფერილობით, უფრო მძლავრი ჰუმუსირებით, უკეთესი გასტრუქტურებით, ნაკლები გამოფიტვით, ერთნახევარი უანგების მცირე და კაუმინის მეტი შემცველობით, შედარებით მაღალი გაცვლითი უნარიანობით.

ყვითელ - ყომრალი ნიადაგები იყოფა ორ ქვეტიპად: ტიპური და გაენერებული.

ტიპური ყვითელ - ყომრალი ნიადაგების თვისებები შეესაბამებიან ტიპისთვის დამახასიათებელ ნიშნებს.

**გაუწერებული ყვითელ** - ყომრალი ნიადაგები ხასიათდებიან ზედა გაუფერულებული ფენით, რომელსაც აქვს მორუხო-ჩალისფერი შეფერილობა და სტრუქტურაში შერეობრიობის ელემენტები. მექანიკურ და მთლიან ქიმიურ შედგენილობაში მუღლავნდება ზედა პორიზონტების გაღარიბება ლექის ნაწილაკებით, ალუმინითა და რკინით.

**ყვითელ** - ყომრალი ნიადაგების ქვეტიპებში გამოყოფენ შემდეგ გვარებს:

**ჩვეულებრივი** - ვითარდებიან მძლავრ დელუვიონსა და ელუვიონ-ზე. მათ ყველაზე სრულად აქვთ წარმოდგენილი ცალკეული ქვეტიპების თვისებები.

**არასრულგანვითარებული** - ფორმირდებიან შედარებით მცირე სისქის მყარი ქანების ელუვიონზე და შეიცავენ ხირხატს მთელ პროფილში.

**ყვითელ** - ყომრალი ნიადაგები იყოფიან სახეობად პუმუსოვანი პორიზონტის სიმძლავრით: ლრმად პუმუსირებული ( $> 30$  სმ), არალრმად პუმუსირებული (20-დან 30 სმ-მდე) და წვრილ პუმუსირებული ( $< 20$  სმ).


**ყვითელ** - ყომრალი ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის ლუვისოლების ჯგუფს არჯიკ პორიზონტის არსებობის გამო; ნიადაგების პროფილში აღინიშნება სტაგნიკ, მოლიპუმიკ და ფერიკ დიაგნოსტიკური კვალიფიკატორები.

## ყომრალი ნიადაგები

ყომრალი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია პროფილის მეტ-ნაკლებად მონოტონური ყომრალი შეფერილობა და შუა ნაწილში მეტამორფული, გათიხებული პორიზონტის არსებობა.

ყომრალები ხასიათდებიან სუსტად მუავე რეაქციით, რკინის მოძრავი ფორმების მაღალი შემცველობით. ნიადაგები ზომიერად პუმუსიანი და ლრმად პუმუსირებულია, პუმუსის ტიპი ფულვატურია. ნიადაგები სუსტად ან საშუალოდ არამაძლარია. გაცვლით კატიონებში მკვეთრად ჭარბობს კალციუმი. შთანთქმული კატიონების ჯამი საშუალოა. ყომრალი ნიადაგები მექანიკური შედგენილობით უმეტესად მიეკუთვნებიან საშუალო და მსუბუქ, იშვიათად მძიმე თიხნარებს. მინერალური ნაწილი ფორმირდება სიალიტური ტიპის გამოფიტვით. თიხამინერალები წარმოდგენილია ჰიდროქარსებით, მონტმორილონიტის შერეულშრიიანი წარმონაქმნით, ქლორიტითა და კაოლინიტით.

ყომრალი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგწარმომქმნელი პროცესებია: პუმუსის დაგროვება, გათიხება, ლესივირება.



ნახ. 7. ყომრალი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

საქართველოში ყომრალი ნიადაგების არეალი შეადგენს მთელი ტერიტორიის 18,1 % (1 329 000 ჰა). ეს ნიადაგები გავრცელებულია აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს დიდ ნაწილზე. დასავლეთ საქართველოში ისინი მოქცეულია ზღვის დონიდან 800(900)-1800(2000) მ, აღმოსავლეთ საქართველოში-900 (1000)-1900 (2000) მ-ის სიმაღლის ფარგლებში.

ე.რამანია 1905 წელს, პირველად გერმანიაში, ყომრალი ნიადაგები დამოუკიდებელ ტიპად გამოჰყო. მისი კვლევების მიხედვით ყომრალი ნიადაგები არ შეიცავს კარბონატებსა და სულფატებს, ნიადაგების ყვითელი ან ინტენსიური ყომრალი შეფერილობა დამოკიდებულია რკინის ჰიდროფანგების შემცველობაზე.

1909 წელს ე.რამანის იდეას ყომრალი ნიადაგების ცალკე ტიპად გამოყოფის შესახებ მხარი დაუჭირა რუმინეთში გ. მურგოჩმა, რომელმაც შემოიღო მათი ახალი სახელწოდება - ტყის ყომრალი ნიადაგი.

1930 წელს, ნიადაგმცოდნეთა მე-11 საერთაშორისო კონგრესზე, ყომრალი ნიადაგები ოფიციალურად იქნა აღიარებული.

ბ. პრასოლოვის მიერ 1933 წელს, საქართველოში, პირველად იქნა შესწავლილი ყომრალი ნიადაგები. თავდაპირველად ამ ნიადაგებს აუთვნებდნენ არა მხოლოდ მთა-ტყის, არამედ ტყისა და ნატყევარის ნიადაგებსაც.

გ. ტარასაშვილის (1939, 1956), ვ. გულისაშვილის (1942), მ. საბაშვილის (1948), ლ. ნაკაშიძის (1949), გ. ტალახაძის (1959), ნ. ტარასაშვილის (1965) და სხვათა გამოკვლევებმა სიცხადე შეიტანეს ყომრალი ნიადაგების გენეზისის, გეოგრაფიისა და კლასიფიკაციის საკითხებში.

განსაკუთრებით დაწვრილებით ეს ნიადაგები შეისწავლა თ. ურუშაძემ (1987), რომელმაც პირველად გამოიყენა კვლევის ახალი მეთოდები და მოგვცა მათი საკმაოდ სრული დახასიათება. თ. ურუშაძემ

(1974) ს. ზონთან ერთად ჩამოაყალიბა მთიან პირობებში ნიადაგების ფორმირებისა და ბიოცენოზთა ურთიერთქმედების თავისებურებათა სპეციფიკა.

ყომრალი ნიადაგები უმტესად ფერდობებზე განვითარებული, რაც განაპირობებს აუცილებელ, თავისუფალ დრენაჟს. დენუდაციის მოვლენები აღინიშნება როგორც ვერტიკალური, ისე პორიზონტა-ლური მიმართულებით. რელიეფის ფორმირება, ძირითადად, წყლოვანი დენუდაციის მოვლენებითაა გამოწვეული. ეროზისა და დენუდაციის პროცესების შედეგად ალაგ-ალაგ პენეპლენირების მოვლენებსაც აქვს ადგილი. დასავლეთ საქართველოს გეოლოგიურ შენებაში ნამყვანი როლი ეკუთვნის ქვიშნარებსა და თიხაფიქლებს, მერგელებს, კონგლომერატებს და სხვ. ტერიტორიის დანარჩენ ნანილში ჭარბობენ გრანიტები, გნეისები, ქვიშნარები, ფიქლები და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოს მთა-ტყის ზონის ფარგლებში გეოლოგიურ შენებაში მონანილეობენ ქვიშნარები, თიხაფიქლები და კირქვა-თიხიანი ფიქლები. ვულკანური ნარმონაქმნები ფართოდაა გავრცელებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

ყომრალი ნიადაგები ვითარდებან წიფლნარების, მუქწინვიანების, ფიჭვნარების, მუხნარებისა და სხვა ტყეების ქვეშ. წიფლნარები ფართობით პირველ ადგილს იკავებენ და ნარმოადგენენ მცენარეულობის ძირითად ტიპს. ისინი ქმნიან ცალკე ბუნებრივ ზონას ზღვის დონიდან 1000-1100 მ-დან 2000-2100 მ-დე. ეს ზონა არ არის მესხეთ-ჯავახეთში. დასავლეთ საქართველოს 1400-1500 მ-ის ზემოთ წიფლნარებს ცვლიან მუქწინვიანი ტყეები. მუხნარები ნარმოადგენილია მუხნის რამდენიმე სახეობით, რომელთაგან ყველაზე მეტად გავრცელებულია ქართული მუხნა. ის ქმნის ტყის მასივებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ზღვის დონიდან 400 (500) მ-დან 1000-1100 მ-დე.

კლიმატი თბილი და ზომიერად ტენიანია. ივლისის ტემპერატურა შეადგენს  $16,8-21,8^{\circ}\text{C}$ , იანვრის კი  $-2,1-7,6^{\circ}\text{C}$ . საშუალო წლიური ტემპერატურა  $3,8-10,9^{\circ}\text{C}$ . ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 527 მმ-დან 1737 მმ-დე. ნალექების მინიმუმი აღინიშნება ზამთრის თვეებში, ხოლო მაქსიმუმი-მაის-ივნისში. დატენიანების კოეფიციენტი  $1-3\%$  მეტია, რაც განაპირობებს ნიადაგების ტენის ჩამრეცხოვის.

ყომრალი ნიადაგების პროფილს აქვს შემდეგი შენება: A0-A-Bm-BC-C.

A0 -ფოთლების, წინვებისა და მერქნიანი ნარჩენების ჩამონაცვენიდან შემდეგარი მევდარი საფარი საერთო სიმძლავრით  $0,5$ -დან  $5$  მმ-დე.

**A - ყომრალი** ან რუხი-ყომრალი ჰუმუსოვანი ჰორიზონტი საერთო სიმძლავრით 10-15(20) სმ, ბევრია ფესვები, ზოგჯერ გახვდება წვრილი ხირხატი, ფეხიერი, კოშტოვანი ან კოშტოვან-მარცვლოვანი, თიხნარი.

**Bm-ყომრალი** ან ყავისფერ-ყომრალი მეტამორფული (ან ილუვიურ-მეტამორფული) ჰორიზონტი, თიხნარი, ზოგჯერ გამკვრივებული, კოშტოვან-კაკლოვანი ან მარცვლოვან-კაკლოვანი, საკმაოდ ხშირად შეიმჩნევა ხირხატი, რომელიც სილრმით ელუვიონ-დელუვიონით იცვლება.

**BC-ქანისეენ** გარდამავალი ჰორიზონტი.

**C - დედაქანი**, რომელიც წარმოდგენილია თიხნარ-ქვიან-ხრეშიანი ელუვიონით, მკვრივი ქანების და იშვიათად წვრილმინა ქანების ელუვიონ-დელუვიონით.

ყომრალი ნიადაგები განსხვავდებიან მთა-ტყე-მდელის ნიადაგებისგან (რომლებიც ფორმირდებიან სუბალპური სარტყლის უფრო ცივ პირობებში) ყომრალი შეფერილობით, უკეთესი გასტრუქტურებით, წაკლები სიფეხვიერით, ხირხატიანობით, მეტი სიმძლავრით, ჰუმუსის შედარებით ნაკლები რაოდენობით, დაბალი არამაძლრობით, მეტი გათიხებით, ნაკლებად მუავე რეაქციით, რკინის მოძრავი ფორმების ნაკლებ შემცველობით.

ყომრალი ნიადაგები განსხვავდებიან ყვითელ-ყომრალებისგან (რომლებიც ფორმირდებიან უფრო თბილ და ტენიან პირობებში) ყომრალი შეფერილობით, კარგად გამოხატული მკვდარი საფარით, უკეთესი გასტრუქტურებით, ნაკლებად ღრმა გამოფიტვით, კაუმინის მეტი და ერთნახევარი უანგეულების ნაკლები რაოდენობით, ნაკლები მუავიანობით და ჰუმუსირებით, უფრო მეტი შთანთქმის ტევადობით, რკინის სხვადასხვა ფორმის დაბალი შემცველობით.

ყომრალი ნიადაგები განსხვავდებიან ყავისფერი ნიადაგებიდან (რომლებიც ფორმირდებიან შედარებით თბილ და მშრალ პირობებში) ყომრალი შეფერილობით, ილუვიურ-კარბონატული ჰორიზონტის და ნიადაგური პროფილის შუა ნანილში მკვეთრი გათიხების უქონლობით, სუსტად მუავე ან მუავე რეაქციით და შთანთქმული კომპლექსის ფუძეებით არამაძლრობით.

ყომრალი ნიადაგები იყოფა რამდენიმე ქვეტიპად: სუსტად არა-მაძლარი, მუავე, გაენერებული (ცრუგაენერებული), რენბინო-ყომრალი.

სუსტად არამაძლარი ყომრალი ნიადაგები ხასიათდებიან პროფილში მექანიკური ფრაქციების უმნიშვნელოდ არაერთგვაროვანი განანილებით, სუსტად მუავე რეაქციით, ჰუმუსის საშუალო შემცველობით, ღრმა ჰუმუსირებით, მაძლრობით და სუსტი არამაძლრობით,

თათქმის ყველა უანგეულის თანაბარი განაწილებით, ჰუმუსის ფულ-ვატური ტიპით, ჰუმინების მომატებული შემცველობით.

ყომრალი მუავე ნიადაგები განსხვავდებიან ყომრალი სუსტად არამაძლარი ნიადაგებიდან მთელი პროფილის მუავე რეაქციით, არა-მაძლრობით, შთანთქმის ნაკლები ტევადობით, სილრმეში ჰუმუსის თანდათანობითი შემცირებით, ჰუმინების ნაკლები შემცველობით.

გაენერებული (ცრუგაენერებული) ნიადაგები ხასიათდებიან პრო-ფილის მკვეთრი დიფერენციაციით მექანიკური შედგენილობის მი-ხედვით, სილრმეში მუავიანობის უმნიშვნელო მომატებით, ლექის ფრაქციაში კაფმინისა და ერთნახევარი უანგეულების თანაბარი განაწილებით. რკინის მოძრავი ფორმების გადაადგილებით და ლესი-ვირებულ ჰორიზონტში მათი მინიმალური შემცველობით, სადაც პე-რიოდულად მიმდინარეობს უანგვა-ალდგენითი პირობების შეცვლა, ხდება რკინის ნანილობრივი გამოყოფა წვრილი კონკრეციების სა-ხით, რაც აპირობებს ამ ჰორიზონტის გარევეულ გაუფერულებას.

რენძინო-ყომრალი ნიადაგები გარდამავალი ნიადაგებია კორდი-ან-კარბონატულ და ყომრალ ნიადაგებს შორის. ეს ნიადაგები ხასიათ-დებიან დიფერენცირებული პროფილით, ზედა ჰორიზონტის სუსტად ტუტე და ქვედა ჰორიზონტის სუსტი ტუტე რეაქციით, ჰუმუსის ზო-მიერი შემცველობით, სილრმეში მისი მკვეთრი შემცირებით და ღრმა ჰუმუსირებით, ჰუმუსის ფულუვატური ბუნებით, მაღალი გაცვლითი უხარისანობით, პროფილის ზედა ნაწილში კარბონატების გამოტუტ-ვით.

ყომრალი ნიადაგების ქვეტიპებში გამოყოფენ შემდეგ გვარებს:

ჩვეულებრივი - ფორმირდებიან მკვრივი დანალექი, მეტამორფუ-ლი, მაგმური ქანების ელუვიონსა და ელუვიო-დელუვიონზე, აგრეთვე წვრილმინა ნაფენებზე. ამ გვარს გააჩნია ყომრალი ნიადაგების ქვე-ტიპების ყველა ნიშანი და თვისება.

ნარჩენ-მაძლარი - ვითარდებიან, ძირითადად, მაგმური ქანების ელუვიონსა და ელუვიონ-დელუვიონზე. ეს ნიადაგები გამოირჩევიან პროფილის ზედა ნაწილის სუსტად მუავე რეაქციით და სილრმეში მუავიანობის თანდათანობითი შემცირებით, ფუძეებით მნიშვნელოვა-ნი მაძლრობით, კარგად გამოხატული წვრილმარცვლოვანი ან კოშ-ტოვან-მარცვლოვანი სტრუქტურით, შედარებით მუქი ყავისფერ-ყომრალი შეფერილობით და ერთნახევარი უანგეულების უფრო მაღა-ლი შემცველობით.

ფერალიტიზირებული - ფორმირდებიან ძველი, ნითელი ფერის ელუვიურ და დელუვიურ ნაფენებზე. მათთვის დამახასიათებელია პროფილის მონითალო ან მონითალო-ყომრალი შეფერვა, პროფილის ზედა ნაწილის სუსტად მუავე რეაქცია, ხოლო ქვედა ნაწილის მუავე

რეაქცია, შთანთქმის დაბალი ტევადობა, ფუძეებით შესამჩნევი არა-მაძღვრობა და ერთნახევარი უანგეულების მომატებული შემცველობა.

მეორუდ-ურდფიან-ფორმირდებიან მეორადი მდელოების, გა-მეჩერებული ტყეების ქვეშ და ტყეეკაფებზე. ნიადაგები გამოირჩევი-ან კარგად გამოხატული კორდიანი ჰორიზონტით, რომელსაც ახასია-თებს საკმაო სიმძლავრე და კოშტოვან-მარცვლოვანი სტრუქტურა.

ყომრალი ნიადაგები იყოფიან სახეობად:

ჰუმუსის შემცველობის მიხედვით- ბევრჰუმუსიანი ( $>10\%$ ), საშუ-ალო ჰუმუსიანი ( $5-10\%$ ) და მცირებულუსიანი ( $<5\%$ ).

ეროზიოების მიხედვით-სუსტად გადარეცხილი (ჰუმუსოვანი ან სახნავი ჰორიზონტი ნაწილობრივ გადარეცხილია), საშუალოდ გადა-რეცხილი (ჰუმუსოვანი ან სახნავი ჰორიზონტი მთლიანად გადა-რეცხილია), ძლიერად გადარეცხილი (B ჰორიზონტი ნაწილობრივ გა-დარეცხილია).


ყომრალი ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის კამბისოლების ჯგუფს, კამბიკ ჰორი-ზონტის არსებობის გამო. ნიადაგებში ფიქსირდება მოლიჰუმიკი და ეუთრიკ დიაგნოსტიკური კვალიტიკატორები.

## ყომრალ-შავი ნიადაგები

ყომრალ-შავი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია პროფილის შავ-ყომრალი შეფერილობა, მძლავრი ჰუმუსოვანი ჰორიზონტი და უკარბონატობა.

ყომრალ-შავი ნიადაგები ხასიათდებიან სუსტად მჟავე რეაქციით. ჰუმუსის შემცველობა საშუალო ან ზოგიერთ შემთხვევაში მაღალია. ნიადაგები სუსტად არამაძლარია, შთანთქმული კატიონების შედგე-ნილობაში ჭარბობს კალციუმი. მექანიკური შედგენილობის მიხედვით ნიადაგები მიეკუთვნებიან მძიმე თიხნარებს. ნიადაგების მინერალუ-რი ნაწილი ფორმირდება სიალიტური გამოფიტვით. ყომრალ-შავ ნია-დაგებში ალინიშნება არასილიკატური და ამორფული რკინის გადიდე-ბული შემცველობა.

ყომრალ-შავი ნიადაგების ძირითადი ნიადაგწარმომქმნელი პრო-ცესებია: ჰუმუსწარმოქმნა, ჰუმუსდაგროვება, გამოტუტვა, სიალიტი-ზაცია.



ნახ. 8. ყომრალ-შავი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

ყომრალ-შავი ნიადაგები გავრცელებულია მცირე კავკასიონის ტყის სარტყელში ზღვის დონიდან 1100-დან 1600 მ-მდე და უმუალოდ ემიჯენებიან ყომრალ ნიადაგებს.

საქართველოში პირველად, ეს ნიადაგები, ამ სახელწოდებით თ. ურუშაძემ (1987) გამოყო. მან მოგვცა მათი სრული გენეზისური და-ხასიათება და დაასაბუთა მათი ცალკე გენეზისურ ტიპად გამოყოფის აუცილებლობა.

ეს ნიადაგები უნგრეთსა და რუმინეთში გამოიყოფა ყომრალი შავ-მინისებრის, პოლონეთში-ევტროფული ყომრალების, მონლოლეთსა და შეუა აზიაში შავ-ყომრალების სახელწოდებით.

ვ. აკომცევმა (1927) ეს ნიადაგები საქართველოში გამოიკვლია მთის ტყის შავმინისებრის სახელწოდებით. ის აღნიშნავდა, რომ ნია-დაგები გამოირჩევიან დიდი სიმძლავრით და ვითარდებიან ბაზალტე-ბის გამოფიტვის თიხიან პროდუქტებზე.

თ. კვინიხიძემ (1950) დაწვრილებით შეისწავლა ეს ნიადაგები აღ-მოსავლეთის მუხის ტყეების ქვეშ და მიაკუთვნა ყომრალებს. მისი გა-მოკვლევით ნიადაგები ხასიათდებიან ნეიტრალურთან ახლოს მდგო-მი რეაციით, შთანთქმული კატიონების შედგენილობაში გაცვლითი ნყალბადის მცირე რაოდენობით, საშუალო თიხნარი მექანიკური შედ-გენილობით, ჰუმუსის ზომიერი შემცველობით.

ყომრალ-შავი ნიადაგები გავრცელებულია წყნარი რელიეფის პირო-ბებში, ძირითადად, სამხრეთისკენ დახრილ გავაკებულ უბნებზე. ნია-დაგნარმომებული ქანები წარმოდგენილია ანდეზიტ-ბაზალტებით.

ყომრალ-შავი ნიადაგები ფორმირდებიან ტენიანი კლიმატის (გრილი ზაფხულით და ცივი ზამთრით) პირობებში. ყველაზე თბილი თვეს - ივლისის საშუალო ტემპერატურა  $18,6^{\circ}\text{C}$  აღნევს, ხოლო ყვე-

ლაზე ცივი თვის-იანვრის  $2,2^{\circ}\text{C}$ . საშუალო წლიური ტემპერატურა არის  $8,0^{\circ}\text{C}$ , აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  $2200-2500^{\circ}\text{C}$  უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა ხუთი თვეა. ნალექების წლიური რაოდენობა 700 მმ აღწევს.

ბუნებრივი მცენარეული საფარი წარმოდგენილია აღმოსავლეთის მუხის მუხნარებით. ტყეები გამეჩერებულია და საკმაოდ ძლიერედაა გავრცელებული ბალახოვანი საფარი. მუხნარების გარდა გავრცელებულია წიფლნარები, რცხილნარები.

ყომრალ-შავი ნიადაგების პროფილს აქვს შემდეგი შენება: A0-A<sub>1</sub>'-A<sub>1</sub>''-A<sub>1</sub>'''-BC<sub>2</sub>.

A0- მკვდარი საფარი სიმძლავრით 1-2 სმ, რომელიც შედგება მუხისა და სხვა მერქნიანი ჯიშების ფოთლების, ტოტებისა და ნაყოფებისგან.

A<sub>1</sub>'- შავ-ყომრალი ჰუმუსოვანი პორიზონტი სიმძლავრით 10-15 სმ, კაკლოვან-მარცვლოვანი, თიხნარი, შედარებით ფხვიერი აგებულების, გადასვლა თანდათანობითი.

A<sub>1</sub>''- მუქი ყომრალი ჰუმუსოვანი პორიზონტი სიმძლავრით 15-25 სმ, კოშტოვან-კაკლოვანი, თიხნარი, მომკვრივო, გადასვლა თანდათანობითი.

A<sub>1</sub>'''- მუქი ყომრალი ჰუმუსოვანი პორიზონტი სიმძლავრით 20-25 სმ, თიხნარი, მომკვრივო, კოშტოვანი, გადასვლა ნათელი.

BC<sub>2</sub>- ქანისკენ გარდამავალი ყომრალი პორიზონტი სიმძლავრით 15-35 სმ, კოშტოვან-დაკუთხული, თიხნარი.

ყომრალ-შავი ნიადაგები განსხვავდებიან ყომრალებისგან მძლავრი ჰუმუსოვანი პორიზონტით, ღრმა ჰუმუსირებით, პროფილში ლექისა და ფიზიკური თიხის თანაბარი განაწილებით.

ყომრალ-შავი ნიადაგები განსხვავდებიან შავმინებისგან სუსტი მუავე რეაქციით, ჰუმუსის ფულვატური ტიპით, პროფილის გათიხებით.

ყომრალ-შავი ნიადაგების ტიპში გამოიყოფა ერთი ქვეტიპი - ტიპური ყომრალ-შავი ნიადაგი, რომელიც შეესაბამება ტიპის ცნებას.

ყომრალ-შავი ნიადაგების ქვეტიპს ყოფენ ორ გვარად: ჩვეულებრივი და არასრულგანვითარებული.

ყომრალ-შავი ნიადაგები, ჰუმუსოვანი პორიზონტის სიმძლავრის მიხედვით, ყოფება შემდეგ სახეობებად: მძლავრი ( $>80$  სმ), საშუალო სიმძლავრის ( $80-40$  სმ), მცირე სიმძლავრის ( $<40$  სმ).


ყომრალ-შავი ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის ჩერნოზიმების ჯგუფს. სპეციფიური, ტიპური თვისებების გამოხატულების გამო, სახელწოდებას სუფიქ-სად დაემატება კვალიფიკატორი ჰაპლიკი.

## კორდიან-კარბონატული ნიადაგები

კორდიან-კარბონატული ნიადაგებისთვის დამახასიათებელია კარგად გამოხატული ჰუმუსოვანი პორიზონტი და გაცვლის მაღალი ტევადობა.

კორდიან-კარბონატული ნიადაგები ხასიათდებიან ნეიტრალური ან სუსტად ტუტე რეაქციით, თიხა ან თიხნარი მექანიკური შედგენილობით, რეინის სილიკატური ფორმების სიჭარბით. აღსანიშნავია, რომ დაკრისტალებული რეინის შემცველობა ზომიერია ან მცირე. ნიადაგები ღრმად ჰუმუსირებულია, ჰუმუსის ტიპი ჰუმატურია. კარბონატების შემცველობა დიდ ფარგლებში (20-51%) მერყეობს. შთანთქმის კომპლექსი მაძლარია ფუძეებით. თიხამინერალებში ჭარბობენ მონტმორილონიტი და ჰიდროქარსები.

კორდიან-კარბონატული ნიადაგების ძირითადი ელემენტებული ნიადაგნარმომებნებია: ჰუმუსიალიტიზაცია, ჰუმუს-ნარმქმნა და გასტრუქტურება.



ნახ. 9 . კორდიან-კარბონატული ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

კორდიან-კარბონატული ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 4,5% (317 200 ჩ). ეს ნიადაგები გავრცელებულია და-სავლეთ საქართველოში-აფხაზეთში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩებუშეთში და ზემო იმერეთში, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში - მთიულეთში, სამაჩაბლოში, კახეთსა და ქართლში. კორდიან-კარბონატული ნიადაგების გავრცელება ემთხვევა კირქვებსა და მერგელების არეალს. ისინი ძირითადად ფორმირდებიან ტყის ზონაში ისეთ ქანებზე, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ კალციუმის კარბონატებს (კირქვები, დოლომიტები, მერგელები და სხვ.) და ხასიათდებიან ჩამ-რეცხი ან პერიოდულად ჩამრეცხი ტენის რეჟიმით. კორდიან-კარბონატული ნიადაგები, მთა-ტყის სარტყლის გარდა, გავრცელებულია ტენი-ან და მშრალ სუბტროპიკულ ზონაში, მაღალმთიანეთში.

პირველად საქართველოში კორდიან-კარბონატული (ნეშომპალა-კარბონატული) ნიადაგები ს. ზახაროვმა (1913) შეისწავლა. ამ ნიადა-გების ჯვეული მან გამოჰყო ორი სახესხვაობა: განვითარებული კირქვებსა და მერგელებზე. შემდგომში ეს ნიადაგები შეისწავლეს გ. ტალახაძემ (1948), მ. საბაშვილმა (1956, 1965), ი. ანჯაფარიძემ (1965), ე. ნაკაიძემ, ნ. არჩვაძემ (1977), თ. ჩხეიძემ (1977).

მ. საბაშვილმა პირველმა შეისწავლა ამ ნიადაგების ქიმიური შედ-გენილობა და დაამუშავა კლასიფიკაციის საკითხები.

გ. ტალახაძემ ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებთან ერთად გა-მოჰყო რენდინო-ნითელი ე. წ. „ტერა-როსები“. მანვე მოგვცა ყომრა-ლი და ყავისფერი ნიადაგებისკენ გარდამავალი ნიადაგების- „რენდი-ნო-ყომრალი“ და „რენდინო-ყავისფერი“ ნიადაგების დახასიათება, ასევე ცალკე გამოჰყო მდელოს კორდიან-კარბონატული ნიადაგები.

თ. ჩხეიძემ (1977) საფუძვლიანად შეისწავლა საქართველოს კორ-დიან-კარბონატული ნიადაგების გენეზისის, გეოგრაფიისა და კლა-სიფიკაციის საკითხები.

კორდიან-კარბონატული ნიადაგების არეალში რელიეფი ეროზი-ული ტიპისაა და ნარმოდგენილია დენუდაციური, დენუდაციურ-აუ-მულაციური და დენუდაციურ-მენტული ფორმებით. ნიადაგნარმომ-ქმნელი ქანები ნარმოდგენილია კარბონატული ქანებით (კირქვები, მერგელები, დოლომიტები).

კლიმატი ზომიერად თბილია. ყველაზე ცივი თვის- იანვრის ტემ-პერატურა შეადგენს -1, -4°C; ყველაზე თბილი თვის-ივლისის -18-20°C. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი აღწევს 2000-3500°C, ნალექების რაოდენობა -1400-1600 მმ.

ბუნებრივი მცენარეულობა ნარმოდგენილია მუხნარ-რცხილნარი ტყეებით, ბალახების ფართო მონაწილეობით. ათვისებული ფართო-ბები გამოყენებულია ვენახის, ხეხილის, მათ შორის სუბტროპიკული ხეხილის, დაფნისა და სხვა მრავალნლიანებისთვის.

ნიადაგურ პროფილს აქვს შემდეგი შენება: A-AB-CD.

A - მუქი-რუხი შეფერილობის, ზოგჯერ ყავისფერი ჰუმუსოვანი ჰორიზონტი სიმძლავრით 1-3 სმ, მარცვლოვანი ან კოშტო-ვან-მარცვლოვანი.

AB - მუქი ყომრალი შეფერილობის გარდამავალი ჰორიზონტი სიმძლავრით 10-20 სმ, კოშტოვან-კაელოვანი.

CD - ქანისკენ გარდამავალი ჰორიზონტი სიმძლავრით 20-30 სმ, კოშტოვან-დაკუთხული.

კორდიან-კარბონატული ნიადაგები განსხვავდებიან ყომრალე-ბისგან მუქი შეფერილობით, ფუძეებით მაღალი მაღლობით, ტუტე

რეაქციით, სუსტად გამოხატული გათიხებით, კარბონატების შემცველობით.

კორდიან-კარბონატული ნიადაგები ენერგებისგან განსხვავდებიან გაენერებული ჰორიზონტის უქონლობით, ტუტე რეაქციით, ძირითადი ჟანგეულების მეტ-ნაკლებად თანაბარი განაწილებით, ჰუმუსის ჰუმატური ტიპით, კარბონატების შემცველობით.

კორდიან-კარბონატული ნიადაგები აერთიანებენ სამ ქვეტის: ტიპურს, გამოტუტულს და ნითელი ფერის („terra rossa“).

ტიპურ კორდიან-კარბონატულ ნიადაგებში კარბონატები აღინიშნებიან ზედაპირიდან ან ჰუმუსოვან ჰორიზონტში. ეს ნიადაგები გამოიჩინევიან კორდიან-კარბონატული ნიადაგებისთვის დამახასიათებელი თვისებებით. ისინი ვითარდებიან ყომრალი ნიადაგების არეალში ისევ ქანებზე, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ კალციუმის კარბონატებს. პროფილი სუსტადაა განვითარებული, დიდი რაოდენობით შეიცავენ ხირხატს. ჰუმუსის შემცველობა ზომიერია, შთანთქმის ტევადობა მაღალი. ჰუმუსოვანი ჰორიზონტის რეაქცია არის ნეიტრალური.

გამოტუტულ კორდიან-კარბონატულ ნიადაგებში კარბონატები აღინიშნება ილუვიურ ჰორიზონტში. ეს ნიადაგები ვითარდებიან კარბონატული ქანების შედარებით მძლავრ ელუვიონ-დელუვიონზე. პროფილი საკმაოდ სქელია, ჰუმუსოვანი ჰორიზონტის სისქე 20-30 სმ აღწევს. ილუვიური ჰორიზონტი მომკვრივოა, ხშირად გათიხებული.

ნითელი ფერის კორდიან-კარბონატული ნიადაგები ვითარდებიან მკვრივ კირქვებსა და მერგელებზე. ეს ნიადაგები ხასიათდებიან სხვადასხვა სიმძლავრით, კარბონატულობით ან გამოტუტვით, ნითელი შეფერილობით, სუსტად მჟავე ან ნეიტრალური რეაქციით.

კორდიან-კარბონატულ ნიადაგებში გამოყოფენ შემდეგ გვარებს:

კირქვიანი - ფორმირდებიან კირქვებზე, განსხვავდებიან პროფილის მცირე სიმძლავრით, მნიშვნელოვანი ხირხატიანობით, მაღალი შთანთქმის ტევადობით, ჰუმუსის საშუალო და მაღალი შემცველობით.

თიხიან-მერგელური - ვითარდებიან მერგელებზე, კარბონატულ ქვიშნარებზე ან თიხებზე. განსხვავდებიან უხირხატობით, მძლავრი პროფილით, ჰუმუსისა და კარბონატების ნაკლები შემცველობით.

კორდიან-კარბონატული ნიადაგები იყოფიან სახეობებად ჰუმუსოვანი ჰორიზონტის სიმძლავრის მიხედვით: მცირე სიმძლავრის (<15 სმ) და საშუალო სიმძლავრის (>15 სმ).


კორდიან-კარბონატული ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის ლეპტოსოლების ჯგუფს. ნიადაგების პროფილში გამოვლენილია დიაგნოსტიკური კვალიფიკატორი რენძიკი.

## რუხი-ყავისფერი ნიადაგები

რუხი-ყავისფერი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია ზედაპიროდან კარბონატების არსებობა, შეუ ნანილში კარგად გამოხატული გათიხება და შედარებით გაჭიმული ჰუმუსოვანი პროფილი.

რუხი-ყავისფერი ნიადაგები ხასიათდებიან სუსტად ტუტე ან ტუტე რეაქციით, მთელი პროფილის კარბონატულობით, საკმაოდ მძლავრი და კარგად გამოხატული კარბონატულ-ილუვიური ჰორიზონტის არსებობით, მთელი პროფილის მაღალი გათიხებით, ზედა ჰორიზონტების უმნიშვნელო ჰუმუსირებით, ფუძეების მაძლრობით, სილიკატური რკინის სიჭარბით არასილიკატურ რკინაზე. ლექის ფრაქციაში ჭარბობს მონტმორილონიტი და ჰიდროქარსები. მცირე რაოდენობითაა კალიუმიტი და კვარცი.

რუხი-ყავისფერი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგ-ნარმომქმნელი პროცესებია: ჰუმუსნარმოქმნა, ჰუმუსდაგროვება, გაკარბონატება, სიალიტიზაცია.



ნახ. 10. რუხი-ყავისფერი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

რუხი-ყავისფერი ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 5,8% (402 000 ჰა). ეს ნიადაგები გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნანილში მარნეულის, გარდაბნის, საგარეჯოს რაიონების ტერიტორიებზე.

პირველად ეს ნიადაგები, მურა და ნაბლა ნიადაგების სახელწოდებით, შეისწავლა ს. ზახაროვმა (1926). მ. საბაშვილის (1948) აზრით, ზოგიერთი განსხვავების მიუხედავად, აღმოსავლეთ საქართველოს ნაბლა ნიადაგები, მორფოლოგიური და ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლებით, ნააგავს რუსეთის სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთი რაიონების ნაბლა ნიადაგებს.

დ. გედევანიშვილმა შეამჩნია აღმოსავლეთ საქართველოში გამოყოფილი წაბლა ნიადაგების შეუსაბამობა ადგილობრივ ნიადაგნარმომენელ ფაქტორებთან და ზოგჯერ მათ წაბლისფერ ნიადაგებს უწოდებდა. მან პირველმა (1933) გამოიყენა სახელწოდება „რუხი-ყავისფერი ნიადაგები“.

ა. როზანოვმა (1952) რუხი-ყავისფერი ნიადაგები ცალკე ზონალურ ტიპად გამოყოფილი და მათ განიხილავდა, როგორც სუბტროპიკული სარტყელის მშრალი სტეპების ნიადაგებს. მტკვრისა და არაქსის დაბლობებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე მან დაასკვნა, რომ აქ გამოყოფილი სხვადასხვა ნიადაგები (რუხი, მურა, წაბლა) ერთ, ახალ ნიადაგურ ტიპს მიეკუთვნებიან.

რ. კირვალიძის (1976, 1983), ე. ნაკაიძის (1976, 1980) გამოკვლევებით დაადასტურდა, რომ საქართველოს მშრალი სუბტროპიკული რუხი-ყავისფერი ნიადაგები, სუბბორეალური სარტყელის მშრალი სტეპების წაბლა ნიადაგებისგან განსხვავდებიან ნიადაგნარმომქმნელი ფაქტორებით, თვისებებითა და პროცესებით.

რუხი-ყავისფერი ნიადაგების რელიეფი წარმოდგენილია ვაკეებით, მთისწინებითა და დაბალმთიანეთით. ნიადაგნარმომქმნელ ქანებს მიეკუთვნებიან სხვადასხვა გრანულომეტრული, მინერალური და ქიმიური შედგენილობის პროლუციური, ალუვიური, ელუვიურ-დელუვიური დანალექი ქანები, რომლებიც ზოგჯერ დამლაშებულია.

რუხი-ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან ზომიერად მშრალი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში. საშუალო წლიური ტემპერატურაა  $12-13^{\circ}\text{C}$ . სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 7 თვეს აღემატება. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  $4000-4500^{\circ}\text{C}$  შეადგენს. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა არის 300-500 მმ. ნალექების მაქსიმუმი მოდის გაზაფხულსა და შემოდგომაზე. საშუალო წლიური დატენიანების კოეფიციენტი უდრის  $0,4-0,6$ .

ბუნებრივი მცენარეულობა მშრალ-სტეპურია და წარმოდგენილია უროიანი, გაცინვერიანი, ავშნიანი და ნაირბალახოვანი დაჯგუფებებით. ბუნებრი მცენარეებიდან გავრცელებულია ძეგვნარი და ჯაგრცხილნარი. ტეროტორიის დიდი ნანილი ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით-ხორბალი, ქერი, სიმინდი, მზესუმზირა. შედარებით მცირე ფართობები უკავია მრავალწლიან ნარგავებს.

რუხი-ყავისფერი ნიადაგების პროფილს აქვს შემდეგი შენება: Aca-Bmca-Bcma-BCca.

Aca - მოყავისფრო-რუხი ჰუმუსოვანი ჰორიზონტი სიმძლავრით 20-30 სმ, თიხნარი, მარცვლოვან-კომტოვანი.

Bmca - მორუხო-ყავისფერი ან მორუხო-ყომრალი მეტამორფული გათიხების ჰორიზონტი სიმძლავრით 50 სმ, მკვრივი, უფრო

მძიმე მექანიკური შედგენილობის, ვიდრე ჰუმუსოვანი ჰორიზონტი, კალივან-ბელტოვანი, კარბონატები წარმოდგენილი ძარღვებით და მიცელიუმის სახით.

Bcam - რუხი-ყავისფერი გათიხებული ჰორიზონტი, მაქსიმალურად კარბონატული, კარბონატები წარმოდგენილია ლაქებისა და კონკრეციების სახით.

BCca - კარბონატული, ზოგჯერ დამლაშებული ქანისკენ გარდა-მავალი ჰორიზონტი.

რუხი-ყავისფერი ნიადაგები განსხვავდებიან ყავისფერი ნიადაგებისგან (რომლებიც ფორმირდებიან შედარებით მეტი დატენიანების და ნაკლები თბოუზრუნველყოფის პირობებში) უფრო მუქი შეფერილობით, ჰუმუსის ნაკლები შემცველობით, შედარებით მცირე სისქის ჰუმუსოვანი ჰორიზონტით, მთელი პროფილის კარბონატულობით, ტუტიანობის მაღალი მაჩვენებლით, რკინის სხვადასხვა ფორმების მეტი შემცველობით, კარბონატულ-ილუვიური ჰორიზონტის არსებობით.

რუხი-ყავისფერი ნიადაგები განსხვავდებიან შავი ნიადაგებისგან მცირე სისქის ჰუმუსოვანი ჰორიზონტით, რუხი-ყავისფერი შეფერილობით, შედარებით მსუბუქი მექანიკური შედგენილობით, ჰუმუსის დაბალი შემცველობით, კარგად გამოხატული კარბონატულ-ილუვიური ჰორიზონტის არსებობით, დაწილებულობის ნიშნების უქონლობით.

რუხი-ყავისფერი ნიადაგები განსხვავდებიან მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგებისგან (რომლებიც ფორმირდებიან რუხ-ყავისფერ ნიადაგებს შორის გადიდებული დატენიანების პირობებში) შედარებით ნაკლები სისქით, გალებების უქონლობით, უფრო ნაკლები გათიხებით.

რუხი-ყავისფერი ნიადაგები აერთიანებენ სამ ქვეტისას: მუქი, ჩვეულებრივი და ღია.

მუქი რუხი-ყავისფერი ნიადაგები წარმოიქმნებიან რუხი-ყავისფერი ნიადაგების არეალის ყველაზე დატენიანებულ ტერიტორიაზე, ავშან-ეფემერ-მარცვლოვანი მშრალი სტეპებისა და ბუჩქნარების ქვეშ. ჰუმუსოვანი პროფილი ყველაზე მძლავრია, კარბონატების შემცველობა ზედა ჰორიზონტში მცირეა და სილრმით მატულობს; ნიადაგების რეაქცია სუსტად ტუტეა, ადვილადხსნადი მარილები პრაქტიკულად არ აღინიშნება.

ჩვეულებრივი რუხი-ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან ეფერ-მერ-მარცვლოვან-ავშნიანი მშრალი სტეპის პირობებში. ჰუმუსოვანი პროფილი ნაკლები სიმძლავრისაა მუქ რუხ-ყავისფერ ნიადაგებთან შედარებით. კარბონატების შემცველობა ზედა ჰორიზონტში მცირეა და სილრმეში მნიშვნელოვნად მატულობს, რეაქცია სუსტად ტუტეა, ადვილადხსნადი მარილები პრაქტიკულად არ აღინიშნება.

ლია რუხი-ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან რუხი-ყავისფერი ნიადაგების არეალის ყველაზე მშრალ ნაწილში ეფექტურ-ავშნიანი მშრალი სტეპის პირობებში. ჰუმუსოვანი ჰორიზონტები მცირე სისქი-საა, რეაქცია სუსტად ტუტე ან ტუტეა. აღინიშნება დამლაშება.

რუხი-ყავისფერი ნიადაგების ქვეტიპებში გამოყოფენ შემდეგ გვარებს:

ჩვეულებრივი - ამ გვარს გააჩნია რუხი-ყავისფერი ნიადაგების ქვეტიპების ყველა ნიშან-თვისება.

ბიცობი - ხასიათდება პროფილის მკაფიო დიფერენციაციით. პროფილის ზედა ნაწილი (5-10 სმ) შედარებით ფხვიერია. ქვემოთ მდებარეობს ყავისფერ-ყომრალი, გამკვრივებული, შედარებით მძიმე მექანიკური შედგენილობის ბიცობიანი ჰორიზონტი; უფრო ქვემოთ ნაკლებად მკვრივი ჰორიზონტია, რომელიც შეიცავს კარბონატებს თეთრი თვლებისა და მსხვილი ლაქების სახით. გაცვლითი ნატრიუმის შემცველობა ყოველთვის მაღალი არ არის.

ბიცობნარი - ფორმირდებიან დამლაშებულ ქანებზე, აქვთ სუსტად დიფერენცირებული პროფილი. ადვილად ხსნადი მარილები აღინიშნება ზედა ჰორიზონტებიდან, ერთი მეტრ სილრმეზე მათი შემცველობა 2% აღემატება.

თაბაშირიანი (გაჯიანი) - ჰუმუსოვანი ჰორიზონტი მცირე სიმძლავრისაა, ქვემოთ თაბაშირის შემცველი ჰორიზონტია.

ქვამრგვალიანი - ფორმირდებიან გამოზიდვის კონუსებზე, განსხვავდებიან სუსტად დიფერენცირებული პროფილით და ქვამრგვალების მაღალი შემცველობით.

რუხი-ყავისფერი ნიადაგები იყოფიან სახეობებად ბიცობიანობის ხარისხისა და ადვილადხსნადი მარილების სილრმეში განლაგების მიხედვით.

რუხი-ყავისფერი ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის კაშტანაზიომების ჯგუფს. ნიადაგების პროფილში გამოვლენილია ჰუმიკ და კალკარიკ დიაგნოსტიკური კვალიფიკატორები.


## მდელოს-რუხი-ყავისფერი ნიადაგები

მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია არადიფერენცირებული პროფილი, გალებების ნიშნები და ძლიერი გათიხება.

მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგები ხასიათდებიან სუსტად ტუტე ან ტუტე რეაქციით, ჰუმუსის დაბალი შემცველობით, ლრმა ჰუმუსირებით, ჰუმუსის ფულვატურ-ჰუმატური ტიპით. კარბონატები აღი-

ნიშნება ზედაპირიდან და სილრმეში მათი რაოდენობა მატულობს. შთანთქმის ტევადობა მაღალია, შთანთქმულ კომპლექსში ჭარბობს გაცვლითი კალციუმი. ნიადაგები მიეკუთვნებიან მსუბუქ და საშუალო თიხებს. პროფილის შუა და ქვედა ნაწილში აღინიშნება გალებება. არასილიკატური რეინის შემცველობა მნიშვნელოვანია, ამორფული რეინის რაოდენობა კი მცირე. თიხამინერალების შედგენილობაში მკვეთრად ჭარბობს მონტმორილონიტი, მცირე რაოდენობით აღინიშნება ქლორიტი.

მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომქმნელი პროცესებია: ჰუმუსნარმომქმნა, ჰუმუსდაგროვება, გაკარბონატება, სიალიტიზაცია და გალებება.



ნახ.11. მდელოს-რუხი-ყავისფერი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 3,3% (228 800 ჰა). ისინი ფორმირდებიან რუხ-ყავისფერ ნიადაგებს შორის მომატებული დატენიანების პირობებში. ეს ნიადაგები, ძირითადად, გავრცელებულია მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში, შედარებით მცირე ფართობებზე ვხვდებით კასპის რაიონში, საკმაოდ დიდი ფართობები უკავიათ ალაზნის ვაკეზე (ალაზნის მარჯვენა მხარე, სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი).

რ. კირვალიძის (1976), ე. ნაკაიძის (1980) და სხვათა შრომებში ასახულია მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგების გამოკვლევების მასალები.

მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგების რელიეფი ნარმოდგენილია ვაკეებით, ხშირად უარყოფითი ელემენტებით. ნიადაგნარმომქმნელ

ქანებს მიეკუთვნებიან სხვადასხვა გრანულომეტრული, მინერალური და ქიმიური შედგენილობის პროლუვიური, ალუვიური, ელუვიურ-დელუვიური დანალექი ქანები, რომელებიც ზოგჯერ დამლაშებულია.

მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან ზომიერად მშრალი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში. საშუალო წლიური ტემპერატურაა 12-13 °C. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 7 თვეს აღემატება. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 4000-4500°C შეადგენს. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა არის 300-500 მმ. ნალექების მაქსიმუმი მოდის გაზაფხულსა და შემოდგომაზე. საშუალო წლიური დატენიანების კოეფიციენტი უდრის 0,4-0,6.

ბუნებრივი მცენარეულობა მშრალ-სტეპურია. მდელოს ნიადაგ-ნარმოქმნის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ანთროპოგენური ფაქტორი (ირიგაციის გავლენა).

მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგების პროფილს აქვს შემდეგი შენება: Aca(g)-Bmca(g)-BCca(g) - BC(g).

Aca(g)- მუქი რუხი-ყავისფერი ჰუმუსოვანი ჰორიზონტი სიმძლავ-რით 20-35 სმ, ტენიანი, მომკვრივო, კოშტოვანი, გახვდება ფესვები, ალინიშნება გალებების ნიშნები.

Bmca(g)-ყავისფერი ჰორიზონტი სიმძლავრით 40-60 სმ, კაკლოვან-კოშტოვანი, ტენიანი, გათიხებული, გალებების ნიშნებით, ერთეულად ფესვები.

BCca(g)-ლია ყავისფერი ჰორიზონტი სიმძლავრით 40-60 სმ, კოშტოვან-კაკლოვანი, გალებებული, კარბონატების თეთრი თვლებით.

BC(g)- რუხი-ყავისფერი, სუსტად გამოხატული გასტრუქტურებით და გალებებით.

მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგები განსხვავდებიან რუხი-ყავისფერი ნიადაგებისგან უფრო მეტი სისქით, გალებებით, უფრო ძლიერი გათიხებით.

მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგები იყოფა სამ ქვეტიპად: ზედა-პირულად-მდელუკ-რუხი-ყავისფერი, მდელუკ-რუხი-ყავისფერი და მდელოს-რუხი-ყავისფერი.

ზედაპირულად-მდელუკ-რუხი ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან ისეთ ადგილებში, სადაც ალინიშნება დამატებითი ზედაპირული დატენიანება და გრუნტის ნივლების ღრმად დგომა. გალებების ნიშნები შეიმჩნევა ზედა ჰორიზონტებში.

მდელუკ-რუხი ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან ისეთ ადგილებში, სადაც გრუნტის ნივლის დგომა ღრმა არ არის (3-5 მ). გალებება ალინიშნება ქვედა ჰორიზონტებში და ნიადაგნარმომქმნელ ქანში, სუსტად შეიმჩნევა მისი ნიშნები ზედა ჰორიზონტებში.

მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან ისეთ ადგილებში, სადაც გრუნტის წყლის დგომა ზედაპირთან ახლოსაა (2-3 მ) და დამატებით აღინიშნება ზედაპირული დატენიანება. ინტენსიური გალებება აღინიშნება მთელ პროფილში.

მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგების ქვეტიპებში გამოიყოფა შემდეგი გვარები:

ჩვეულებრივი - ამ გვარს გააჩნია მდელოს რუხი ყავისფერი ნიადაგების ქვეტიპების ყველა ნიშან-თვისება.

ბიცობი - ვითარდებიან დამლაშებულ ქანებზე ან დამლაშებული წყლების ზეგავლენით; ხასიათდებიან პრიზმული სტრუქტურით A ჰორიზონტის ქვედა ნაწილში და B ჰორიზონტის ზედა ნაწილში. გაცვლითი ნატრიუმის შემცველობა გამევრივებულ ბიცობ ჰორიზონტში შთანთქმის ტევადობის 5%-ზე მეტია.

ბიცობნარი - ადვილადხსნადი მარილები აღინიშნება არა უმეტეს 150 სმ სიღრმისა.

მდელოს რუხი - ყავისფერი ნიადაგები იყოფიან სახეობებად ჰუმუსის შემცველობის, ბიცობიანობის ხარისხისა და ადვილად ხსნადი მარილების სილრმეში განლაგების მიხედვით.

მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის კაშტანაზიომების ჯგუფს. ნიადაგების პროფილში გამოვლენილია გლეიკ, კალკარიკ, ვერტიკალური დიაგნოსტიკური კვალიფიკატორები.


## ყავისფერი ნიადაგები

ყავისფერი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული პროფილის ფერადი დიფერენციაცია, არაჩამრეცხი წყლის რეჟიმის პირობებში ნიადაგური სისქის ნათლად გამოხატული გათიხების პროცესი. მათი ძირითადი დიაგნოსტიკური მაჩვენებელია მეტამორფული გათიხებული ჰორიზონტის არსებობა და პროფილის გაკარბონატება.

ყავისფერი ნიადაგები ხასიათდებიან ჰუმუსოვანი ჰორიზონტის მუქი-ყომრალი ან ყავისფერი შეფერილობით, ნერილ-კომტოვანი ან მარცვლოვანი სტრუქტურით, სუსტი ტუტე ან ნეიტრალური რეაქციით, ჰუმუსის საშუალო შემცველობით, ღრმა ჰუმუსირებით, ჰუმუსის ჰუმატური ტიპით, გაკარბონატებით, გათიხებით, შთანთქმის მნიშვნელოვანი სიდიდეებით, ნიადაგისა და ლექის ფრაქციის მთლიანი ქიმიური შემადგენლობის სტაბილურობით, სილიკატური რკონის სი-

ჭარბით არასილიკატურ რეკინაზე, თიხამინერალებში მონტგორილონიტის და ჰიდროქარსების სიჭარბით.

ყავისფერი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომქმნელი პროცესებია: ჰუმუსწარმოქმნა, ჰუმუსდაგროვება, გაკარბონატება, სიალიტიზაცია.



ნახ. 12. ყავისფერი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

ყავისფერი ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 4,8% (311 600 ჰა-ს). ყავისფერი ნიადაგები გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ტყე-სტეპის ზონაში, ძირითადად, ზღვის დონიდან 500(700)-900(1300) მ ფარგლებში. მათი ქვედა საზღვარი ესაზღვრება მდელოს-ყავისფერ, რუხ-ყავისფერ და შავ (ბარის შავმინები), ხოლო ზედა - ყომრალ ნიადაგებს.

ყავისფერი ნიადაგები პირველად მსოფლიოში 1904 წელს აღწერა პროფ. ს. ზახაროვმა მცნეოთის მიღამოებში, მთა დიდგორის ჩრდილოეთ კალთებზე, მუხნარ-რცხილნარების ქვეშ.

პირველად ყავისფერი ნიადაგები აღინიშნა ამიერკავკასიის ნიადაგურ რეკინაზე, რომელიც შედგენილი იყო 1925 წელს ს. ზახაროვის, ვ. აკიმცვევის და ო. იმშენეცკას მიერ.

ვ. აკიმცვევა (1927) ყავისფერი ნიადაგები გამოჰყო თეთრიწყაროს რაიონში. ყავისფერ ნიადაგებზე საკმალდ საინტერესო და ვრცელი მასალა არის მოყვანილი ა. სანიკიძის (1940) ნაშრომში, რომელშიც განხილულია კახეთის ზონაში გავრცელებული ყავისფერი ნიადაგები. მნიშვნელოვანი წვლილი ამ ნიადაგების შესწავლაში შეიტანა მ. საბაშვილმა (1948, 1949). ო. გერასიმოვმა (1949) თეთრიულად დაასაბუთა ამ ნიადაგების ცალკე გენეზისურ ტიპად გამოყოფის საკითხი და მისცა მათ მშრალი სუბტროპიკული ტყეებისა და ბუჩქნარების ყავისფერი ნიადაგების სახელწოდება.

საქართველოს ყავისფერი ნიადაგები საქმაოდ დაწვრილებით აქვთ შესწავლილი ი. ანჯაფარიძეს (1966), ე. ნაკაიძეს (1970), თ. ურუ-შაძეს (1987) და სხვა მკვლევარებს, რომლებმაც სათანადო ანალიზების საფუძველზე გააშუქეს ამ ნიადაგების ძირითადი თვისებები და თავისებურებანი.

ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან მშრალი სუბტროპიკების კლიმატის პირობებში - თბილი, თითქმის უთოვლო ზამთრით და ცხელი, მშრალი ზაფხულით. ივლისის საშუალო ტემპერატურაა  $20,0-23,5^{\circ}\text{C}$ , იანვრის კი  $-2,6$ -დან  $0,60^{\circ}\text{C}$ -მდე. საშუალო წლიური ტემპერატურაა  $9,3-12,5^{\circ}\text{C}$ . სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა შვიდ თვემდეა. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს  $2800-3800^{\circ}\text{C}$ . ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს  $300$ -დან  $800$  მმ-მდე. აღინიშნება ნალექების ორი მაქსიმუმი - გაზაფხულის დასასრულს და შემოდგომის დასაწყისში. ცივ პერიოდში ნალექების რაოდენობა მინიმალურია. დატენიანების კოეფიციენტი უდრის  $0,5-0,8$ . ამის შედეგად ნიადაგის ტენის რეჟიმის ტიპი იმპერმაციდულია, ე.ი. აორთქლება აჭარბებს მოსული ნალექების რაოდენობას.

რელიეფის უდიდესი ნაწილის ფორმირება ძირითადად დაკავშირებულია ეროზიულ პროცესებთან. ზოგიერთ ადგილას რელიეფი წარმოდგენილია მერყეობით. ბევრ ადგილას ფერდობებს კვეთს მრავალრიცხვანი საკმაოდ დიდი სიგანის ხევები. შიდა კახეთში რელიეფის სელური ღვარების მავნე მოქმედების კვალი დიდად ატყვია, რომლის ინტენსივობაც ხელს უწყობს ფხვიერი კონგლომერატულ-ქვიშაქვეური ნეოგენური „ცივის წყება“ და დამენყვრისაკენ მიღრეკილი პალეოგენური ცარცული ქანები. ცალკეული ფერდობების ქვედა ზოლში აღინიშნება მოსწორებული ბაქნების მთელი წყება.

რეგიონის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილის გეოლოგიურ აგებულებაში, ძირითადად, მონანილეობენ პალეოგენიდან - ქვიშა-თიხოვანი და ვულკანოგენური ფორმაციები, ხოლო ნეოგენიდან - კონგლომერატები, ქვიშაქვები და კირქვები. დამრეცი ფერდობები და შლეიფები კი ალვიონებით არის ნარმოდგენილი. აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილი აგებულია ნეოგენური წყებით - ქვიშაქვებით, ფომფლი კონგლომერატებით და აგრეთვე კირქვებით (მერგელები) და ტერიგენული (გალიოსებული) დანალექებით. რეგიონის სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის გეოლოგიურ აგებულებაში მონანილეობენ ნეოგენური ვულკანოგენური ქანები - პორფირიტული ტუფები, ტუფო-ბრექჩიები, ლავური ლვარები, ზედაცარცული კირქვები, პალეოცენისა და ოილიგოცენის ტერიგენული ქვიშაქვები და თიხები.

ყავისფერი ნიადაგების არეალის კლიმატის თავისებურება, ქანების ორგალენტიანი კატიონების სიმდიდრის გამო, ხელს უწყობს კარბონატებით მდიდარი გამოფიტის ქერქის წარმოქმნას.

ყავისფერი ნიადაგების არეალის დიდი ნაწილი ათვისებულია და არსებული ლანდშაფტები თითქმის მთლიანად ანთროპოგენული ხასიათისაა.

მცენარეულობა წარმოდგენილია არიდული მეჩერებით და მუხ-ნარებით. ვ. გულისაშვილის (1980) აზრით, არიდული მეჩერები ანუ ნათელი ტყეები მიეკუთვნებიან სუბტროპიკული კლიმატის სავანებს. მათ შემადგენლობაში ძირითადად მონაზილეობენ ფოთლოვანი ჯიშები: კევის ხე, ბერეუნა, აკაკი; ბუჩქნარებიდან - ბრონეული, შავჯაგა, გრაკლა, თრიმლი, კონახური და სხვ. ბალახეული საფარი, ძირითადად, წარმოდგენილია უროთი. ფერდობებზე არიდული მეჩერების შემადგენლობაში შედის ღვიების ზოგიერთი სახეობა. მცენარეულობის ყველა აღნიშნული სახეობა მიეკუთვნება სინათლისმოყვარულ მცენარეს. ისინი გვალვაგამძლეა; მათ უვითარდებათ მძლავი ფესვთა სისტემა.

მუხნარების შემადგენლობაში ქართული მუხის გარდა შედიან ჩვეულებრივი იფანი, მინდვრის ნეკერჩხალი, პანტა, რცხილა, ჯაგრცხილა, თელა, ქორაფი, ხოლო ბუჩქნარებიდან - კუნელი, ზღმარტლი, შუნდანწლა, შვინდი, ჭანჭყატი.

მუხნარების პირზმინდა ტყეკაფებზე, განსაკუთრებით საქონლის ძოვების შემდეგ, წარმოიშვება ბუჩქნარებიდან შემდგარი მეორადი წარმოშობის მცენარეულობა. მუხნარების ასეთ დერივატებს ნ. კეცხოველი (1959) განსაზღვრავს როგორც „ჯაგეკლიანებს“. მათ შემადგენლობაში შედიან ძეძვი, გრაკლა, კუნელი, ბერეუნა, შავჯაგა, ყასმინი და სხვ. შემდგომში დეგრადაციისას ბუჩქნარი მცენარეულობა ქრება და ჩნდება მეორადი წარმოშობის სტეპი.

ყავისფერი ნიადაგი ხასიათდება ნიადაგწარმოქმნის შედარებით დიდი ასაკით.

ნიადაგურ პროფილს ჩვეულებრივ აქვს შემდეგი აგებულება: A-AB- B<sub>m</sub>(Ca)- BC<sub>Ca</sub>- CD<sub>Ca</sub>

A - ჰუმუსოვანი ჰორიზონტი საერთო სიმძლავრით 20-35 სმ, მუქი მორუხო-ყავისფერი, მძიმე თიხნარი ან თიხიანი, კოშტოვანი, კორდიანი, ზოგჯერ კარბონატული, გადასვლა თანდათანობითი.

AB - გარდამავალი ჰორიზონტი სიმძლავრით 10-15 სმ, მძიმე თიხნარი ან თიხიანი, კოშტოვან-კაკლოვანი, გადასვლა თანდათანობით.

B<sub>m</sub> (Co)- მეტამორფული ჰორიზონტი სიმძლავრით 10-15 სმ, ღია ყავისფერი, თიხიანი, მკვრივი, კოშტოვან-კაკლოვან-ნერილბელტოვანი, ზოგჯერ კარბონატული, გადასვლა თანდათანობითი.

**BC<sub>a</sub>** - მეტამორფული, ქანისკენ გარდამავალი ჰორიზონტი სიმბ-ლავრით 20-35 სმ, არაერთგვაროვანი, უფრო მსუბუქი და ნაკლებად მკვრიცი, ვიდრე ზედა ჰორიზონტი.

**CD<sub>a</sub>** - დედაქანი, უფრო ხშირად ნარმოდგენილი მყარი ქანების თიხნარი ქვიან-ლორლიანი ელუვიონით, ელუვიონ-დელუვიონით და უფრო იშვიათად წვრილმინა ქანებით.

ყავისფერი ნიადაგები განსხვავდებიან მდელოს-ყავისფერი ნია-დაგებისგან უკეთ გამოხატული გათიხებით, უფრო ღია შეფერილობით, კარგად გამოხატული კარბონატული ახალქმნილებებით, მტრე-დისფერი და უანგის ლაქის არ არსებობით.

ყავისფერი ნიადაგები განსხვავდებიან რუხი-ყავისფერი ნიადაგებისაგან (რომლებიც ფორმირდებიან ნაკლები დატენიანების და მეტი თბოლუზრუნველყოფის პირობებში) უფრო ღია შეფერილობით, ჰუმუ-სის მეტი შემცველობით, მძლავრი ჰუმუსიანი ჰორიზონტით, ცალკე-ულ ქვეტიპებში კარბონატების სხვადასხვა სიღრმეზე და არა ზედაპი-რიდან არსებობით, ტუტიანობის ნაკლები მაჩვენებლებით, რკინის სხვადასხვა ფორმების ნაკლები შემცველობით.

ყავისფერი ნიადაგები განსხვავდება შავი ნიადაგებისაგან (რომ-ლებიც დატენიანების მსგავს პირობებში ვითარდებიან) უფრო მცირე ჰუმუსიანი ჰორიზონტით, ყავისფერი შეფერილობით, კაკლოვანი და პრიზმული სტრუქტურით, გამკვრივებულ-გათიხებული მეტამორფუ-ლი ჰორიზონტის არსებობით, ჰუმუსოვანი ჰორიზონტიდან ქვედა ჰო-რიზონტისაკენ ნაკლებად მკვეთრი გადასვლით,  $\text{SiO}_2 : \text{R}_2\text{O}_3$  უფრო ვიწ-რო შეფარდებით, პროფილის მიხედვით ლექის ფრაქციის ნაკლებად ერთგვაროვანი განანილებით, უფრო დიდი მოცულობითი წონით, უფრო დაბალი ფორიანობითა და წყალგამტარობით.

ყავისფერი ნიადაგები განსხვავდება ყომრალი ნიადაგებისაგან (რომლებიც ფორმირდებიან შედარებით ცივ და ტენიან პირობებში) ყავისფერი შეფერილობით, ილუვიურ-კარბონატული ჰორიზონტის არსებობით და ნიადაგური პროფილის შუა ნანილის მკვეთრი გათიხე-ბით, ზედა ჰორიზონტში ჰუმუსის შემცირებული რაოდენობით, ორ-განული ნივთიერების ნაკლებად უხეში ხასიათით ( $C : N = 10$ ), ტუტე და ნეიტრალური რეაქციით, ფუქცებით მაძლრობით.

ყავისფერი ნიადაგები იყოფა შემდეგ ქვეტიპად; ღია, კარბონატუ-ლი, ტიპური, გამოტუტლი, რენდინო-ყავისფერი.

ღია ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან ყველაზე მშრალ პირო-ბები და ხასიათდებიან ჰუმუსოვანი ჰორიზონტის მუქი ყომრალი შე-ფერილობით და წვრილყაკალოვანი სტრუქტურით, თიხნარი და თიხა მექანიკური შედგენილობით, მთელი პროფილის გათიხებით, მაღალი ჰუმუსიანობით, ჰუმუსის ჰუმატური ტიპით, ნიადაგური ჰუმინების

მაღალი შემცველობით, კალციუმის კარბონატების არსებობით ზედა-პირიდანვე, სუსტად ტუტე ან ტუტე რეაქციით, შთანთქმული კატიონების დიდ ფარგლებში მერყყობით, გაცვლითი ნატრიუმის უმნიშვნელო შემცველობით, ნიადაგში და ლექის ფრაქციაში ძირითადი ოქსიდების თანაბარი განაწილებით, არასილიკატური და განსაკუთრებით ამორფული რკინის მცირე შემცველობით, თიხამინერალებში მონტ-მორილონიტის, ჰიდროქარსების და ქლორიტის სიჭარბით, ზოგჯერ ადვილადხსნადი მარილების და თაბაშირის უმნიშვნელო შემცველობით.

კარბონატული ყავისფერი ნიადაგები ვითარდებიან ბუჩქნარების და ბუჩქიანი სტეპების ქვეშ, საკმაოდ არიდულ ჰირობებში. ისინი ხა-სიათდებიან ჰუმუსოვანი ჰორიზონტის ყავისფერი შეფერილობით და წვრილ-კომტოვანი ან მარცვლოვანი სტრუქტურით, თიხნარი მექანიკური შედგენილობით, გათიხებით პროფილის შუა ნაწილში, მთელი პროფილის კარბონატულობით, ჰუმუსის ზომიერი შემცველობით, ჰუმუსის ჰუმატური ტიპით, ნიადაგური ჰუმინების მაღალი შემცველობით, სუსტად ტუტე რეაქციით, შთანთქმის მაღალი ტევადობით, ნიადაგის და ლექის ფრაქციის სტაბილური მთლიანი ქიმიური შემადგენლობით, სილიკატური რკინის სიჭარბით არასილიკატურზე, არა-სილიკატური რკინის მნიშვნელოვანი, ხოლო ამორფული რკინის მცირე შემცველობით, რკინის ცალკეული ფორმების დაგროვებით პროფილის შუა ნაწილში, თიხამინერალებში მონტმორილონიტის, ქლორიტის და კაოლინიტის სიჭარბით.

ტიპური ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან ძირითადად ტან-დაბალი მუხნარების ქვეშ, ჯაგრცხილის, ტყემლის, კვრინჩხის, ძეგვის და სხვა ქსეროფილური ეკლიანი ბუჩქებისგან შემდგარი მდიდარი ქვეტყით. ხასიათდებიან ჰუმუსოვანი ჰორიზონტის მუქი ყავისფერი შეფერილობით და წვრილ-კალოვანი სტრუქტურით, თიხნარი მექანიკური შედგენილობით, გათიხებით პროფილის შუა ნაწილში, ჰუმუსის ზომიერი შემცველობით, კარბონატებისაგან ჰუმუსოვანი ჰორიზონტის გამოტუტვით, ნეიტრალური ან სუსტი ტუტე რეაქციით, შთანთქმის მნიშვნელოვანი ტევადობით.

გამოტუტული ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან მუხნარების და მუხნარ-რცხილნარების ქვეშ. ესაა ყომრალი ნიადაგებისკენ გარდამავალი ქვეტყიპი. მისი შენების მთავარი თავისებურებაა ჰუმუსოვანი და მეტამორფული ჰორიზონტების უკარბონატობა და ამ უკანასკნელის ძლიერი გათიხება. ჰუმუსოვანი ჰორიზონტი საკმაოდ მძლავრია, ჰუმუსის შემცველობა მაღალია, უკარბონატო ჰორიზონტებში რეაქცია ნეიტრალურია, ალინიშნება არასილიკატური და ამორფული რკინის შედარებით მაღალი შემცველობა.

რენდინო-ყავისფერი ნიადაგები გარდამავალი ნიადაგებია კორდინან-კარბონატულ და ყავისფერ ნიადაგებს შორის. ეს ნიადაგები ხასიათდება დიფერენცირებული პროფილით, ზედა ჰორიზონტების ნეიტრალური და ქვედა ჰორიზონტების სუსტი ტუტე რეაქციით, კარბონატების მომატებული შემცველობით პროფილის ქვედა ნანილში, ჰუმუსის ზომიერი რაოდენობით, სილრმით მისი მკვეთრი შემცირებით, მაღალი გაცვლითი უნარიანობით.

ყავისფერი ნიადაგების ქვეტიპებში გამოყოფენ შემდეგ გვარებს:

ჩვეულებრივი - ვითარდებიან ზომიერად კარბონატულ ფხვიერ ნაფენებზე. ამ გვარს გააჩნია ყავისფერი ნიადაგების ზემოაღნიშნული ქვეტიპების ყველა ნიშანი და თვისება.

მცირეკარბონატული - ვითარდებიან უკარბონატო ფიქლების, თიხების და სხვა ქანების ელუვიონ-დელუვიონზე. ხასიათდებიან არამკაფიოდ გამოხატული კარბონატულ-ილუვიური ჰორიზონტით, მთლიანი და არასილიკატური რეკინის გადიდებული შემცველობით.

ფერალიტიზირებული - ფორმირდებიან წითელი ფერის თიხებზე. გამოირჩევიან პროფილის მონითალო შეფერილობით, ერთნახევარი ოქსიდების გადიდებული შემცველობით და ნიადაგურ მასაში შედარებით  $SiO_2 : R_{2O} = 0.3$  ვინრო შეფარდებით.

გასტეპებული - ფორმირდებიან ისეთ ტერიტორიებზე, სადაც ბუნებრივი ტყე-ბუჩქნარის მცენარეულობა გაჩეხილია და მისი ადგილი დაიკავეს სტეპის ასოციაციებმა. ხასიათდებიან შედარებით გაჭიმული ჰუმუსოვანი პროფილით.

ყავისფერი ნიადაგები იყოფიან სახეობად შემდეგი ნიშნებით:

ჰუმუსის შემცველობის მიხედვით - სუსტად ჰუმუსიანი (<5%), მცირეჰუმუსიანი (4-6%), საშუალოჰუმუსიანი (>6%).

ეროზიონის მიხედვით - სუსტად გადარეცხილი (გადარეცხილია ჰუმუსოვანი ჰორიზონტის 30%-მდე), საშუალოდ გადარეცხილი (გადარეცხილია 30-50%), ძლიერად გადარეცხილი (ჰუმუსოვანი ჰორიზონტი გადარეცხილია).

ყავისფერი ნიადაგები, ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის მიხედვით, იდენტიფიცირებულია კამბისოლებთან. ყავისფერ ნიადაგებს გააჩნიათ კამბიკ B ჰორიზონტები, რომელთა დიაგნოსტიკური კრიტერიუმებია: მძიმე გრანულომეტრია, თიხის და ლექის მომატებული შემცველობა ზედა და ქვედა ჰორიზონტებთან შედარებით, კარბონატების ნაკლები რაოდენობა ქვეჰორიზონტებისაგან განსხვავებით, სისქე  $> 15$  სმ. ნიადაგების პროფილის შენებაში მონანილობს მუქი ფერის მოლიკ ზედაპირული ჰორიზონტები. მათი სისქე მოიცავს გარდამავალ AB ჰორიზონტებს, რომლებშიც ჭარბობენ ზედაპირული ჰორიზონტების მახასიათებლები. მოლიკ ჰორი-


ზონტის დიაგნოსტიკური კრიტერიუმებია: საკმაოდ მკვეთრად გამოხატული მარცვლოვან-კოშტოვანი და კოშტოვანი სტრუქტურა, არამ-კვრივი აგებულება, ორგანული ნახშირბადის  $>0,6\%$  (ორგანული ნივთიერების  $>1\%$ ) შემცველობა, ფუქეებით მაღალი მაძლრობა. ყავის-ფერ ნიადაგებში გამოვლენილია შემდეგი დიაგნოსტიკური ნიმან-თვისებები: კალკარიკი, მოლიჰუმიკი, ჰიპერეუტორიკი.

### მდელოს-ყავისფერი ნიადაგები

მდელოს-ყავისფერი ნიადაგების თვის დამახასიათებელია მძლავრი პროფილი, გალებების ნიშნები და მძიმე მექანიკური შედენილობა.

მდელოს-ყავისფერი ნიადაგები ხასიათდებიან სუსტად ტუტე ან ტუტე რეაქციით, ლრმა ჰუმუსირებით, ჰუმუსის ფულვატურ-ჰუმატური ტიპით, ზედაპირიდანვე კარბონატულობით, შთანთქმული ფუძეების დაბალი ჯამით, ძირითადი უანგებულების თანაბარი განანილებით, ჰიდროქარსების სიჭარბით, სილიკატური რკინის არასილიკატურ რკინაზე მეტი შემცველობით. ნიადაგები მიეკუთვნებიან მსუბუქ და საშუალო თიხებს. გათიხება კარგადაა გამოხატული პროფილის შუა ნაწილში.

მდელოს-ყავისფერი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომქმნელი პროცესებია: ჰუმუსწარმოქმნა, ჰუმუსდაგროვება, გაკარბონატება, გამდელოება, სიალიტიზაცია და გალებება.



ნახ. 13. მდელოს-ყავისფერი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

მდელოს-ყავისფერი ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 1,9% (130 400 ჰა). ისინი ფორმირდებიან ყავისფერი ნიადაგების არეალში, მომატებული ზედაპირული, გრუნტისა და შერეული დატენიანების პირობებში. ეს ნიადაგები გავრცელებულია ქვემო და ზემო ქართლში, კახეთში (ალაზნის მარჯვენა ნაპირი) და მესხეთში.

საქართველოში ნიადაგები მდელოს-ყავისფერის სახელწოდებით პირველად გამოყო ვ. ფრიდლანდმა (1957), როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეებისა და მთისწინების ნიადაგები.

მ. საბაშვილი (1965) მდელოს-ყავისფერი ნიადაგების გენეზისში აღნიშნავდა ორ ეტაპს: 1) მეტიონდ შემჩნევა ჭალის და მდელოს ალუვიური ნიადაგების განვითარების სტადიები ყავისფერი ნიადაგების მიმართულებით და 2) კლიმატური პირობების ცვლილებისა და ადამიანის ზემოქმედებით ტყის მცენარეულობის შეცვლა სტეპის მცენარეულობით.

გ. ტალახაძე (1964) ამ ნიადაგებს განიხილავს როგორც ყავისფერი ნიადაგების ევოლუციის შემდგომ საფეხურს, რომლის დროსაც მერქნიანების გაჩანაგებით, მინისქვეშა ნცლის დონის ნანილობრივი ამონევა მოხდა, რამაც გამდელოების პროცესს შეუწყო ხელი და ყავისფერი ნიადაგები მდელოს-ყავისფერი ნიადაგების განვითარების გზაზე დააყენა.

მდელოს-ყავისფერი ნიადაგები საკმაოდ საფუძვლიანად შეისწავლეს: რ. კირვალიძემ (1958), კ. მინდელმა (1966), ვ. ლატარიამ (1967), ე. ნაკაძემ (1968) და სხვ.

მდელოს-ყავისფერ ნიადაგებს უკავია რელიეფის დეპრესიული ნანილები. ნიადაგნარმომქმნელი ქანები ნარმოდგენილია მძიმე მექანიკური შედგენილობის ალუვიური და დელუვიურ-პროლუვიური ნალექებით, რომელთა სიღრმე ზოგჯერ 100 მ აღწევს.

კლიმატი ზომიერად თბილია. საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს  $9,9-10,6^{\circ}\text{C}$ ; ყველაზე ცივი თვის -იანვრის ტემპერატურა -  $16^{\circ}\text{C}$ -მდე ეცემა, ხოლო ყველაზე თბილი თვის -ივლისის  $21,8^{\circ}\text{C}$  აღწევს. სავეგეგთაციო პერიოდის ხანგრძლივობა ექვსი-შვიდი თვეა. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  $2800-3800^{\circ}\text{C}$  შეადგენს. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 464-512 მმ ფარგლებში მერყობს. დატენიანების კოეფიციენტი  $0,54-0,95$  შეადგენს.

ბუნებრივი მცენარეული საფარი ნარმოდგენილია ჭალის ტყეებით (მუხნარები). ამჟამად ტერიტორიის დიდი ნაწილი ათვისებულია სახნავებით, ბალებითა და ვენახებით.

მდელოს-ყავისფერი ნიადაგების პროფილს აქვს შემდეგი შენება:  $\text{A}'-\text{A}''-\text{AB}-\text{Bca(g)}-\text{BCca(g)}$ .

A' - მუქი ყავისფერი ჰუმუსოვანი პორიზონტი სიმძლავრით 20 სმ-მდე, მძიმე თიხნარი, კოშტოვან-მარცვლოვანი, კორდიანი, მომკვრივო, გადასვლა თანდათანობით.

A<sup>II</sup> - ყავისფერი ჰუმუსოვანი პორიზონტი სიმძლავრით 20-30 სმ, მძიმე თიხნარი ან თიხიანი, კოშტოვან-დაკუთხული, გადასვლა თანდათანობით.

AB - ყავისფერი პორიზონტი სიმძლავრით 15-25 სმ, კოშტოვან-ბელტოვანი, მძიმე თიხნარი ან თიხიანი, ზოგჯერ გალებების ლაქებით, ტენიანი, გადასვლა თანდათანობით.

Bc(a)g) - ყავისფერი პორიზონტი სიმძლავრით 20-50 სმ, მძიმე თიხნარი ან თიხიანი, გალებების ლაქებით, კოშტოვან-ბელტოვანი, მკვრივი, ტენიანი, გადასვლა თანდათანობით.

BCca(g) - ყავისფერი პორიზონტი სიმძლავრით 30-50 სმ, მძიმე თიხნარი ან თიხიანი, სუსტად გამოხატული კოშტოვან-ბელტოვანი, გალებების ლაქებით, მკვრივი, ტენიანი.

მდელოს-ყავისფერი ნიადაგები განსხვავდებიან ყავისფერი ნიადაგებისან უფრო სუსტი გათხებით, შედარებით მუქი შეფერილობით, სუსტად გამოხატული კარბონატული ახალნარმონაქმნებით, მტრედისფერი ლებისა და უანგის ლაქების არსებობით.

მდელოს-ყავისფერი ნიადაგები იყოფიან რამდენიმე ქვეტიპად: ტიპური, მდელუკ-ყავისფერი, ზედაპირულად მდელუკ-ყავისფერი და გამოტუტული.

ტიპური მდელოს-ყავისფერი ნიადაგები ვითარდებიან გრუნტის წყლების ზედაპირთან ახლოს დგომისა (2-3 მ) და ხშირად დამატებითი ზედაპირული დატენიანების პირობებში. გამოირჩევიან მუქი შეფერილობით და ინტენსიური გალებებით.

მდელუკ-ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან გრუნტის წყლების არალრმა დგომით (3-5 მ) და ხშირად დამატებითი ზედაპირული დატენიანებით. გალებება აღინიშნება ქვედა პორიზონტებში.

ზედაპირულად მდელუკ-ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან ვაკეების კიდეებზე, შლეიფებზე დამატებითი ზედაპირული დატენიანებით, გრუნტის წყლების ლრმად დგომით. გალებების ნიშნები აღინიშნება ზედა პორიზონტებში.

გამოტუტული მდელოს-ყავისფერი ნიადაგები იმით გამოირჩევიან, რომ კარბონატულობა ზედაპირიდან არ აღინიშნება.

მდელოს-ყავისფერი ნიადაგების ქვეტიპებში გამოყოფენ შემდეგ გვარებს:

**ჩევეულებრივი -** ნარმოიქმნებიან დაუმლაშებელ ქანებზე მტკნარი წყლების ზეგავლენით. ამ გვარს გააჩნია მდელოს-ყავისფერი ნიადა-გების ქვეტიპების ყველა ნიშან-თვისისება.

**ბიცობი -** ნარმოიქმნებიან დამლაშებულ ქანებზე ან დამლაშებული წყლების ზეგავლენით, განსხვავდებიან პრიზმული სტრუქტურით A პორიზონტის ქვედა და B პორიზონტის ზედა ნანილებში; გამკვრი-ვებულ ბიცობიან პორიზონტში გაცვლითი ნატრიუმის შემცველობა შთანთქმის ტევადობის 5% მეტია.

**ბიცობნარი -** ფორმირდებიან იგივე პირობებში, სადაც ბიცობები. ადვილადხსნადი მარილები ფიქსირდება 150 სმ-მდე.

**დაწიდული -** განსხვავდებიან ძალიან მძიმე მექანიკური შედგენილობით, დაწიდული აგებულებით და ძალიან სუსტი წყალგამტარობით; დატენიანებისას იჯირჯვება, გამოშრობისას-ჯდება, რასაც თან ახლავს დანაპრალება.

**მდელოს -** ყავისფერი ნიადაგები იყოფიან სახეობებად ჰუმუსის შემცველობის მიხედვით: სუსტად ჰუმუსიანი (<2,5%), მცირეჰუმუსიანი (<4%) და საშუალოდ ჰუმუსიანი (>4%).

**მდელოს -** ყავისფერ ნიადაგებს სახეობებად ყოფენ აგრეთვე ბიცობიანობის ხარისხისა და მარილების შემცველობის სილრმის მიხედვით.


**მდელოს -** ყავისფერი ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის კამბისოლების ჯგუფს. ნია-დაგებში დაფიქსირდა შემდეგი დიაგნოსტიკური კვალიფიკატორები: კალკარიკი-კარბონატების შემცველობა ზედაპირიდან, სულ მცირე 20-50 სმ შორის, გლეიეი - გამოხატული გლეიეი ფერის ნიშნით; ლები ე.ნ. ენდოგლეი, ნიადაგური მასის ქვედა ნანილში, გამორვეულია გრუნტის წყლების გავლენით და მიუთითებს აღდგენით პირობებზე. ამის შედეგად აგრეგატების ზედაპირზე კონცენტრირებულია რკინის და მანგანუმის ოქსიდები. კირის თეთრი თვლების არსებობა, რომლებიც რბილი და ფხვეირია მშრალ მდგომარეობაში, მიუთითებს მეორა-დი გაკარბონატების დიაგნოსტიკურ თვისებებზე. პროფილები გამო-ირჩევიან ჰიპერეულორიკ მაჩვენებლით.

## შავი ნიადაგები

შავი ნიადაგებისთვის (ე.ნ. ბარის შავმინები) დამახასიათებელია პროფილის ზედა ნანილის შავი შეფერილობა, საკმაოდ მძლავრი ჰუ-მუსოვანი პორიზონტი და შუა ნანილის გათიხება.

შავი ნიადაგები ხასიათდებიან: სუსტად ტუტე რეაქციით, კარბონატულ-ილუვიური პორიზონტის არსებობით, კარბონატების მაქსიმუმით 60-120 სმ სიღრმეზე, გათიხებით, თიხა მექანიკური შედგენილობით, ნიადაგის და ლექის ფრაქციის ერთგვაროვანი მთლიანი ქიმიური შედგენილობით, თიხამინერალებში სმექტიტის, ჰიდროქარსებისა და ქლორიტის სიჭარბით, არასილიკატური და დაკრისტალებული რკინის დაგროვებით პროფილის შუა ნაწილში, ხოლო ამორფული რკინის - პროფილის ზედა ნაწილში, ჰუმუსის ზომიერი შემცველობითა და ჰუმატური ტიპით, ზოგიერთ შემთხვევაში ადვილად ხსნადი მარილებისა (სულფატური) და თაბაშირის დაგროვებით, დაწილულობის ნიშნებით (მახვილნიბორანი და შავპერნიანი).

შავი ნიადაგების დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომქმნელი პროცესები: ჰუმუსნარმოქმნა, ჰუმუსდაგროვება, დამლაშება, გაკარბონატება, სიალიტიზაცია და სლიტიზაცია.



ნახ. 14. შავი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

შავი ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 3,9% (266 800 ჰა). ეს ნიადაგები გავრცელებულია გარე და შიგა კახეთის, ქვემო და ნაწილობრივ შუა ქართლის რაიონებში.

პირველი ცნობები ამ ნიადაგების შესახებ ეკუთვნის ვ. დოკუჩაევს, რომელმაც ისინი დაპყო შავმინა და წაბლა ნიადაგებად. შემდეგში ეს ნიადაგები შეისავლეს ს. ზახაროვმა (1924), მ. საბაშვილმა (1948, 1965), ბ. კლოპოტოვსკიმ (1930), გ. ტალახაძემ, გ. ახვლედიანმა (1950, 1953), გ. ტალახაძემ (1958, 1962, 1964), მ. საბაშვილმა, მ. ჯიკაე-

ვამ (1966), ჯ. მაჭავარიანმა (1978), ი. გერასიმოვმა (1979), ე. ნაკაიძემ (1980) და სხვ.

ბ. საბაშვილის (1948) აზრით გარე კახეთის ზეგანის ნიადაგების განვითარება წარმოდგენილია შავმინის წარმოქმნის პროცესით, რომელმაც შეცვალა ტყის სტადია. მ. საბაშვილი მიუთითებს, რომ საქართველოს ბარის შავმინები ყველაზე მეტად უახლოვდებიან სამხრეთისა და ჩივეულებრივ მცირე და საშუალოპუმუსიან შავმინებს.

ყველაზე დეტალურად ეს ნიადაგები შესწავლილი იქნა გ. ტალახაძის მიერ, რომელმაც მათ სპეციალური მონოგრაფიული გამოიკვლევაც მიუძღვნა. მისი აზრით, შავი ნიადაგების ერთი წარმოქმნა დაკავშირებულია ალუვიური ვაკეების, ხოლო მეორე წარმოქმნა დაკებისა და სხვა დეპრესიული ტიპის რელიეფური ფორმების ევოლუციასთან. მანვე დაამუშავა ამ ნიადაგების ელასიფიკაცია.

ი. გერასიმოვმა 1963 წელს, ივრის ზეგანის ნიადაგების დათვალიერებისას, გამოთქვა მოსაზრება, რომ აქ გავრცელებულ „შავ“ წარმოქმნა გებს ბევრი აქვთ საერთო ბულგარეთის, იუგოსლავიის, ალბანეთის და სხვ. ქვეყნების სმოლნიცებთან. მან მონოგრაფიაში „ამიერკავკასიის სუბტროპიკების ნიადაგების გენეტიკური ტიპები“, თ. ურუშაძის მონაცემების გამოყენებით, შავი წარმოქმნა გამოყოფილი დაწილების (ტერა ნეგრო ან ვერტისოლები) სახელწოდებით. იმავე პერიოდში მ. საბაშვილმა და ი. ჯიგავევამ გამოაქვეყნეს ნაშრომი, რომელშიც ქართლის დაწილებულ შავმინებს მიაკუთვნებდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში გავრცელებულ ე.წ. „სმოლნიცებს“. შიდა ქართლის დასავლეთ წარმოში გავრცელებულ შავ წარმოქმნა განსხვავდებიან ზომიერი სარტყელის შავმინებისგან.

ვ. ვოლობუევის აზრით, აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სტეპის წარმოქმნა მიერუთვნებიან შავ სუბტროპიკულ წარმოქმნას. ე. ნაკაიძის მიერ ნაჩვენებია, რომ შავი წარმოქმნა წარმოადგენენ ამიერკავკასიის მშრალ სუბტროპიკულ სტეპებში გავრცელებულ დამოუკიდებელ გენეზისურ ტიპს და ისინი საკმაოდ განსხვავდებიან ზომიერი სარტყელის შავმინებისგან.

რ. მარდალეიმგილის, ც. ფიფიას, ნ. კობახიძის, ბ. ტაბიძის ნაშრომში „აღმოსავლეთი ამიერკავკასიის ივრის ზეგანის შავმინები“ (1983) საქართველოს ბარის შავმინებში გამოიყოფა ორი ქვეტიპი - ჩვეულებრივი და სამხრეთის.

ფ. დიუშოფური (1968) აღნიშნავს, რომ შავ წარმოქმნა შავმინებისგან განსხვავდებით, ჰუმუსოვანი ნაერთები დაკავშირებულია რკინისათან და არა კალციუმთან.

ს. ზონის (1986) აზრით მსოფლიოში შავი და დაწიდული ნიადაგები გამოიყოფა სხვადასხვა სახელწოდებით, თუმცა ბოლო დროს ყველა მათგანი გაერთიანებულია „ვერტისოლების“ კლასში.

რ. დიუდალი (1963) მიუთითებს, რომ შავი ნიადაგები ცნობილია 40-მდე სხვადასხვა სახელწოდებით. ინდოეთში მათ მიეკუთვნებიან „რეგურები“ ან „შავი ბამბის ნიადაგები“. ხმელთაშუაზღვის არაბულ ქვეყნებში ეს ნიადაგები გამოიყოფიან „თორსების“ ან „ტუარესების“ სახელწოდებით, ცენტრალურ აფრიკაში - „შავი ტროპიკული თიხების“, სამხრეთ ამერიკაში - „ტერა ნეგრა პლასტიკის“, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში - „სმოლნიცების“, ინდონეზიაში „მარგალიტის“, აშშ-ში - „ვერტისოლების“ სახელწოდებით.

შავ ნიადაგებს უკავია აღმოსავლეთ საქართველოს მთათაშორისი და ბლობი ზონა, რომელიც წარმოქმნილია დენუდაციურ-აკუმულაციური (შერეული) და საკუთრივ აკუმულაციურ-გენეზისური გეომორფოლოგიური ტიპებით. შავი ნიადაგების გავრცელების ზოლში აგრეთვე გვხვდება დახრილი ტერასისებრი (ზღვის დონიდან 650-750 მ ფარგლებში) და ზეგანი-პენეპლენის ვაკე (ზღვის დონიდან 700-1000 მ შორის). შავი ნიადაგების არეალში ფართოდაა გავრცელებული რელიეფის აკუმულაციური ტიპი, რომელიც წარმოდგენილია ამოქვაბულისა და ალუვიური ვაკეების ფორმით. ნიადაგნარმომექმნელი ქანები წარმოდგენილია გაჯიანი, კირითა და თაბაშირით მდიდარი თიხიანი და თიხნარი ნაფენებით, ქვიშიან-თიხიანი ნალექებითა და კონგლომერატებით.

შავი ნიადაგები ვითარდებიან მშრალი სუბტროპიკების ტიპის კლიმატის პირობებში-თბილი, თითქმის უთოვლო ზამთრით და ცხელი, მშრალი ზაფხულით. ყველაზე თბილი თვეის (ივნისის) ტემპერატურაა  $22-23,9^{\circ}\text{C}$ , ყველაზე ცივი თვეის (იანვრის)  $-0,3$ ,  $-3,8^{\circ}\text{C}$ . საშუალო ნლიური ტემპერატურა შეადგენს  $10-11,9^{\circ}\text{C}$ . აქტიურ ტემპერატურა-თა ჯამი  $4000^{\circ}\text{C}$  აღწევს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა ექვსი-შვიდი თვეა. ნალექების ნლიური რაოდენობა მერყეობს  $400-600$  მმ ფარგლებში. ჰაერის საშუალო ნლიური ფარდობითი ტენიანობა იცვლება  $64$ -დან  $70$  %-მდე.

შავი ნიადაგები გავრცელებულია მშრალ სუბტროპიკულ სტეპებში. სტეპის მცენარეულბაში გამოიყოფენ შემდეგ დაჯგუფებებს: ჯაგეკლიანი, უროიანი, ვაცინვერიანი და მდელოს ნაირბალახოვანი.

შავ ნიადაგებს აქვთ პროფილის შემდეგი შენება:  $\text{A}_1/\text{A}_1''$  -  $\text{AB}$ -  $\text{B}$ - $\text{BC}$ .

$\text{A}_1$ -შავი ჰაერულგვანი ჰორიზონტი საერთო სიმძლავრით  $15-25$  სმ, თიხიანი, კომტოვან-დაკუთხული ან მარცვლოვანი, ფესვების დიდი რაოდენობით, მომკვრივო.

A<sub>1</sub>" - შავი, ოდნავ მორუხო ჰუმუსოვანი ჰორიზონტი საერთო სიმბ-ლავრით 10-20 სმ, თიხიანი, კაკლოვან-პრიზმული, მკვრივი, დაწიდული.

B-მოშავო-ყავისფერი ჰორიზონტი საერთო სიმბლავრით 15-25 სმ, თიხიანი, კოშტოვან-პრიზმული, მკვრივი, დაწიდული.

BC-ჩალისფერი ჰორიზონტი, თიხიანი, კარბონატების „თეთრი თვლებით“, მკვრივი.

შავი ნიადაგები განსხვავდებიან ყავისფერი ნიადაგებისგან უფრო მძლავრი ჰუმუსოვანი ჰორიზონტით, შავი შეფერილობით, და-კუთხულ-კაკლოვანი ან დაკუთხულ-კოშტოვანი სტრუქტურით, შედარებით მძიმე მექანიკური შედგენილობით, ჰუმუსის მაღალი შემცველობით, ნაკლებად გამოხატული კარბონატულ-ილუვიური ჰორიზონტის არსებობით, დაწიდულობის ნიშნებით (მახვილნიბოიანი და შავპერნიანი).

შავი ნიადაგები რუხი-ყავისფერი ნიადაგებისგან განსხვავდებიან მძლავრი ჰუმუსოვანი ჰორიზონტით, შავი შეფერილობით, უფრო მძიმე მექანიკური შედგენილობით, ჰუმუსის მაღალი შემცველობით, ნაკლებად გამოხატული კარბონატულ-ილუვიური ჰორიზონტის არსებობით, დაწიდულობის ნიშნებით (მახვილნიბოიანი და შავპერნიანი).

შავი ნიადაგები განსხვავდებიან შავმიწებისგან დაკუთხულ-კაკლოვანი ან დაკუთხულ-კოშტოვანი სტრუქტურით, უფრო მძიმე მექანიკური შედგენილობით, გამოხატული გათიხებით, რკინის სხვადასხვა ფორმის მეტი შემცველობით, ზოგიერთ შემთხვევაში ადვილად ხსნადი მარილების და თაბაშირის გარკვეული დაგროვებით, დაწიდულობის ნიშნებით (მახვილნიბოიანი და შავპერნიანი).

შავი ნიადაგები იყოფა რამდენიმე ქვეტიბად: მდელოს-ლებიანი, გამოტუტული, ტიპური, კარბონატული.

მდელოს-ლებიანი შავი ნიადაგები ფორმირდებიან დეპრესიულ ადგილებში, ნატეურ-დეპრესიულ ქვაბულებში. აკუმულაციური ფენა საქმაოდ მძლავრია, გალებების ნიშნები 50 სმ ქვევითაა. კარბონატები ძირითადად ნარმოდგენილია კონკრეციებით ან თეთრი ლაქებით. მექანიკური შედგენილობა მძიმე თახნარი ან მსუბუქ თიხიანია. ჰუმუსის ტიპი ჰუმატურია, ნიადაგები მაღალი გაცვლითუნარიანობით ხასიათდებიან.

გამოტუტული შავი ნიადაგები შედარებით მცირე ფართობებზეა გავრცელებული. კარბონატულობა 0,5მ-დან იწყება. ზედა ჰორიზონტების რეაქცია ნეიტრალურია, ხოლო ქვედა ჰორიზონტების-სუსტი ტუტე. ჰუმუსის ტიპი ჰუმატურ - ფულვატური ან ჰუმატურია. შთანთქმის ტევადობა საკმაოდ მაღალია (30-40 მგ.ექვ.).

ტიპური შავი ნიადაგები გავრცელებულია მოსწორებული რელიეფის პირობებში. კარბონატულობა ალინიშნება სახნავის ქვედა ფენიდან (25-30 სმ ქვემოთ). ჰუმუსის შემცველობა საშუალოა, ჰუმუსის

ტიპი ჰუმატური. შთანთქმის ტევადობა საკმაოდ მაღალია. ამ ნიადაგებში მცირე რაოდენობითაა გაცვლითი ნატრიუმი (2-3% საერთო ტევადობიდან).

კარბონატული შავი ნიადაგები ფართო გავრცელებით ხასიათდებიან. კარბონატულობა აღინიშნება ზედაპირიდან. ჰუმუსის შემცველობა მცირეა. მექანიკური შედგენილობა მსუბუქი და საშუალო თიხიანია, ჰუმუსის ტიპი ჰუმატური. გაცვლითუნარიანობა საკმაოდ მაღალია.

შავი ნიადაგების ქვეტიპებში გამოყოფენ შემდეგ გვარებს:

ჩვეულებრივი - გამოიყოფა ყველა ქვეტიპში. ფორმირდებიან შედარებით ერთგვაროვან, წვრილმინიან, ზომიერად კარბონატულ ქანებზე. ამ გვარს გააჩნია შავი ნიადაგების ქვეტიპების ყველა ნიშანი და თვისება.

ბიცობიანი - ჰუმუსოვანი ჰორიზონტის ფარგლებში აქვთ ბიცობიანი გამკვრივებული ჰორიზონტი, რომელიც შეიცავს საერთო ტევადობიდან 5% მეტ შთანთქმულ ნატრიუმს.

შავი ნიადაგები იყოფა სახეობებად ჰუმუსის შემცველობის მიხედვით: სუსტად ჰუმუსიანი (<2%), მცირე ჰუმუსიანი (2-3%), საშუალო ჰუმუსიანი (3-5%), ბევრ ჰუმუსიანი (>5%).


შავი ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის ვერტისოლების ჯგუფს, ვერტიკ ჰორიზონტის გამო, რომელშიც პერიოდულად მიმდინარე დაჯდომისა და გაჯირჯვების პროცესებმა განაპირობეს სლიქენსაიდების წარმოქმნა. მოცემული თვისების ტიპური გამოვლინების გამო, სახელწოდებას დაემატება კვალიფიკატორი ჰაპლიკი.

## შავმინები

შავმინებისთვის (ე.ნ. მთის შავმინებისთვის) დამახასიათებელია კარგად გამოხატული საკმაოდ მძლავრი და შავი შეფერილობის ჰუმუსოვანი ჰორიზონტი, პროფილის გათხება.

შავმინები ხასიათდებიან სუსტად მჟავე, ნეიტრალური ან სუსტად ტუტე რეაქციით, ფუძეებით მაძლრობით, ჰუმუსის მაღალი შემცველობით (ზოგიერთ შემთხვევაში ჰუმუსის რაოდენობა 10 % აღნევს), გაცვლით კატიონებში კალციუმის მკვეთრი სიჭარბით, ძირითადი ჟანგეულების მეტ-ნაკლებად თანაბარი განაწილებით, თიხიანი ან მძიმე თიხნარი მექანიკური შედგენილობით.

შავმინებისთვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომექმნელი პროცესები: ჰუმუსნარმოქმნა, ჰუმუსდაგროვება და სიალიტიზაცია.



ნახ. 15. შავმინის ძირითადი მაჩვენებლები

შავმინების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 1,4% (99 200 ჰა). ეს ნიადაგები გავრცელებულია სამხრეთ მთიანეთში, ზღვის დონიდან 1200-1900 მ შორის.

საქართველოს შავმინების პირველი მკვლევარი იყო გენეზისური ნიადაგმცოდნეობის ფუძემდებელი პროფ. ვ. დოკუჩაევი. მისი გამოკვლევებით დადგინდა, რომ შავმინები შეიცავენ 10% ან მეტ ჰუმუსს და ხასიათდებიან კარგი სტრუქტურით.

საქართველოს შავმინები შეისწავლა ს. ზახაროვმა (1906), რომელიც აღნიშნავდა, რომ ეს ნიადაგები ხასიათდებიან ჰუმუსოვანი ჰორიზონტის შავი შეფერილობით და მარცვლოვანი სტრუქტურით, ილუვიური ჰორიზონტის ყომრალ-ყვითელი შეფერილობით, რომელიც სილრმეში რუხ ფერს იძენს. პროფილის ქვედა ნაწილში აღინიშნება ანდეზიტ-ბაზალტების ქანის ნამტვრევები. ს. ზახაროვმა დაადასტურა, რომ შავმინები ექვემდებარებიან ვერტიკალური ზონალური განაწილების კანონზომიერებას: დაბლობ ზოლში გავრცელებულია კარბონატული შავმინები, უფრო ზემოთ-ჩვეულებრივი შავმინები, ხოლო ყველაზე მაღალ ჰიდრომეტრულ ზოლში-გამოტუტული შავმინები.

სამხრეთ მთიანეთის შავმინები შესწავლილი აქვს ბ. კლოპოტოვსკის (1933), რომელმაც გამოჰყო ხუთი ქვეტიპი: სამხრეთის, ჩვეულებრივი, პოხიერი, გამოტუტული და მთა-მდელოს შავმინისებრი.

საქართველოს შავმინები შეისწავლეს ს. ცინცაძემ (1940), ვ. სუხმანოვმა (1940), ვ. ჩხიკვიშვილმა და ვ. ამბოკაძემ (1948).

ქართველი მკვლევარებიდან საქართველოს შავმიწები ყველაზე საფუძვლიანად შეისწავლა გ. ტალახაძემ და გამოაქვეყნა მონოგრაფია „საქართველოს შავმიწები“ (1962).

სამხრეთ მთიანეთის შავმიწების უმეტესი ნაწილი განვითარებულია ვულკანურ პლატოზე, რომელიც მთიანი ვაკის ხასიათს ატარებს. საქართველოს შავმიწების ზოლი გეომორფოლოგიურად იყოფა დენუდაციურ, ამფითიატრისებრ და აკუმულაციურ ტიპებად.

ახალქალაქ-ნალკის რეგიონის ვაკეები აგებულია ანდეზიტების, ანდეზიტ-ბაზალტებისა და ბაზალტური ქანებისგან. დეპრესიებში ეს ქანები გადაფარულია ტბური ნალექებით. გამოზიდვის კონუსები ნარმოდგენილია ანდეზიტ-დაციტებით. გამყინვარების პერიოდში სამხრეთ მთიანეთმა გამყინვარება განიცადა, რაზეც მიუთითებს გავრცელებული მორენული ნაფენები.

შავმიწების სარტყელი ხასიათდება ცივი ჰავით. საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის  $5,9^{\circ}\text{C}$ . ყველაზე ცივი თვის (იანვრის) ტემპერატურაა  $-7,5^{\circ}\text{C}$ , ხოლო თბილი თვის (ივლისის)  $16,8^{\circ}\text{C}$ . ზამთარში ტემპერატურა ხშირად შინუს  $20-25^{\circ}\text{C}$ -მდე ეცემა. სავაგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 5 თვეს უდრის. ნალექების რაოდენობა  $545-746$  მმ-ია. მათი მაქსიმუმი მაის-ივნისში მოდის, ხოლო მინიმუმი ზამთარში. წლიური საშუალო ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა 70% უდრის.

ბუნებრივი მცენარეულობა ძირითადად მდელო-სტების ტიპისაა და აერთიანებს შემდეგ დაჯგუფებებს: ურიოანი, ვაცინვერიანი, მარცვლოვან-ნაირბალახოვანი და ისლიან-ჭალიანი.

შავმიწებს აქვთ პროფილის შემდეგი შენება:  $\text{A}_1^{\prime }-\text{A}_1^{\prime \prime }-\text{AB}-\text{BC}$ .

$\text{A}_1^{\prime }-$  შავი ჰუმუსოვანი ჰორიზონტი საერთო სიმძლავრით 15-20 სმ, თიხნარი, მარცვლოვან-ნვრილკაკლოვანი, ფესვები დიდი რაოდენობით.

$\text{A}_1^{\prime \prime }-$  შავი ჰუმუსოვანი ჰორიზონტი საერთო სიმძლავრით 15-25 სმ, თიხნარ-თიხიანი, კოშტოვან-კაკლოვანი, ფესვები ნაკლები რაოდენობით.

$\text{AB}-$  მოშავო-ყავისფერი გარდამავალი ჰორიზონტი საერთო სიმძლავრით 15-25 სმ, თიხნარ-თიხიანი, კოშტოვან-კაკლოვანი, ფესვები ერთეულად.

$\text{BC}-$  ყავისფერ-ჩალისფერი ჰორიზონტი საერთო სიმძლავრით 25-35 სმ, თიხნარ-თიხიანი, კოშტოვან-დაკუთხული.

შავმიწები განსხვავდებიან შავი ნიადაგებისგან კოშტოვან-კაკლოვანი სტრუქტურით, უფრო მსუბუქი მექანიკური შედგენილობით, დაწიდულობის ნიშნების უქონლობით.

შავმიწები იყოფა ქვეტიპებად: გამოტუტული და ტიპური.

გამოტუტული შავმინები გავრცელებულია ყველაზე მაღალ ჰიფეს სიმეტრულ ნიშნულებზე. ამ ნიადაგების რეაქცია სუსტად მჟავეა ან ნეიტრალური. კარბონატები არ აღინიშნება.

ტიპური შავმინები ნეიტრალური ან სუსტად ტუტე რეაქციით ხასიათდებიან. ნიადაგის პროფილში აღინიშნება კარბონატები.

შავმინების ქვეტიპებში გამოყოფენ შემდეგ გვარებს:

ჩეველულებრივი - გამოიყოფა ყველა ქვეტიპში. ამ გვარს გააჩნია შავმინების ქვეტიპების ნიშან-თვისებები.

უკარბონატო - ამ გვარის ნიადაგები არ შეიცავენ კარბონატებს.

ნარჩენ-კარბონატული - ფორმირდებიან კარბონატულ ქანებზე.

შავმინები იყოფა სახეობებად ჰუმუსის შემცველობის მიხედვით: სუსტად ჰუმუსიანი (<2%), მცირეჰუმუსიანი (2-3%), საშუალოჰუმუსიანი (3-5%), ბევრჰუმუსიანი (>5%).

შავმინები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის ჩერნოზომების ჯგუფს. შავმინების პროფილში გამოვლინდა დიაგნოსტიკური კვალიფიკატორი ვორონიკი, რომელიც გულისხმობს ვორონიკ (მოლიკ ჰორიზონტის სპეციფიკურ ტიპი) ჰორიზონტის არსებობას. ის არის სქელი, კარგად გასტრუქტურებული (მარცვლოვანი სტრუქტურა), შავი ან მოძავო შეფერილობის ზედაპირული ჰორიზონტი ფუძეების მაღალი მაძლრობით ( $\geq 80\%$ ), ორგანული ნივთიერების მაღალი შემცველობით ( $C_{\text{org}} \cdot \text{შემცველობა} / \text{მინიმუმ } 1.5\% \text{ და ორგანული ნივთიერება } 2.5\%$ ), მაღალი ბიოლოგიური აქტიურობით. ვორონიკი მოიცავს გარდამავალ ჰორიზონტებს (მაგ: AB), რომელებშიც დომინანტურია ზედაპირული ჰორიზონტების მახასიათებლები. მეორე დიაგნოსტიკური კვალიფიკატორი არის მოლიკი, რომელიც მიუთითოთებს მოლიკ ჰორიზონტის არსებობაზე. ჰორიზონტი მოლიკი მუქი ფერის ზედაპირული ჰორიზონტია ფუძეების მაღალი მაძლრობით ( $\geq 50\%$ ), ორგანული ნივთიერებების მაღალი ან საშუალო შემცველობით ( $C_{\text{org}} \cdot \text{შემცველობა} / \text{არ უნდა იყოს } 0.6\%-ზე დაბალი და ორგანული ნივთიერება / \text{ჰუმუსის რაოდენობა } 1\%-ზე ნაკლები), სისქე არანაკლები  $25\text{სმ} \cdot 3\text{გ}$ . ვორონიკის სპეციფიკა, მოლიკთან შედარებით, გამოიხატება  $C_{\text{org}} \cdot \text{ის მაღალ შემცველობაში და უფრო მუქ შეფერილობაში}$ . შავმინებში სავარაუდოდ ასევე გამოვლენილია კვალიფიკატორი კალციკი, რომელიც გულისხმობს მეორადი კარბონატების დაგროვებას ნიადაგის ზედაპირიდან 100 სმ - ის საზღვრებში. მეორადი  $\text{CaCO}_3$  შავმინების პროფილის ქვედა ნანილში გვხვდება როგორც დიფუზურ ფორმაში (ნიადაგის მასაში წვრილი ნანილაკების სახით), ასევე ახალნარმონაქმნების სახითაც (ფსევდომიცელიუმი). შავმინების პროფილში მეტ-ნაკლებად გამოვლენილია არჯიის დიაგნოსტიკური კრიტერიუმები (განსაკუთრებით მის შუა ნანილში): მძიმე მექანიკური შედგენილობა, თიხის მინიმუმ 8% შემცველობა.$


ბა, ლექის ფრაქციის აკუმულაცია. არჯიკ ჰორიზონტის ილუვიური ბუნება შეიძლება დადგინდეს აგრეგატებზე თიხის კუტანების არსებობით. შავმიწებისათვის ასევე დამახასიათებელია ეუთრიკ კვალიფიკატორი.

### მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგებისთვის დამახასიათებელია არადიფერენცირებული პროფილი, მცირე და სამუალო სიმძლავრე, ძლიერი გამოტუტვა.

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები ხასიათდებიან: მთელი პროფილის მუავე რეაქციით, ცალკეული უანგეულების მეტ-ნაკლებად თანაბარი განაწილებით, მაძღლობის დაბალი ხარისხით, მაღალი ჰუმუსიანობით და ღრმა ჰუმუსირებით, თიხამინერალების შედგენილობაში ქლორიტული და კაოლინიტ-გალუაზიტის მინერალების სიჭარბით, რენის მოძრავი ფორმების მომატებული რაოდენობით.

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომქმნელი პროცესებია: ჰუმუსიალიტიზაცია და ჰუმუსნარმქმნა.



ნახ. 16. მთა-ტყე-მდელოს ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგების გავრცელების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 7,2% (492 000 ჰა). ეს ნიადაგები ფართოდაა გავრცელებული კავკასიონისა და ამიერკავკასიონის სამხრეთი მთანეთის სუბალპურ ზონაში, ზღვის დონიდან 1800 (2000) მ-დან-2000 (2200) მ-დან.

1914 წელს ს. ზახაროვმა გამოიკვლია კავკასიის მაღალმთიანეთის ნიადაგები, ცხრა-წყაროსა (თრიალეთის ქედი) და ჯვრის (მთავარი

კავკასიონი) ულელტეხილების მიდამოებში, რომელთა დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშნებია: 1) ზედა პორიზონტების ყომრალი და ქვედა პორიზონტების ყავისფერი შეფერილობა; 2) მცირე სისქე; 3) ნიადაგური მასის სუსტი დიფერენციაცია; 4) ხირხატიანობა; 5) ზედა პორიზონტების ტორფიანობა და ფესვიანობა.

ა. ვოზნესენსიმ (1935) ზაქათალის რაიონის მთა-ტყების ნიადაგების შესწავლისას, განსაკუთრებულ ტიპად გამოყო შერეული ტყეების, მაღალმთიანეთის გამეჩერებული მუხნარებისა და ბუჩქნარების ფორმაციის ფარულებერი ნიადაგები.

ო. მიხაილოვსკაია (1936) იკვლევდა მაღალმთიანეთის ნიადაგებს, მათ შორის შეისწავლა სამაჩაბლოს სუბალპური ტყეების ნიადაგები. მისი აზრით სუბალპური ტყეების ქვეშ ფორმირდებიან მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები.

კ. ბოგატირევი (1947) სუბალპურ ტყეებს გარდამავალ სარტყლად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ მათ ქვეშ ფორმირდებიან კორდიანი მთა-ტყის ნიადაგები და მათ განიხილავდა მაღალმთიანეთის ნიადაგნარმოქმნის განსაკუთრებულ გეოგრაფიულ ფორმად.

გ. ახვლედიანი და ს. ცინცაძე (1949) ქლუხორის რაიონის სუბალპური ზონის ნიადაგების შესწავლისას აღნიშნავდნენ ამ ნიადაგების დამახასიათებელ თვისებებს - ფუნდებით არამაძლრობასა და მუავე რეაქციას.

ს. ზონის (1950) მიხედვით არყნარი ტანბრეცილების ქვეშ ფორმირდება მუქი მდელო-ტყის ნიადაგები. ის აღნიშნავს, რომ ნიადაგებისთვის დამახასიათებელი მცირე სისქე შეიძლება განხილული იქნეს როგორც გენეზისური ნიშნი, განპირობებული მეცნიერებული კიბრი კლიმატური პირობებით.

გ. ტარასაშვილის (1956) მიხედვით სუბალპურ ზონაში ძირითადად გავრცელებულია მაღალმთის დაკორდებული ნიადაგებისკენ გარდა-მაგალი ნიადაგები.

ა. გოგატიშვილი (1958) სუბალპურ სარტყელში გამოყოფს სუბალპური ტყე-მდელოს გარდამავალ ნიადაგებს, რომლებიც ხასიათდებიან როგორც მთა-ტყის, ისე მთა-მდელოს ნიადაგების თვისებებით.

გ. ტალახაძის (1964) მიხედვით სუბალპური ტყეების ქვეშ ფორმირდება სუბალპური ტყე-მდელოს კორდიანი ნიადაგები. ნიადაგნარმოქმნა მიმდინარეობს გამეჩერებული ტყის ცენოზებისა და ბალახეული მცენარეულობის ერთობლივი მოქმედების შედეგად.

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგების შესახებ ყველაზე სრული გამოკვლევები ჩაატარა თ. ურუშაძემ (1972, 1977, 1989). კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მან შეისწავლა ამ ნიადაგების გენეზისური თავისებურებაზე, დაადგინა გეოგრაფიული გავრცელების კანონზომიერებაზი, დაამუშავა მათი კლასიფიკაცია.

სუბალპური ტყეების არეალში გაბატონებულია მაღალმთიანე-  
თის ეროზიულ-დენუდაციური რელიეფი მყინვარული გენეზისის  
ფორმების სიჭარბით. ზოგან გავრცელებულია მეოთხეული ეფუზიუ-  
რი ვულკანიზმით შექმნილი რელიეფის ფორმები. ეროზიული ხეობე-  
ბი ხასიათდებიან საქმარდ ციცაბო ფერდობებით.

დასავლეთ საქართველოში ნიადაგნარმომქმნელი ქანები წარ-  
მოდგენილია კრისტალური ან კვარციან-ქარსიანი ფიქლებით, კვარ-  
ციანი დიორიტებით და კირქვებით. აღმოსავლეთ საქართველოში ძი-  
რითადად გვხვდება თიხა-ფიქლები, ქვიშაქვები, კირქვები, მორენუ-  
ლი ნაფენები. სამხრეთ საქართველოში ნიადაგნარმომქმნელ ქანებს  
მიეკუთვნებიან ანდეზიტები, პორფირიტები, სიენიტები.

კლიმატი ცივია, ხანმოკლე გრილი ზაფხულითა და მკაცრი ხანგრ-  
ძლივი ზამთრით. საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის  $3,2-4,1^{\circ}\text{C}$ .  
სავეგეტაციო ჰერიონდის ხანგრძლივობა სამი-ოთხი თვეა. ნალექების  
წლიური რაოდენობა მერყეობს 605-1675 მმ შორის. ჰაერის საშუალო  
წლიური ფარდობითი ტენიანობა 70-79% აღნევს.

სუბალპური ტყეები ხასიათდება ტანძრეცილებით, მეჩეტერებითა  
და ბუჩქნარებით. მათი სახეობრივი შემადგენლობა აერთიანებს შემ-  
დეგ მცენარეულ ფორმაციებს: წილანარებს, ნეკერჩელნარებს, მუხ-  
ნარებს, ფიჭვნარებს, ზოგჯერ ნაძვნარებსა და სოჭნარებს, დეკია-  
ნებს, იელიანებს, ლვიანებს.

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგების აქვთ პროფილის შემდეგი შენება:  
**A<sub>0</sub>-A-AB-B-BC-CD.**

**A<sub>0</sub> - მკვდარი საფარი სისქით 1- 3 სმ, სუსტად გახრნნილი ფოთლები.**

**A - მომავო-ყომრალი ჰუმუსოვანი ჰორიზონტი სიმძლავრით 10-20  
სმ, თიხნარი, ნერილმარცვლოვანი, ხშირად ხრემის ჩანართე-  
ბი, ბევრია ფესვები, გადასვლა თანდათანობითი.**

**AB - მუქი ყომრალი გარდამავალი ჰორიზონტი სიმძლავრით 15-25  
სმ, ფესვები ნაკლებად, თიხნარი, კომტოვან-კაკლოვანი,  
გვხვდება ხრეში, გადასვლა თანდათანობითი.**

**B - ყომრალ-ჟანგიანი ილუვიური ჰორიზონტი სიმძლავრით 20-30  
სმ, ფესვები ერთეულად, თიხნარი, კომტოვანი, მომკვრივო,  
გვხვდება ქანის ნამტვრევები, გადასვლა თანდათანობითი.**

**BC - გარდამავალი ჰორიზონტი, რომელშიც ჭარბობს ნიადაგნარ-  
მომქმნელი ქანის თვისებები.**

**CD - ღია ყომრალი ქანების გამოტუტული ელუვიონი, ელუვიონ-  
დელუვიონი და დელუვიონი სიმძლავრით 20-40 სმ, თიხნარი,  
უსტრუქტურო, ქანის ნამტვრევები დიდი რაოდენობით.**

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები მთა-მდელოს ნიადაგებისგან (რომ-ლებიც ფორმირდებიან სუბალპური სარტყლის ზედა ნაწილში) განსხვავდებიან ლია შეფერილობით, უარესი და ნაკლებად მტკიცე გასტრუქტურებით, ნაკლები ხირხარტიანობით, მეტი სისქით, ნაკლები ჰუმუსირებით, მეტი არამაძლრობით, რკინის მოძრავი ფორმების ნაკლები შემცველობით.

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები ყომრალი ნიადაგებისგან (რომლებიც ფორმირდებიან უფრო თბილ პირობებში) განსხვავდებიან უფრო მუქი შეფერილობით, ნაკლებად მტკიცე სტრუქტურით, მეტი სიფხვიერით, ხირხატიანობით, ნაკლები სიმძლავრით, ჰუმუსის მეტი შემცველობითა და უფრო ღრმა ჰუმუსირებით, მეტი არამაძლრობით, უფრო მუავე რეაქციით, ნაკლები გათიხებით და რკინის მოძრავის ფორმების მეტი შემცველობით.

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები აერთიანებენ ნიადაგების სამ ტიპს: მთა-ტყე-მდელოს ტიპური, მთა-ტყე-მდელოს ტორფიანი და მთა-ტყე-მდელოს მუქი.

ტიპური მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები ფორმირდებიან არყნარ და ნიფლნარ ტანბრეცილებსა და ნეკერჩელნარი მეჩერების ქვეშ.

ტორფიანი მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები ფორმირდებიან ბუჩქარების ქვეშ და ხასიათდებიან კარგად გამოხატული გატორფებული პორიზონტის არსებობით, გადიდებული ხირხატიანობით, თიხხარი მექანიკური შედგენილობით, პროფილის ზედა ნაწილში არასილიკატური რკინის დაგროვებით, ჰუმუსის ფულვატური ტიპით, მუავე რეაქციით, მაღალი ჰუმუსიანობით და ღრმა ჰუმუსირებით, ფუძეების არამაძლრობით.

მუქი მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები ფორმირდებიან აღმოსავლეთ საქართველოში ფიჭვნარი და მუხნარი მეჩერების ქვეშ, მმრალ სამხრეთ ფერდობებზე. ეს ნიადაგები მუქია, კარგად გასტრუქტურებული, ხასიათდებიან მძლავრი ჰუმუსოვანი პორიზონტით.

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგებში გამოყოფენ შემდეგ ქვეტიპებს:

ჩვეულებრივი - ნიადაგები ცალკეული ტიპების ძირითადი თვისებებითა და ნიშნებით.

მაღარი - განვითარებული ფუძე ქანების გამოფიტვის პროდუქტებზე.

არასრულგანვითარებული - პროფილის საერთო სიმძლავრე მცირეა და ამოვარდნილია ერთ-ერთი გენეზისური პორიზონტი.

გაენერებული - ხასიათდებიან გაენერებული A<sub>2</sub> პორიზონტის არსებობით.

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგების ქვეტიპებში, ჰუმუსოვანი პორიზონტის ხასიათის მიხედვით, გამოყოფენ გვარებს: ფაშარ-კორდიანი, ნეშომპალა-ტორფიანი, ტორფიანი.

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები იყოფა სახეობებად ჰუმუსოვანი პროფილის სისქის მიხედვით: მცირე სიმძლავრის -  $A+B<20$ სმ, საშუალო სიმძლავრის -  $A+B=20-40$ სმ, მძლავრი -  $A+B=40-80$  სმ და ზემძლავრი -  $A+B>80$ სმ. ტორფიანი მთა-ტყე-მდელოს ნიადაგების სახეობებს გამოყოფენ გატორფებული ჰორიზონტის სიმძლავრის მიხედვით.


მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები მიეკუთვნება ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის უმბრისოლების ჯგუფს. ნიადაგების პროფილში აღინიშნება დიაგნოსტიკური კვალიფიკატორი ფერიკი.

### მთა-მდელოს ნიადაგები

მთა-მდელოს ნიადაგებისთვის დამახასიათებელია არადიფერენცირებული პროფილი, კარგად გამოხატული ჰუმუსოვანი ჰორიზონტი, მცირე ან საშუალო სიმძლავრე.

მთა-მდელოს ნიადაგები ხასიათდება: მუვავე ან სუსტად მუვავე რეაქციით, მაღალი ჰუმუსიანობით და ღრმა ჰუმუსირებით, შთანთქმის დაბალი ან საშუალო ტევადობით, თიხნარი ან თიხა მექანიკური შედგენილობით, მინერალური ნაწილის გამოფიტვის სიალიტური ტიპით, თხხამინერალებში ჰიდროქარსების და ქლორიტის სიჭარბით, ჰუმუსის ფულვატური და ფულვატურ-ჰუმატური ტიპით, სილრმეში სილიკატური რკინის მომატებული შემცველობით.

მთა-მდელოს ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომენტი პროცესებია: ჰუმუსიალიტიზაცია, ჰუმუსნარმოქმნა, კორდიანი პროცესი და გასტრუქტურება.



ნახ. 17. მთა-მდელოს ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

საქართველოში მთა-მდელოს ნიადაგები აპსოლუტურად გაბატონებული ნიადაგებია. მათი საერთო ფართობი  $25,1\%$  ( $1\,758\,200$  ჰა) შეადგენს. ეს ნიადაგები ფართოდ არიან გავრცელებული კავკასიონისა და ამიერკავკასიის სამხრეთ მთიანეთის სუბალპურ და ალპურ ზონებში, ზღვის დონიდან  $1800$  (2000) მ-დან  $3200$  (3500) მ-მდე.

საქართველოს მთა-მდელოს ნიადაგები შესწავლილი აქვთ ო. მიხაილოვსკაიას (1936), მ. საბაშვილს (1948, 1955), მ. საბაშვილს და მ. ჯიკაევას (1950), გ. ტარასაშვილს (1956), თ. ურუშაძეს (1974), ნ. იაშვილს (1976), კ. მინდელს (1976), მ. შუბლაძეს (1987). მათი გამოკვლეულით დადგენილია, რომ მთა-მდელოს ნიადაგებისთვის დამახასიათებელია ილუვიური პროცესების გამოხატულება, ძლიერ მუავე რეაქცია, მაღალი ჰიდროლიზური მუავიანობა; ფუძეებით მაძლრობის დაბალი ხარისხი, ჰუმუსის მაღალი შემცველობა, ჰუმუსის ფულვატური ან ჰუმატურ-ფულვატური ტიპი, ჰიდროქარსული მინერალური შედგენილობა.

მთა-მდელოს ნიადაგებს უკავია მაღალმთიანეთის რელიეფის ძირითადი ფორმები: ძველი პენეპლენ-მოსწორებული („მოცვეთილი“) ზურგები; გლაციალური რელიეფი - ტერასული ბაქნები, კარები; ვულკანური რელიეფი-პლატო (სამხრეთი მთიანეთი) და ეროზიული ხეობები, საკმაოდ ციცაბო ფერდობებითა და ზოგიერთ ადგილას ჭალის ფართო მონაკვეთებით.

მაღალმთიანეთის გეოლოგიური შენება საქმაოდ რთულია. დასავლეთ საქართველოში ნიადაგნარმომქმნელ ქანებს ნარმოადგენენ კრისტალური ფიქლები, კვარციან-ქარსიანი ფიქლები, კვარციანი დიორიტები, კირქვები, გრანიტები, გნეისები. აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთის გეოლოგიურ აგებულებაში მთავარ მონანილებას ღებულობენ თიხა-ფიქლები, ქვიშაქვები, კირქვები. სამხრეთ საქართველოს მთა-მდელოს ზონაში გავრცელებულია ანდეზიტები, პორფირიტები, ტრაქიტები, სიენიტები.

მთა-მდელოს ნიადაგები ფორმირდება მკაცრი კლიმატის პირობებში, რომელიც ხასიათდება გაჭიმული ზამთრით (ზანგრძლივი თოვლის საფარით) და გრილი ზაფხულით. სავეგეტაციო პერიოდი შეადგენს  $3-4$  თვეს. იანვრის საშუალო ტემპერატურა მერყეობს  $-12$ -დან  $-5,2^{\circ}\text{C}$ -მდე, ივლისის კი  $7,3$ -დან  $14,4^{\circ}\text{C}$ -მდე. ნალექების წლიური რაოდენობა  $718$  მმ-დან  $1503$  მმ-მდეა. ნალექების მაქსიმუმი მაისში მოდის. ჰაერის საშუალო წლიური ატმოსფერული ტენიანობა მერყეობს  $68-81\%$  ფარგლებში, დატენიანების კოეფიციენტი  $6-7$  აღნევს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი დაბალია და მერყეობს  $600-1500^{\circ}\text{C}$  ჰორის. მაღალმთიანეთის ცივი კლიმატი ხელს უწყობს ქანების ინტენიურ ფი-

ზიკურ გამოფიტვას და ამის შედეგად ხდება ნიადაგის ზედაპირზე დიდი რაოდენობით ქანების ნამტვრევების დაგროვება.

სუბალპური სარტყელის მცენარეულ საფარში ჭარბობს მარცვლოვანი, მარცვლოვან-ნაირბალახოვანი და ნაირბალახოვანი თანასაზოგადოებები. მათ შორის ნამყვანი ადგილი უკავია: ჭრელ შვრილას, ტიმოთელას, ცხვრის ნივანას და სხვ. პარკოსნები წარმოდგენილია მთის სამყურათი და კავკასიონის იონჯით. ალპურ სარტყელში დომინანტობენ: 1) ალპური ხალიჩები- ნაირბალახოვანი ელემენტებით, ხორბლოვანებით და ისლებით და 2) მყვრივორდიანი მდელოები - ხორბლოვანი და ისლიანი კომპონენტებით. საკმაოდ გავრცელებულია წივიან-ისლიანი მდელოები წივანას და თივაქასრას სიჭარბით. დიდ ფართობზე გავრცელებულია ძიგვა. მშრალ პოზიციებზე ჭარბობს ქსეროფილური მცენარეულობა აბზინდას მონანილეობით.

მთა-მდელოს ნიადაგებს აქვთ პროფილის შემდეგი შენება: A- AB-B-BC-CD.

A - ყავისფერ-ყომრალი ან მუქი ყავისფერ-ყომრალი ჰუმუსოვანი ჰორიზონტი სიმძლავრით 15-20 სმ, ზედაპირიდან სხვადასხვა ხარისხით გაკორდებული ან ტორფიან-გაკორდებული, წვრილმარცვლოვანი ან წვრილკოშტოვან-წვრილმარცვლოვანი, თიხიანი ან მსუბუქი თიხნარი, ხშირად ხრეშის ჩანართებით, წვრილფორმოვანი, დიდი რაოდენობით ფესვები, გადასვლა თანდათანობით.

AB - მუქი ყომყრალი, სიმძლავრით 5-10 სმ, მარცვლოვანი ან წვრილკოშტოვანი, ძირითადში თიხნარი, ფესვები ნაკლებად.

B - ყომრალ-ყავისფერი ილუვიური ჰორიზონტი სიმძლავრით 15-25 სმ, წვრილმარცვლოვანი ან კოშტოვან-წვრილმარცვლოვანი, თიხიანი ან მსუბუქი თიხნარი, მომკვრივო, წვრილფორმოვანი, ფესვები ნაკლებად, გადასვლა შესამჩნევი.

BC - გარდამავალი ჰორიზონტი, რომელშიც ჭარბობს ნიადაგნარმოქმნელი ქანის თვისებები.

CD - ყვითელ-ყომრალი (ღია ყომრალი, ღია ყავისფერი) გამოტული ელუვიონი, ელუვიონ-დელუვიონი და დელუვიონი სისქით 20-40 სმ, უსტრუქტურო, მსუბუქი თიხნარი ან თიხიანი, ღორლის და ქვების სიჭარბით.

მთა-მდელოს ნიადაგები განსხვავდებიან მთა-ტყე-მდელოს ნიადაგებისგან (რომელიც ფორმირდებიან სუბალპური სარტყელის ქვედა ნანილში) მუქი შეფერილობით, უკეთესი გასტრუქტურებით, ხირხატიანობით, ნაკლები არამაძლრობით, რკინის მოძრავი ფორმების მეტი შემცველობით.

მთა-მდელოს ნიაადგები განსხვავდება მთა-მდელოს შავმინისეპრი ნიადაგებისგან უფრო ლია შეფერილობით, ნაკლებად მტკიცე სტრუქტურით, უფრო მჟავე რეაქციით, შედარებით დაბალი შთანთქმის ტევა-დობით, ჰუმუსის ნაკლები შემცველობით და ფულვატური ტიპით.

მაღალმომთანეთის ნიადაგების კლასიფიკაციის მიმართ ჭარბობს ლანდშაფტურ-გეოგრაფიული მიდგომა. ამ ჯგუფში, მთა-მდელოს ნიადაგების გარდა, გაერთიანებულია სხვა ნიადაგებიც (ტიპის დონეზე).

მთა-ტორფიანი ნიადაგები (წყლის ნებაროვებთან, მდინარეებთან, ტბებთან და სხვ.) ხასიათდებიან ტორფის ჰორიზონტის არსებობით, გაკორდების უქონლობით, ცუდი გასტრუქტურებით, გალებების ნიშებით, ცალკეული მექანიკური ფრაქციების მეტ-ნაკლებად თანაბარი განანილებით, თიხნარი ან თიხა მექანიკური შედგენილობით, მინერალური ნანილის სიალიტური ტიპით, ამორფული და დაკრისტალებული რეინის შესამჩნევი გადაადგილებით, ჰუმუსის ფულვატური ტიპით, მაღალი ჰუმუსანობით და ღრმა ჰუმუსირებით, მჟავე რეაქციით, ფუძეების არამაძლრობით.

მთა-მდელოს ჰუმუს-ილუვიური ნიადაგები ხასიათდება მეორე ჰუმუსვანი ჰორიზონტის არსებობით, არაერთგვაროვანი მექანიკური შედგენილობით, ჰუმუსის ფულვატური ან ჰუმატურ-ფულვატური ტიპით, ზედა ჰორიზონტში ჰუმუსის ძალიან მაღალი შემცველობით, მჟავე რეაქციით, ღრმა ჰუმუსირებით, შთანთქმის საშუალო ტევადობით და ფუძეებით არამაძლრაობის საკმაოდ მაღალი ხარისხით.

მეორადი მთა-მდელოს ნიადაგები ხასიათდება საკმაოდ მძლავრი პროფილით, „ტყის“ ნიადაგნარმოქმნის ნიშნებით (კაკლოვანი ან კოშტოვანი სტრუქტურა, გათიხება, ნალვენთი თიხის არსებობა), თიხნარი ან თიხა მექანიკური შედგენილობით, თიხა მინერალების შედგენილობაში ჰიდროქარსების და ქლორიტების სიჭარბით, ჰუმუსის ფულვატური ტიპით, ზედა ჰორიზონტში ჰუმუსის მაღალი შემცველობით, არასილიკატური რეინის დაგროვებით პროფილის შუა და ზედა ნანილებში, მჟავე რეაქციით, შთანთქმის საშუალო ტევადობით.

მაღალმომთანეთის ნიადაგებში გამოიყოფა ქვეტიპები:

ჩვეულებრივი - ცალკეული ტიპების ძირითადი თვისებებით და ნიშნებით.

მაღალმომთანეთის ნიადაგებში გამოიყოფა ქვეტიპები:

არასრულგანვითარებული - ხასიათდება მცირე სიმძლავრის პროფილით და ერთ-ერთი გენეზისური ჰორიზონტის ამოვარდნით.

კორდიან-კარბონატული - განვითარებული ფუძე ქანების გამოფიტვის პროცესზე.

მთა-მდელოს ნიადაგების ქვეტიპებში გამოიყოფენ შემდეგ გვარებს: ტორფიან-კორდიანი, მკვრივ-კორდიანი, ფაშარად-კორდიანი, ნეშომპალა-ტორფიანი, ტორფიანი.

მთა-მდელოს ნიადაგები იყოფა სახეობებად ჰუმუსოვანი პროფილის სისქის მიხედვით: მცირე სიმძლავრის- $A+B<20$ სმ, საშუალო სიმძლავრის -  $A+B=20-40$ სმ, მძლავრი -  $A+B=40-80$  სმ და ზემძლავრი- $A+B>80$ სმ.


მთა-მდელოს ნიადაგები მიეკუთვნება ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის უმბრისოლების ჯგუფს. ნიადაგების პროფილში აღინიშნება დიაგნოსტიკური პორიზონტი უმბრიკი და კვალიფიკატორ სპოდიკის ელემენტები.

### მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგები

მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია არადიფერენცირებული პროფილი, კარგად გამოხატული მძლავრი ჰუმუსოვანი პორიზონტი, მცირე ან საშუალო სისქე.

მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგები ხასიათდება სუსტად მუავე რეაქციით, ჰუმუსის მაღალი შემცველობით და ღრმა ჰუმუსირებით, ჰუმუსის ჰუმატური ტიპით, შთანთქმის მაღალი ტევადობით, ფუძებით სუსტად არამაღლობით, თიხნარი ან თიხა მექანიკური შედგენილობით, სილრმეში ან პროფილის შუა ნაწილში ლექის ფრაქციისა და ფიზიკური თიხის მომატებული შემცველობით, თიხამინერალებში ჰიდროქარსების სიჭარბით.

მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომქმნელი პროცესებია: ჰუმუსისიალიტიზაცია, ჰუმუსნარმოქმნა, გაეორდება და გასტრუქტურები.



ნახ. 18. მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 1,6% (109 600 ჰა). ეს ნიადაგები გავრცელებულია სამხრეთ საქართველოში სუბალპურ და ალპურ ზონებში, ზღვის დონიდან 1800 (2000) მ ზემოთ.

6. ბოგოსლოვსკიმ (1897) მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგები პირველად გამოჟყო კირქვებზე, ყირიმის მაღალმთიანეთში.

ლ. პრასოლოვი (1909), ს. ნეუსტრუევი (1908), ი. ანტიპოვ-კარატაევი და ლ. პრასოლოვი (1932), ი.ლივეროვსკი (1945), მ. პერშინა (1949), გ. ახვლედიანი (1958), ვ. ფრიდლანდი (1966) შუა აზიასა და კავკასიონზე მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგების წარმოქმნას უკავშირებდნენ კარბონატებით მდიდარ ქანებს, კირქვებს, კარბონატულ ფიქლებს.

კ. პანკოვის (1930) მიხედვით მონძოლეთში მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგები ფორმირდება მაღალმთიანეთის მშრალ რეგიონებში, უკარბონატო ქანებზე. ამავე დასკვნამდე მივიდა ს. ზონი (1950) კავკასიის მაღალმთიანეთის ნიადაგების შესწავლისას.

გ. ტალახაძე და კ. მინდელი (1980) აღნიშნავენ, რომ ამიერკავკასიის ზეგანზე მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგები გავრცელებულია ფუძე ეფუზიურ ქანებსა და ტუფებზე.

მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგების რელიეფი წარმოადგენს ვულკანურ ჰლატოს, რომლის ცენტრალური ნაწილი უკავია ვულკანური კონუსების ორ (კეჩუთისა და აბულსამსარის ქედები) მერიდიანულ სისტემას. დედაქანები ძირითადად წარმოდგენილია ანდეზიტ-ბაზალტებით და ბაზალტებით.

კლიმატი ცივია, ხანმოკლე გრილი ზაფხულითა და ხანგრძლივი მკაცრი ზამთრით. ყველაზე ცივი თვის (იანვრის) ტემპერატურაა -7,8 °C, ყველაზე თბილი თვის (აგვისტოს) 13,6 °C. საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს 3,2 °C. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობაა 4 თვე. ნალექების წლიური რაოდენობა არის 605 მმ, მისი მაქსიმალური რაოდენობა აპრილ-ივნისშია. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა შეადგენს 78%, დატენიანების კოეფიციენტი უდრის 1-3.

მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგები ფორმირდება ალპური და სუბალპური გასტეპებული მდელოებისა და გამდელოებული სტეპების ქვეშ. მდელოების მცენარეულობაში ჭარბობს წივანა, ისლი, ჭრელი შერიელა, სამყურა. საკმაოდ გავრცელებულია ძიგვიანებიც.

მთა-მდელოს შავმინისებრ ნიადაგებს აქვთ პროფილის შემდეგი შენება: A-B-BC.

A - შავი ან მუქი-რუხი (ყავისფერი იერით) ჰუმუსოვანი ჰორიზონტი სიმძლავრით 30-45 სმ, მარცვლოვანი ან კოშტოვან-მარცვლოვანი, თიხიანი ან თიხნარი, ზედაპირიდან გაკორდებული

სხვადასხვა ხარისხით, ბევრია ფესვი, მომკვრივო, ნვრილფოროვანი, ხრეშიანი, გადასვლა თანდათანობითი.

B - მუქი-რუხი (ყავისფერი იერით) გარდამავალი ჰორიზონტი სიმძლავრით 25-35 სმ, კოშტოვანა-მარცვლოვანი, თიხიანი ან თიხნარი, გვხვდება ფესვები, ხშირად ხრეშიანი, გადასვლა მკვეთრი.

BC - გარდამავალი ჰორიზონტი ნიადაგწარმომქმნელი ქანის ნიშნების სიჭარბით.

მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგები განსხვავდება მთა-მდელოს ნიადაგებისგან უფრო მუქი შეფერილობით, შედარებით მტკიცესტრუქტურით, ნაკლებად მუავე რეაქციით, მთანთქმის მაღალი ტევადობით, ჰუმუსის უფრო მაღალი შემცველობით და ორმა ჰუმუსირებით, ჰუმუსის ჰუმატური ტიპით.

მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგები შავმინებისგან განსხვავდება ნაკლებად გამოხატული დიფერენციაციით, კარბონატების უქონლობით, შედარებით მაღალი ფორიანობით.

მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგები აერთიანებენ სამ ქვეტიას: ტიპური, გამოტუტულსა და კარბონატულს.

ტიპური მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგები მორფოლოგიური შენებით შესაბამება ტიპისთვის დამახასიათებელ აღნერას. მათთვის დამახასიათებელია სუსტად მუავე ან ნეიტრალური რეაქცია, მთანთქმის ტევადობის საშუალო მაჩვენებლები და ფუძეებით მაძლრობის საშუალო ხარისხი.

გამოტუტული მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგები ტიპურის-გან განსხვავდება ნაკლებად მტკიცესტრუქტურით, მომატებული სიმძლავრით, სუსტად მუავე რეაქციით, მთანთქმის დაბალი ტევადობით, ხრეში არ შეუის (10 % მარილმუავას ზემოქმედებით).

კარბონატული მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგები ხასიათდება მთელ პროფილში კარბონატების არსებობით, სუსტად ტუტე რეაქციით, მთანთქმის მაღალი ტევადობით.

მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგების ქვეტიპებში გამოყოფენ შემდეგ გვარებს:

ჩეველებრივი - წარმოიქმნება ფუძე ეფუზიურ ქანებზე. მორფოლოგიური შენება, შედგენილობა და თვისებები შესაბამება იმ ქვეტი-პებს, რომლის ფარგლებშიც გამოიყოფა ეს ნიადაგები.

ბევრივ - კორდიანი - ხასიათდებიან მკვრივი, დაურღვეველი კორდით.

ფაშარ - კორდიანი - გაიშვიათებული, გამეჩერებული კორდით.

მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგები ჰუმუსოვანი ჰორიზონტის სიმძლავრის მიხედვით იყოფა სახეობებად: მცირე სიმძლავრის -<20 სმ, საშუალო სიმძლავრის-20-40 სმ, მძლავრი->40 სმ.

მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგები მიეკუთვნება ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის ფაიოზიომების ჯგუფს. პროფილში გამოვლინდა დიაგნოსტიკური კვალიფიკატორები მოლი-კუ და ეუთოიკუ. ვულკანურ ქანებზე გავრცელებული მთა-მდელოს შავმინისებრი ნიადაგები გაერთიანებულია ანდოსოლების ჯგუფში, პროფილში გამოვლენილი ანდიკ და ვიტრიკ დიაგნოსტიკური კრიტე-რიუმების გამო.


## დამლაშებული ნიადაგები

დამლაშებული ნიადაგებისთვის დამახასიათებელია ცუდი ფიზი-კური, წყლოვანი, ჰაეროვანი თვისებები და საკმაოდ მაღალი ტუტე რეაქცია.

დამლაშებული ნიადაგები აერთიანებს ორ ჯგუფს: 1) ბიც -ბიცნარ (მლაშობები) და 2) ბიცობ-ბიცობნარ ნიადაგებს.

ბიცი და ბიცნარი ნიადაგები ხასიათდება მძიმე მექანიკური შედ-გენილობით. მათი უმეტესობა მიეკუთვნება თიხებს. შთანთქმულ კა-ტიონებში ჭარბობს კალციუმი. ჰუმუსის შემცველობა დაბალია. თი-ხამინერალები წარმოდგენილია მონტმორილონიტით და ჰიდროქარ-სებით. ბიცი და ბიცნარი ნიადაგები ადვილად ხსნად მარილებს განსხ-ვავებული რაოდენობით შეიცავენ. ბიცებში მათი შემცველობა ზედა ფენებში  $1,76\text{--}3,18\%$  შეადგენს, სილრმეში კი  $3,5\text{--}3,6\%$  აღნევს. ბიცები ადვილად ხსნად მარილებს შეიცავენ ზედაპირიდანვე, ბიცნარები-ქვედა ფენების სხვადასხვა სილრმიდან.

ბიცობი და ბიცობნარი ნიადაგები ხასიათდება მძიმე მექანიკური შედგენილობით, მშრალ მდგომარეობაში მომატებული სიმკვრივით, ტენიან პირობებში სიბლანტით, წყლის ცუდი გამტარობით. თიხამი-ნერალები ძირითადად წარმოდგენილია მონტმორილონიტით და ჰიდ-როქარსებით. ჰუმუსის შემცველობა დიდ ფარგლებში მერყეობს. ამ ნიადაგების ძირითად გენეზისურ თავისებურება-ბიცობიანობა განი-საზღვრება მთანთქმული ნატრიუმის შემცველობით. საქართველოს ბიცობიანი ნიადაგებისთვის ასევე დამახასიათებელია მაგნიუმის მა-ლალი შემცველობა, რაც აძლიერებს ბიცობიანობას. ბიცობიანი და ბიცობნარი ნიადაგები ხასიათდებიან ადვილად ხსნადი მარილების სხვადასხვა შემცველობით. მათ შორის გვხვდება ისეთი ნიადაგებიც, სადაც ხსნადი მარილები მცირე რაოდენობითაა.



ნახ. 19. დამლაშებული ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

დამლაშებული ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 1,6% (112 600 ჰა). ეს ნიადაგები ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონაში: ალაზნის, ელდარის, ტარიბანა-ნატბეულის, ლაკეს, შავმინდვრის აუმულაციურ ვაკეებზე, გარდაბნის, მარნეულის, სამგორის და კრწანისის ვაკეებზე; ფრაგმენტულად გვხვდება შეუკართლში.

საქართველოში დამლაშებული ნიადაგების სისტემატური შესწავლა დაიწყო XX საუკუნის 30-იანი წლებიდან, რაშიც დიდი წვლილი შეიტანეს დ. გედევანიშვილმა, მ. საბაშვილმა, ნ. დიმომ, ს. ვოზნესენსკიმ, გ. ახვლედიანმა, ვ. ჩხევიშვილმა, ი. ანჯაფარიძემ, ი. ღოლობერიძემ, ლ. ჯორბენაძემ და სხვ.

დამლაშებული ნიადაგების რელიეფი წარმოდგენილია მთათაშორის დეპრესიებით, ალუვიური ვაკეების, დახშული ტბებისა და ნატბეურების ელემენტებით. ბიციანი ნიადაგები, ძირითადად, განვითარებულია დეპრესიული ახალგაზრდა რელიეფის ელემენტებზე, ხოლო ბიციანი-შედარებით ძველი შემაღლებული რელიეფის პირობებში. ნიადაგნარმომქნელი ქანები წარმოდგენილია ალუვიური, პროლუვიურ-დელუვიური, დამლაშებული ნაფენებით და დამლაშებული თიხებით.

კლიმატი მშრალი სუბტროპიკულია, ცხელი ზაფხულითა და თბილი, თითქმის უთოვლო ზამთრით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის  $12,1-12,5^{\circ}\text{C}$ . აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს  $4000-4500^{\circ}\text{C}$ . სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა შვიდი თვეა. ნალექების წლიური რაოდენობა  $380-600$  მმ-ია. ნალექების მინიმუმი ზამთარში მოდის, ხოლო მაქსიმუმი მაისსა და ივნისში. დატენინების კოეფიციენტი არის  $0,33-0,50$ .

ბუნებრივი მცენარეული საფარი წარმოდგენილია ვეძიანებით, ავშნიანებით, ავშნიან-ყარღანიანი და ურო-ავშნიანი ფორმაციებით.

ბიცი და ბიცნარი ნიადაგები, ჰიდროლოგიური პირობების მიხედვით, იყოფა ჰიდრომორფულ და ავტომორფულ ნიადაგებად. ჰიდრომორფული ბიცები და ბიცნარები წარმოიქმნება მინერალიზებული გრუნტის წყლის ზედაპირთან ახლო დგომის პირობებში (1,5-3 მ-მდე). ავტომორფულ მლაშობებში მინერალიზებული გრუნტის წყალი ლრმადა (10 მ-მდე). ბიცი და ბიცნარი ნიადაგები იყოფა შემდეგ ქვეტიცებად: ტიპური, მდელოს, დაჭაობებული, მეორეული მლაშობები.

ტიპური ჰიდრომორფული მლაშობების პროფილი სუსტადაა დიფურენცირებული და გამოირჩევა მთელ პროფილში ადვილად ხსნადი მარილების მაღალი შემცველობით.

დაცელოს მლაშობები შეიცავს ხსნადი მარლების შედარებით ნაკლებ რაოდენობას და ფორმირდება ნაკლებად მინერალიზებული გრუნტის წყლის გავლენით.

დაჭაობებული მლაშობები ხასიათდებიან ხსნადი მარილების მაღალი შემცველობით და პროფილის გალებებით. ისინი ფორმირდება ჭარბტენან პირობებში.

მეორეული მლაშობები ფორმირდება არაწესიერი მორნყვის შედეგად, გრუნტის წყლის ზეანევით და ხსნადი მარილების ზედაპირზე დაგროვებით.

ბიცობები იყოფიან შემდეგ ქვეტიცებად: მდელო-სტეპის, სტეპის, ნახევრად უდაბნოს ბიცობებად.

დამლაშების ხასიათის მიხედვით არჩევენ: სოდიან, შერეულ (სოდიან-სულფატურ-ქლორიდული), ქლორიდულ-სულფატურ ბიცობიან ნიადაგებს.

ბიცობიან და ბიცობნარ ნიადაგებს ყოფენ სახეობებად შთანთქმული ნატრიუმის შემცველობის მიხედვით: ძლიერ სუსტი ( $\text{Na} 10\%$ -მდე შთანთქმული ფუძეების ჯამიდან), სუსტი ( $\text{Na} 10-25\%$  შთანთქმული ფუძეების ჯამიდან), სამუალო ( $\text{Na} 25-40\%$  შთანთქმული ფუძეების ჯამიდან) და ძლიერ ბიცობები ( $\text{Na} >40\%$  შთანთქმული ფუძეების ჯამიდან).


დამლაშებული ნიადაგები მიეკუთვნება ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის სოლონეცების ჯგუფს, ნატრიუმ ჰონტის არსებობის გამო ან სოლონჩაკების ნიადაგურ ჯგუფს, სალიკ ჰორიზონტის არსებობის გამო.

## ალუვიური ნიადაგები

ალუვიური ნიადაგებისთვის დამახასიათებელია გენეზისურ ჰო-  
რიზონტებზე სუსტი დიფერენციაცია, ცუდი გასტრუქტურება, მომა-  
ტებული ხირხატიანობა და შრეობრიობა (სტრატიფიკაცია - ჰირველ  
რიგში მექანიკური შედგენილობის მიხედვით).

ალუვიური ნიადაგები ხასიათდება მუსავე, ნეიტრალური ან ტუტერეაციით (იმისდა მიხედვით თუ რომელ აუზში ფორმირდება ეს ნიადაგები). ჰემუსის შემცველობა საშუალო ან მცირეა, ნიადაგის პროფილები ღრმად ჰქონია. მთანთქმის ტევადობა დაბალი ან საშუალოა. ძირითადი ჟანგეულების განაწილება მეტ-ნაკლებად თანაბარია. თიხამინერალები წარმოდგენილია მონგმორილონიტით, კაოლინიტით, ჰალიციტითა და ჰიდროქარსებით. რკინის სხვადასხვა ფორმას არათანაბარი განაწილება აქვს. სილიკატური რკინის შემცველობა მკვეთრად ჭარბობს არასილიკატურს.

ალუვიური ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომებრივი პროცესებია: ჰუმუსნარმოქმნა, გამდელოება და გალებება.



ნახ. 20. ალუვიური ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

ალუვიური ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 5,0% (351 400 ჰა). ეს ნიადაგები გავრცელებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, სხვადასხვა ბუნებრივ ზონაში.

საქართველოს ცალკეული რეგიონების აღმუნიშვრი ნიადაგები შესწავლილია ს. ზახაროვის, დ. გედევანიშვილის, მ. საბაშვილის, ი. ბარათაშვილის, ა. ურუშაძის და სხვა მკვლევარების მიერ.

ალუვიური ნიადაგები ფორმირდება სხვადასხვა ბუნებრივ ზონაში და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხასიათდება ზონის კლიმატური პირობებით. საკმაოდ ჭრელია ალუვიონის მასალა, რომელზედაც

წარმოიქმნება ეს ნიადაგები. ბუნებრივი მცენარეულობა წარმოდგენილია ჭალის მცენარეულობით.

ალუვიური ნიადაგების პროფილს აქვს შემდეგი შენება: A-BC-C.

A - რუხი შეფერილობის ჰუმუსოვანი ჰორიზონტი სიმძლავრით 5-30 სმ, ნერილკოშტოვანი.

BC - სხვადასხვა შეფერილობის (უფრო ხშირად მუქი რუხი) გარდამავალი ჰორიზონტი სიმძლავრით 10-40 სმ, უსტრუქტურო, ხირხატიანი.

C - ქანისკენ გარდამავალი ჰორიზონტი, უსტრუქტურო, ხირხატის მომატებული შემცველობით.

ალუვიური ნიადაგები განსხვავდება ზონალური ნიადაგებისგან სუსტად განვითარებული პროფილით, შრეობრივი აგებულებით, გალებების ნიშნებით.

ალუვიური ნიადაგები აერთიანებენ ორ ნიადაგურ ტიპს: კორდიან მჟავეს და კორდიან მაძლარს.

კორდიანი მჟავე ალუვიური ნიადაგები ძირითადად ფორმირდება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთისა და ტყის ზონებში.

კორდიან მჟავე ალუვიური ნიადაგების ტიპი იყოფა რამდენიმე ქვეტიად: შრეობრივ-პრიმიტიული, შრეობრივი, ჩვეულებრივი და გაენერებული.

შრეობრივ-პრიმიტიული კორდიანი მჟავე ალუვიური ნიადაგები ყველაზე ახალგაზრდა ნიადაგებია. ისინი ფორმირდება ძალიან გაიშვიათებული ბალახოვანი მცენარეების ქვეშ. მორფოლოგიური ნიშნები სუსტადაა გამოხატული.

შრეობრივი კორდიანი მჟავე ალუვიური ნიადაგები ხასიათდება კარგი გაკორდებით და შრეობრივი აგებულებით.

ჩვეულებრივი კორდიანი მჟავე ალუვიური ნიადაგები ფორმირდება ცენტრალური მერიის რელიეფის ყველაზე მაღალ ელემენტებზე, სხვადასხვა მექანიკური შედგენილობის ალუვიონზე. ისინი ხასიათდება მძლავრი პროფილით და კარგად გამოხატული ჰუმუსოვანი ჰორიზონტით.

გაენერებული კორდიანი მჟავე ალუვიური ნიადაგები ფორმირდება ცენტრალური მერიის რელიეფის ყველაზე მაღალ ელემენტებზე, სხვადასხვა მექანიკური შედგენილობის ალუვიონზე, ხაირბალახოვანი მძელოებისა და ხავსიან-ბალახოვანი ტყეების ქვეშ. პროფილი შესამჩნევად დიფერენცირებულია და ხასიათდება გაენერებული ჰორიზონტის არსებობით.

ალუვიური კორდიანი მაძლარი ნიადაგები ფორმირდება ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს სტეპების ზონაში. ეს ტიპი იყოფა სამ ქვეტიპად: შრეობრივ-პრიმიტიული, შრეობრივი და ჩვეულებრივი.

შრეობრივ-პრიმიტიული კორდიანი მაძლარი ალუვიური ნიადაგები ხასიათდება ნიადაგნარმომქმნელი ალუვიონის ძლიერი შრეობრიობით, სუსტი და წყვეტილი ჰუმუსდაგროვებით. პროფილში შეიმჩნევა სუსტად გამოხატული გაკორდება.

შრეობრივი კორდიანი მაძლარი ალუვიური ნიადაგები ხასიათდება კარგად გამოხატული ნიადაგნარმომქმნელი ალუვიონის შრეობრიობით და ჰუმუსოვანი ჰორიზონტით. ნიადაგები ხშირად კარბონატულია და აღინიშნება გალებების ნიშნები.

ჩვეულებრივი კორდიანი მაძლარი ალუვიური ნიადაგები ხასიათდება სუსტად გამოხატული შრეობრიობით და მძლავრი ჰუმუსოვანი ჰორიზონტით.

ალუვიური ნიადაგების ქვეტიპებში გამოყოფენ შემდეგ გვარებს:

ჩვეულებრივი-ამ გვარს გააჩნია ალუვიური ნიადაგების ზემოთ აღნიშნული ქვეტიპების ყველა ნიშანი და თვისება.

ქვამრგალიანი- აღინიშნება ქვამრგვალები პროფილის ზედა ნაწილში.

ალუვიური ნიადაგები სახეობებად იყოფა ჰუმუსოვანი ჰორიზონტის სიმძლავრის მიხედვით: მცირე სიმძლავრის (< 20 სმ), საშუალო სიმძლავრის (20-40 სმ), მძლავრი (>40 სმ).

ალუვიური ნიადაგები მიეკუთვნება ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის ფლუვისოლების ნიადაგურ ჯგუფს; ალუვიური ნიადაგების პროფილებისთვის დამახასიათებელია შემდეგი დიაგნოსტიკური კვალიფიკატორები: ფლუვიკი, გლეიკი, დისტრიკი, კალკარიკი და ეუთრიკი.

## თავი 5. ნიადაგის საველე დიაგნოსტიკის მეთოდები

ნიადაგების საველე დიაგნოსტიკის დროს ყურადღება ეთმობა იმ მაჩვენებლებს, რომლებიც არ საჭიროებენ სპეციალურ ლაბორატორიულ გამოკვლევებს. ასეთ მაჩვენებლებს მიეკუთვნება ნიადაგის პროფილის მორფოლოგიური თავისებურებანი.

ნიადაგს აქვს მისთვის დამახასიათებელი გარეგნული ე.წ. მორფოლოგიური ნიშნები. ამ ნიშნების მიხედვით, რომლებიც დიაგნოსტიკურს წარმოადგენს, ნიადაგები განსხვავდებიან არამარტო სხვა ბუნებრივი სხეულებისგან, არამედ ერთმანეთისგანაც. ნიადაგის ცალკეულ ტიპებს ახასიათებთ სპეციფიკური მორფოლოგიური ნიშნები.

ნიადაგების მორფოლოგიური ნიშნები წარმოადგენენ მათი ფორმირების შედეგს და ასახავენ სხვადასხვა თვისებას. მორფოლოგიური ნიშნების ჩამოყალიბება განპირობებულია ნიადაგწარმოქმნის პროცესებით, რომლებიც სხვადასხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში განსხვავებულად მიმდინარეობენ, რაც თავის მხრივ, ვლინდება გარეგნული ნიშნების სახით.

ნიადაგების მორფოლოგია საფუძვლად უდევს მათ დიაგნოსტიკას და კლასიფიკაციას. ნიადაგების შესწავლა იწყება მათი მორფოლოგიის აღწერით ველზე. მორფოლოგიურ ნიშნებზე დაკვირვება ვიზუალურია და ყურადღებას უთმობენ, უმეტესად, მაკრომორფოლოგიურ ნიშნებს, რომელთა გამოკვლევა შესაძლებელია შეუიარაღებელი თვალით. საველე პირობებში მორფოლოგიური ნიშნების დასადგენად გამოიყენება მარტივი ალტურვილობა: მეტრიანი საზომი, ლანცეტი, ლუპა, დანა, საწვეტურები წყლისა და 10% მარილმჟავასთვის.

ნიადაგების ძირითად მაკრომორფოლოგიურ ნიშნებს მიეკუთვნება: პროფილის შენება, ფერი, მექანიკური (გრანულომეტრული) შედგენილობა, სტრუქტურა, აგებულება, ახალწარმონაქმნები, ჩანართები, ტენიანობა.

### პროფილის შენება

ნიადაგების გარეგან სახეს, გენეზისურ პორიზონტებზე მეტ-ნაკლებად გამოსახულ დიფერენციაციას, შენება ენოდება. ნიადაგების შენება სხვადასხვანაირია: 1. ნიადაგების პროფილში პორიზონტები მევეთრად გამოიყოფა; 2. ნიადაგების პროფილში პორიზონტები გამოვლენილია სუსტად. ცალკეულ ნიადაგებს, გარემო პირობებისა და

ნიადაგწარმოქმნის ხასიათის მიხედვით, თავისებური იერსახე ანუ შენება გააჩნიათ.

ნიადაგების შენება პროფილების საერთო სახეს გამოსახავს და გვიჩვენებს თუ როგორ იცვლება ზედაპირიდან სიღრმის მიმართულებით მორფოლოგიური ნიშნები. ნიადაგების პროფილი კანონზომიერად მონაცვლე გენეზისური ჰორიზონტური ელემენტარული ნიადაგური პროცესების ზემოქმედებით წარმოქმნებიან. განასხვავებენ ჰომოგენურ და ჰეტეროგენურ პროფილებს. ჰომოგენური ნიადაგური პროფილი შეესაბამება ნიადაგწარმოქმნის თანამედროვე პირობებს, ჰეტეროგენურ პროფილს კი გააჩნია ნიადაგწარმოქმნის წინა სტადიიდან მექავიდრეობით გადმოსული ჰორიზონტები.

ნიადაგური პროფილი სანყისი ნიადგწარმოქმნელი ქანიდან ფორმირდება როგორც ერთი გენეზისური მთლიანობა, დიფერენცირებული გენეზისურ ჰორიზონტებად. პროფილის წარმოქმნის ფაქტორებია: 1. ნივთიერების და ენერგიის დაგროვება-გადაადგილება (აღმავალი ან დაღმავალი წაკადი), რომელიც დამოკიდებულია ნიადაგწარმოქმნაზე, ნიადაგის წლიურ და მრავალწლიან ციკლურობაზე; 2. ნიადაგის მასაში ცოცხალი ორგანიზმების (ფესვთა სისტემა, მიკროორგანიზმები, ნიადაგში მობინადრე ფაუნა) ვერტიკალური გადანილება.

ნიადაგური პროფილი აჩვენებს ნიადაგის გრანულომეტრული, მინერალური, ქიმიური შედეგენილობის, ფიზიკური, ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების კანონზომიერ ცვლილებას ზედაპირიდან სიღრმეში - დედაქანამდე.

ნიადაგების პროფილი ანუ დამახასიათებელი შენება მათ ძირითად ნიშან-თვისებას წარმოადგენს. ნიადაგების პროფილების შენება ნიადაგწარმოქმნის ხასიათს შეესაბამება, ამიტომ სხვადასხვა ტიპის ნიადაგის პროფილი სხვადასხვაგვარია. ნიადაგების პროფილების განსხვავება - ეს არის განსხვავება სხვადასხვა ნიადაგებს შორის, რომლებიც ქმნიან დედამინის ნიადაგურ საფარს-პედოსფეროს.

გენეზისური ჰორიზონტების თანაფარდობის ხასიათის მიხედვით ყველა ნიადაგური პროფილი იყოფა ორ დიდ ჯგუფად: მარტივად და რთულად. მათ ფარგლებში შეიძლება გამოიყოს შენების რამდენიმე ტიპი.

მარტივ პროფილებს მიეკუთვნებიან: პრიმიტიული, არასრულად განვითარებული, ნორმალური, სუსტად დიფერენცირებული, ერთი-ებული.

პრიმიტიული პროფილი - ნიადაგებს გააჩნით წარმოქმნის საწყის სტადიაზე, როცა ნიადაგწარმოქმნის შედეგად შეცვლილია მხოლოდ

დედაქანების ზედა, უმნიშვნელო ნაწილი. პროფილი ჰორიზონტებად სუსტად არის დიფერენცირებული. გამოყოფა მხოლოდ ზედაპირული A ან A/C ჰორიზონტი, რომელიც უშუალოდ ნიადაგნარმომქმნელ ქანზე დევს. ნიადაგების სისქე მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრს შეადგენს. ნიადაგი ძალიან ხირხატიანია, როდესაც მკვრივ ქანზე ფორმირდება.

არასრულად განვითარებული პროფილი - ფორმირდება ციცაბო ფერდობების პირობებში, მკვრივ მასიურ-ერისტალურ ქანზე. ასეთ პროფილში წარმოდგენილია მოცემული ნიადაგისთვის დამახასიათებელი გენეზისური ჰორიზონტების სრული წყობა. მაგრამ ყველა ჰორიზონტი მცირე სისქისაა, ნიადაგების საერთო სისქეც მცირეა და მხოლოდ რამდენიმე ათეული სანტიმეტრია.

ნორმალური პროფილი - ყველაზე ფართოდ გავრცელებული შენების ტიპია, რომელშიც გენეზისური ჰორიზონტები სრული წყობითაა წარმოდგენილი.

სუსტად დიფერენცირებული პროფილი - ლრმა მონოტონური, გენეზისურ ჰორიზონტებად პრაქტიკულად დაუყოფადი პროფილი, რომელიც დამახასიათებელია გამოფიტვის მიმართ გამძლე ნიადაგნარმომქმნელ ქანზე (კვარციანი ქვიშები, ძველი ფერალიტური გამოფიტვის ქერქი) ფორმირებული ნიადაგებისთვის.

ეროზირებული პროფილი - დამახასიათებელია წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის ან მოხვნის შედეგად სხვადასხვა ხარისხით დაზიანებული ნიადაგებისთვის. სუსტი ეროზიის დროს განადგურებულია A ჰორიზონტის ნაწილი, საშუალო ეროზიისას - მთლიანად A ჰორიზონტი და B ჰორიზონტის ნაწილი, ძლიერი ეროზიის შემთხვევაში - A და B ჰორიზონტები.

როტულ პროფილებს მიეკუთვნებიან: რელიქტური, მრავალწევრიანი, პოლიციკური, ანთოპოგენურ-დიფერენცირებული.

რელიქტური პროფილი - თანამედროვე ნიადაგის ქვეშ დამარხულია ნიადაგის მთლიანი პროფილი ან ცალკეული ჰორიზონტები.

მრავალწევრიანი პროფილი - ფორმირდება მრავალწევრიან ნიადაგნარმომქმნელ ქანზე და გამოყოფა მაშინ, როდესაც ნიადაგის პროფილის საზღვრებში ადგილი აქვს ქანების მონაცვლეობას.

პოლიციკური პროფილი - დამახასიათებელია ისეთი ნიადაგებისთვის, რომლებიც ფორმირდებიან ნიადაგნარმომქმნელი მასალის პერიოდულად დალექვის პირობებში. ასეთ შემთხვევაში ნიადაგნარმოქმნის პროცესი გრძელდება, მაგრამ მასალის გადაფარვის ციკლურობა იწვევს ლითოლოგიურ არაერთგვაროვნებას გენეზისური ჰორიზონტების საზღვარში.

ანთროპოგენურ-დიფერენცირებული პროფილი - ხელოვნური, შექმნილია ადამიანის მიერ (რეაულტივაცია, პლანტაფი და სხვ.). ასე-თი პროფილის მქონე ნიადაგებში ქვეშმდებარე პორიზონტი ხელოვნურად გადაადგილებულია ზედაპირზე და ბუნებრივ ზედაპირულ პორიზონტს ფარავს. სახნავ ნიადაგზე, ლრმად დამუშავების შედეგად, ზედაპირზე ამოტანილია A<sub>2</sub> ან B პორიზონტი, ხოლო ჰუმუსიანი პორიზონტი ბელტის გადმობრუნებისას გადაადგილდება ქვევით.

ნივთიერებების განაწილების ხასიათის მიხედვით გამოიყოფა შემდეგი ტიპის ნიადაგური პროფილები: აკუმულაციური, ელუვიური, ელუვიურ-ილუვიურ-დიფერენცირებული პროფილი, არადიფერენცირებული.

აკუმულაციური - პროფილში მაქსიმალური რაოდენობით გროვდება ჰუმუსოვანი ნივთიერებები.

ელუვიური - პროფილში ნივთიერებები იშლება და გამოიტანება მის გარეთ. ასეთი ტიპის პროფილები ხშირად წარმოიქმნება კარბონატებთან და წყალსნად მარილებთან მიმართებაში.

ელუვიურ-ილუვიურ-დიფერენცირებული - პროფილი კარგად გამოხატული ელუვიური A<sub>2</sub> და ილუვიური B პორიზონტებით. ყველაზე ხშირად ახასიათებს ისეთ ნიადაგებს, რომლებშიც ნივთიერებების გამოტანა ხდება ზედაპირიდან ქვევით. ზემოდან გამოტანილი ნივთიერებები იღებებიან პროფილის საზღვრებში და წარმოიქმნება ილუვიური პორიზონტი.

არადიფერენცირებული - ახასიათებს ნივთიერებების თანაბარი განაწილება ნიადაგის მთლიან პროფილში.

ნიადაგების საველე დიაგნოსტიკის დროს ახდენენ პროფილის შენების ანალიზს. ნიადაგის პროფილის დაკვირვების შემდეგ დანით მონიშნავენ და გამოყოფენ გენეზისურ პორიზონტებს; თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე ზომავენ (მათი ჯამი განსაზღვრავს პროფილის საერთო სიღრმეს). პორიზონტების გამოყოფის კრიტერიუმს წარმოადგენს ერთი ან რამდენიმე მორფოლოგიური ნიშნის (ფერი, მექანიკური შედგენილობა, სტრუქტურა, აგებულება და ა.შ.) ცვლილება პროფილში, ზევიდან ქვევით.

ნიადაგების შენების ანუ მათი გენეზისური პორიზონტების მონაცვლეობის საველე შესწავლა საშუალებას იძლევა მივიღოთ ძირითადი წარმოდგენა ნიადაგის თვისებებზე.

## ნიადაგის ფერი

ნიადაგის ფერი ანუ შეფერილობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მორფოლოგიური ნიშანია, რომელიც გულისხმობს არამხოლოდ შეფერილობას, არამედ ფერების განაწილების ხასიათსაც ნიადაგური პროფილის ან ცალკეული ჰორიზონტის შეგნით.

ნიადაგის ფერში აისახება ნიადაგნარმოქმნის თავისებურებანი და ის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი დიაგნოსტიკური ნიშანი, ნიადაგში მიმდინარე პროცესების მაჩვენებელია. უმეტესი ნიადაგის სახელწოდების განსაზღვრისას მთავარ მახასიათებელს ფერი წარმოადგენს. ბევრმა ნიადაგმა დასახელება მიიღო იმ ფერის მიხედვით, რომელიც მათ პროფილებში ჭარბობს (შავმიწები, წითელმიწები, ყომრალები და სხვ.).

ნიადაგის ფერი საკმაოდ მრავალგვარია, რომელიც დამოკიდებულია ნიადაგნარმოქმნის ტიპზე. ნიადაგების და მათი სხვადასხვა ჰორიზონტების განსხვავებულ შეფერვას განაპირობებს ქიმიური შედგენილობა და ფიზიკური მდგომარეობა - განათება, ტენიანობა, დისპერსიულობა. ნიადაგების ფერისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ნივთიერებების შემცველობა: 1. მუქი შეფერილობის ორგანული და ორგანულ-მინერალური ნივთიერებები; 2. რკინის და მანგანუმის დაჟანგული ნაერთები; 3. კაჟმიწა, ნახშირმჟავას ძნელად ხსნადი მარილები, ალუმინის ჰიდროჟანგი; 4. რკინის ქვეჟანგები. აღნიშნული ნაერთების შეხამება და მინერალების შეფერილობა ნიადაგების მრავალფეროვნებას განაპირობებს.

ნიადაგების ზედა ჰორიზონტების შავი, მუქი-რუხი, რუხი ფერები უმეტესად განპირობებულია ჰუმუსოვანი ნივთიერებებით. ზოგჯერ შავი ფერი შეიძლება გამოიწვიოს  $Mg$ -ის უანგებმა და ჰიდროჟანგებმა. ნიადაგების მუქი ფერი შესაძლებელია დამოკიდებული იყოს ნიადაგნარმოქმნელი ქანების მუქ შეფერილობაზე.

ნიადაგების წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი და მონითალოჟანგიანი ფერი მიუთითებს რკინის უანგის მნიშვნელოვანი რაოდენობით შემცველობაზე. მთელ ნიადაგს, მის ცალკეულ ჰორიზონტებს მტრედისფერ და მოცისფრო ტონს რკინის ქვეჟანგები აძლევენ. ჭარბიანი ნიადაგების მომწვანო-ცისფერ შეფერილობას მინერალი ვივიანიტი იწვევს.

ნიადაგების მოთეთრო და თეთრ ფერს ქმნის კაჟმიწა ( $SiO_2$ ), კალციუმის კარბონატი ( $CaCO_3$ ), კალინიტი ( $H_2ALSiO_6 \times H_2O$ ), თაბაშირი ( $CaSO_4 \times 2H_2O$ ) და ადვილად ხსნადი მარილები ( $NaCl$ ,  $Na_2SO_4 \times 8H_2O$ ).

ნიადაგური პროფილის ქვედა ჰორიზონტების ფერი, ძირითადად, განისაზღვრება ნიადაგნარმომქმნელი ქანების ფერით, მათი შედგენილობითა და გამოფიტვის ხარისხით.

ნიადაგების ფერზე გავლენას ახდენს მათი სტრუქტურული მდგომარეობა. კომტოვანი, მარცვლოვანი ან ბელტოვანი სტრუქტურის ნიადაგები უფრო მუქი ჩანს, ვიდრე გამტვრიანებული, უსტრუქტურო ნიადაგები. შეფერილობაზე დიდ გავლენას ახდენს წყალი, ტენიანი ნიადაგები ყოველთვის უფრო მუქია მშრალ ნიადაგებთან შედარებით.

ნიადაგების ფერის ალნერისას მითითებული უნდა იყოს შეფერილობის ხასიათი: 1. ფერი ერთგვაროვანია, 2. ფერი არაერთგვაროვანია ანუ ჭრელია.

როდესაც ჰორიზონტის ფერი ერთგვაროვანია, მაშინ აუცილებელია ალნერის ძირითადი და დამატებითი ფერები (მორუხო შავი, მოყავისფრო, წითელი). ფერის არაერთგვაროვნების (მოზაიკურობის) ხასიათს კი განსაზღვრავენ დომინანტი ფერის ფონზე გამოყოფილი სხვაგვარად შეფერადებული ზოლები, ლაქები, ძარღვები, წერტილები.

ჰორიზონტებში აუცილებლად უნდა ალნერის ფერის არაერთგვაროვნება ე. წ. ლაქიანობა, რომელიც ასევე წარმოადგენს მთავარ დიაგნოსტიკურ ნიშანს. ლაქიანობა ალნერება მისი რაოდენობის, ზომის, კონტრასტის, ფერისა და საზღვრის მიხედვით.

ლაქების რაოდენობა: 1. ცოტა - ლაქა იკავებს  $<2\%$  ფართობს, 2. საშუალო - ლაქა იკავებს  $2-20\%$  ფართობს, 3. ბევრი - ლაქა იკავებს  $>20\%$  ფართობს.


ლაქების ზომა: 1. წვრილი -  $<5$  მმ, 2. საშუალო -  $5-15$  მმ, მსხვილი -  $>15$  მმ.

ლაქების კონტრასტულობა: 1. სუსტი - ლაქის ფერი მსგავსია ძირითადი (დომინანტი) ფერის და იგი შესამჩნევია მხოლოდ ყურადღებით დაკვირვების შემთხვევაში, 2. შესამჩნევი - ლაქის ფერი გამოირჩევა ძირითადი ფონისგან და ადვილად შესამჩნევია, 3. მკვეთრი - ლაქა მკვეთრად განსხვავდება ფონისგან და აშკარად შესამჩნევია.

ლაქების საზღვრების სიმკვეთრე: 1. მკვეთრი - ფერთა გადასვლის საზღვრები ნაკლებია  $0,5$  მმ-ზე, 2. ნათელი - ფერთა გადასვლა  $0,5-2$  მმ საზღვრებშია, 3. ფერთა გადასვლის საზღვრები მეტია  $2$  მმ-ზე.

ლაქიანობის შეფერილობის განსაზღვრის შემდეგ, ნიადაგის პროფილის შიგნით, შესაძლებელია ამომწურავი ინფორმაციის მიღება ფერის ხასიათზე.

საველე გამოკვლეულების დროს ნიადაგების ფერის მახასიათებლები, უმეტესად, თვალით განისაზღვრება. ფერის დადგენა სასურველია ბუნებრივი ტენიანობის მდგომარეობაში, დღის განათებისას, ნიადაგის ჰაერმშრალ ნიმუშებში. ნიადაგების ფერის დასადგენად გამოიყენება მანსელის ფერთა სკალა, რომელიც მოიცავს ლათინური სიმბოლოებით გამოსახულ სამ განზომილებას: ელფერს (Hue), ფერის სიმკვეთრეს (Chroma) და ფერის ინტენსივობას (Value). მათი კომბინაციით აღინიშნება ფერი. მანსელის ფერთა სკალას მივყავართ კომპეტენტურ ფერამდე და მოსახერხებელია საველე აღნერებისთვის.



ნახ. 21. ნიადაგის ლაქიანობის, ჩანართების, ახალქმნილებების და ხირხატიანობის ხარისხის განმსაზღვრელი ნომოგრამა

## მექანიკური (გრანულომეტრული) შედგენილობა

საველე დიაგნოსტიკის დროს მნიშვნელოვანია ნიადაგების მექანიკური (გრანულომეტრული) შედგენილობის დახასიათება და მისი ცვლილების დადგენა ნიადაგის პროფილის საზღვრებში, გენეზისური ჰორიზონტების მიხედვით.

ნიადაგებში მექანიკური ელემენტების რაოდენობრივი თანაფარ-დობა განსაზღვრავს მათ მექანიკურ (გრანულომეტრულ) შედგენილობას. ნიადაგები შედგებიან სხვადასხვა ზომის და ფორმის ნაწილა-კებისგან ე.წ. მექანიკური ელემენტებისგან. ისინი ნიადაგში გროვდება ქანების გამოფიტვისა და ნიადაგნარმოქმნის პროცესების შედე-გად. მექანიკურ ელემენტებს სიდიდის (ნაწილაკთა დიამეტრის) მი-ხედვით აჯგუფებენ. დაახლოებით თანაბარი ზომის მექანიკური ელე-მენტების ჯგუფს ფრაქცია ეწოდება. გამოყოფენ ნიადაგის მექანიკუ-რი ელემენტების ძირითად ფრაქციებს: 1. ხირხატი - > 1მმ ზომის ფრაქციები, 2. წვრილმინა - < 1მმ ზომის ფრაქციები, 3. ფიზიკური სი-ლა (მსხვილი ქვიშა, საშუალო ქვიშა, წვრილი ქვიშა და მსხვილი მტვე-რი) - 1-0,01 მმ ზომის ფრაქციები, 4. ფიზიკური თიხა (საშუალო მტვე-რი, წვრილი მტვერი) - < 0,01 მმ ზომის ფრაქციები, 5. ლექი (უხეში ლექი, წვრილი ლექი, კოლოიდები) - <0,001 მმ ზომის ფრაქციები.

მექანიკური ფრაქციები განსხვავდება ქიმიური და მინერალური შედგენილობით, ფიზიკურ-ქიმიური და ფიზიკური თვისებებით. მსხვილი მტვრის ნაწილაკები თვისებებით ქვიშის მექანიკური ელე-მენტების მსგავსია, ამიტომ 0,01 მმ-ზე მსხვილი ყველა ნაწილაკი (მსხვილი მტვერი, მსხვილი ქვიშა, საშუალო ქვიშა, წვრილი ქვიშა) გა-ერთიანებულია ფიზიკური სილის ფრაქციაში, ხოლო 0,01 მმ-ზე ნაკ-ლები ზომის ნაწილაკები (საშუალო მტვერი, წვრილი მტვერი, ლექი) — ფიზიკური თიხის ფრაქციაში.

ქვები და ხრები უმეტესად ნარმოდგენილია ქანების ნატეხებით და იმვიათად -ცალკეული მინერალებით. მსხვილი ქვიშა სხვადასხვა მინერალების მონატეხების ნარევისგან შედგება. წვრილ ქვიშაში მა-ტულობს მდგრადი მინერალების შემცველობა და ნარმოდგენილია კვარცით. მტვრის მინერალოგიაში ჭარბობენ პირველადი მინერალე-ბი: მინდვრის შპატები, ქარსები. ლექის ფრაქცია ძირითადად შეიცავს მეორად თიხამინერალებს: კალინიტს, მონტმორილონიტს, რკინის ჰიდროჟანგს. მექანიკური ელემენტების ზომის შემცირებასთან ერ-თად იზრდება ერთნახევარი უანგების (რკინა, ალუმინი), კალციუმის, მაგნიუმის რაოდენობა და კლებულობს კვარცის შემცველობა. ლექის ფრაქციის კოლოიდურ ნაწილში თავმოყრილია ყველაზე მეტი რაო-დენობის ჰუმური და მცენარის საკვები ელემენტები. სხვადასხვა მე-

ქანიკურ ფრაქციებში ცალკეული მინერალების რაოდენობა და მათი თანაფარდობა ცვალებადობს ნიადაგნარმომქმნელი ქანების მიხედვით. ნიადაგნარმომქმნელ ქანები არსებული ჩამოტეხილი ნაწილა-კების თანაფარდობა განსაზღვრავს მათზე განვითარებული ნიადაგე-ბის მექანიკურ (გრანულომეტრულ) შედეგენილობას. ქვიშნარ ნიადაგ-ნარმომქმნელ ქანებზე ვითარდება ქვიშნარი ნიადაგები, თიხნარ ქა-ნებზე—თიხნარი ნიადაგები და ა.შ.

ქვა და ხრეში ფაქტიურად არ აკავებენ წყალს და არა აქვთ წყალა-ნევის უნარი. ქვიშიანი ნაწილაკები წყალს კარგად ატარებენ, ამავე დროს, ქვიშის წვრილ ნაწილაკებს გააჩნიათ უნარი დააკავონ მცირე რაოდენობის ტენი. მტვერი აკავებს მნიშვნელოვანი რაოდენობის წყალს. ლექის ნაწილაკებს უნარი აქვთ დააკავონ ბევრი ტენი. ეს ფრაქცია მდიდარია რკინის, ალუმინის, კალციუმის, მაგნიუმის, ფოს-ფორის ნაეროებით და საკვები ნივთიერებები მცენარეთათვის ხელ-მისაწვდომ ფორმაში იმყოფებიან.

ყველა ნიადაგი, მექანიკური შედეგენილობის მიხედვით, შეიძლება რამდენიმე ჯგუფში გაერთიანდეს, რომელთათვისაც დამახასიათებე-ლია სპეციფიკური ფიზიკური და ქიმიკური თვისებები. მექანიკურ ფრაქციებს არაერთგვაროვანი თვისებები გააჩნიათ, ამიტომ, ნიადა-გებიც განსხვავებულ თვისებებს ფლობენ ამა თუ იმ მექანიკური ელე-მენტების შემცველობის მიხედვით. ნიადაგები, თიხიანი და ქვიშიანი ნაწილაკების რაოდენობებზე დამოკიდებულების შესაბამისად, იყო-ფიან თიხიან, თიხნარ, ქვიშნარ და ქვიშიან ნიადაგებად. სხვადასხვა მექანიკური შედეგენილობის ნიადაგები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან.

ქვიშა და ქვიშნარი ნიადაგები ფიზიკური თიხის ნაწილაკებს მცი-რე რაოდენობით შეიცავენ. მექანიკური ელემენტები ერთიმეორეს-თან არ არიან დაკავშირებული და შესაბამისად მოკლებულნი არიან სტრუქტურიანობას. წყალს კარგად ატარებენ, ტენის მარაგს ხანგრძ-ლივად ვერ ინარჩუნებენ ე. ი. დაბალი ტენტევადობით გამოირჩევიან. ქვიშები და ქვიშნარები ხასიათდება ხელსაყრელი ჰაერის რეჟიმით. ეს ნიადაგები ადვილად მუშავდებიან, სწრაფად თბებიან და ასევე სწრა-ფად ცივდებიან. მათში მცირე რაოდენობითაა საკვები ნივთიერებები.

თიხნარ ნიადაგებში საკმარისადაა ტენი და ჰაერი, რაც განაპირო-ბებს სხვადასხვა მიკროორგანიზმების აქტიურ ცხოველქმედებას და ნიადაგში ადვილად ხსნადი საკვები ნივთიერებების მარაგის გაზრ-დას. თიხნარები ხასიათდებიან ხელსაყრელი ჰაერაციით და წყლის კარგი გამტარობით, ნაკლებ წინააღმდეგობას უზვევნ მანქანა-იარა-ლებს და მცენარეთა ფესვებიც კარგად ვითარდება.

თიხები დიდი რაოდენობით შეიცავენ ერთმანეთთან მტკიცედ და-კავშირებული ფიზიკური თიხის ნაწილაკებს. გამოირჩევან ცუდი

წყალგამტარობით და პლასტიკურობის, თქვირება-დაჯდომის მაღალი უნარით. ზოგჯერ ასეთი მექანიკური (გრანულომეტრული) შედგენილობა ნიადაგების დაჭაობების ერთ — ერთი მიზეზიც შეიძლება გახდეს, ხშირია დამლაშების მოვლენებიც.

საველე დიაგნოსტიკის დროს მექანიკურ (გრანულომეტრულ) შედგენილობას ადგენენ ემპირიული, ორგანოლეპტიკური მეთოდით — თითებშუა ნიადაგის ნიმუშის გასრევით.

ნიადაგში მექანიკური ელემენტები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, პრაქტიკულად არ არსებობენ თავისუფალ მდგომარეობაში. ისინი უმეტესად სხვადასხვა ხარისხით არიან ერთმანეთთან შენებებული ტუტე და ტუტემინათა ჰუმატებით, რკინით და ალუმინით, რკინის და ალუმინის თავისუფალი ჰიდროფანგებით, კაჟმინით, კალციუმის კარბონატით. მექანიკური ელემენტების შეცემენტებით წარმოიქმნება მიკრო და მაკროაგრეგატები.

საველე დიაგნოსტიკის დროს, მექანიკური (გრანულომეტრული) შედგენილობის განსაზღვრისას, ყველა აგრეგატი მთლიანად უნდა დაიშალოს ხელისგულზე, ზოგჯერ დანის გამოყენებითაც. მექანიკური (გრანულომეტრული) შედგენილობის საველე მეთოდის სიზუსტი-სათვის უმთავრესი მნიშვნელობა ნიადაგების დატენიანების ხარისხს ენიჭება. არასაკმარისი დატენიანება განაპირობებს მსუბუქ მექანიკურ (გრანულომეტრულ) შედგენილობას. ნიადაგების გადატენიანება კი პირიქით, შედგენილობის დამძიმებას იწვევს. მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგებს ახასიათებთ მაღალი პლასტიკურობა, მსუბუქ ნიადაგებს კი — ნაკლები. ნიადაგების ამ თვისებას იყენებენ საველე პირობებში მექანიკური (გრანულომეტრული) შედგენილობის დასადგენად.

საველე პირობებში ნიადაგების მექანიკური (გრანულომეტრული) შედგენილობა განისაზღვრება როგორც ნესტიან, ასევე მშრალ მდგომარეობაში. ამისათვის გამოიყენება შემდეგი სტანდარტული ნიშან — თვისებები (კრიტერიუმები): 1. ქვიშა — ნიადაგი უსტრუქტურობა და მშრალ მდგომარეობაში ადვილად იშლება. შედგება ცალკეული მარცვლებისაგან, რომელთა გარჩევა შესაძლებელია შეუიარაღებელი თვალით. ზოგჯერ მცირე რაოდენობით შერეულია უფრო წვრილი ნაწილაკები. ნესტიან მდგომარეობაში არ ემორჩილება ხელისგულზე დასორსლებას და არაპლასტიკურია; 2. ქვიშნარი — ნიადაგი ბნევადია და მშრალ მდგომარეობაში თითებს შორის ადვილად იფშვნება, შედგება მსხვილი მარცვლებისგან. ხელის შეხებით იგრძნობა ქვიშიანი ნაწილაკების სიჭარბე, უფრო წვრილი ნაწილაკები მცირე რაოდენობითაა. ნესტიან მდგომარეობაში არ არის პლასტიკური და არ სორსლდება; 3. მსუბუქი თიხნარი — ნიადაგი მშრალ მდგომარეო-

ბაში თითებს შორის გასრესვით იძლევა წვრილ ფხვნილს, რომელშიც ხელის შეხებით შეიგრძნობა ქვიშიანი მარცვლები. ნესტიან მდგომარეობაში სუსტად პლასტიკურია, ხელისგულზე დასორსლებული მასა ადვილად წყდება; 4. საშუალო თიხნარი — ნიადაგი მშრალ მდგომარეობაში თითებს შორის გასრესვისას წარმოქმნის წვრილ ფხვნილს, რომელშიც ხელის შეხებით იგრძნობა მხოლოდ ცალკეული ქვიშიანი მარცვლები. ნესტიან მდგომარეობაში ნიადაგის მასას გააჩნია სუსტი პლასტიკურობა, ხელის გულზე დასორსლებით იძლევა მოლიან ზონარს, რომელიც მოღუნვისას ადვილად ტყდება; 5. მძიმე თიხნარი — მშრალ მდგომარეობაში ნიადაგი იშლება წვრილ ფხვნილად. აგრეგატების დაფშვნა უმეტესად დანის დახმარებით ხდება და არა თითებით. წვრილ მასაში შესაძლებელია შეგვხვდეს ცალკეული ქვიშიანი მარცვლები. ნესტიან მდგომარეობაში პლასტიკურია, ხელისგულზე დასორსლებით იძლევა სწორ ზონარს, რომელიც მოღუნვისას იძზარება; 6. თიხა — მშრალ მდგომარეობაში ნიადაგი ძალიან მკვრივია და აგრეგატები ძნელად იშლება დანით წვრილ, ერთგვაროვან ფხვნილად. გასრესვის დროს თითებს შორის მარცვლები არ შეიგრძნობა. ნესტიან მდგომარეობაში ნიადაგი მნებავია და გააჩნია მაღალი პლასტიკურობის უნარი. ხელისგულზე კარგად სორსლდება, იძლევა სწორ და გრძელ ზონარს, რომელიც ადვილად იღუნება და არ იძზარება.

**ხირხატი.** ნიადაგების საველე დიაგნოსტიკის დროს აუცილებელია ცალკეულ ჰორიზონტებში ხირხატის დახასიათება მათი წარმოშობის, ადგილმდებარეობის, რაოდენობისა და ზომების მიხედვით.

ნიადაგების მორფოლოგიური ანალიზის დროს აუცილებელია ალინეროს ხირხატის ანუ ქანის ფრაგმენტების (ქვები, ხრეში, კენჭები, ღორლი) რაოდენობა და ზომა, როგორც მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური ნიშნები.

ხირხატის რაოდენობის (ხირხატიანობის ხარისხის განმსაზღვრელი ნომოგრამის მიხედვით) საველე აღნერისას იყენებენ შემდეგ გრადაციებს: 1. არ არის-0%; 2. ძალიან ცოტა - 0-2%; 3. ცოტა - 2-5%; 4. საშუალო - 5-15%; 5. ბევრი - 15-40%; ჭარბი - 40-80%; 6. ძალიან ჭარბი - > 80%.

ხირხატის ზომას აღნერენ შემდეგი მაჩვენებლებით: 1. წვრილი ხრეში - 0,2-0,6 სმ; 2. საშუალო ხრეში - 0,6-2 სმ; 3. მსხვილი ხრეში - 2-6 სმ; 4. ქვები -  $\geq$ 6-20 სმ.

## სტრუქტურა

ნიადაგების სტრუქტურა წარმოადგენს ნიადაგებისა და ცალკეული ჰორიზონტების საველე დიაგნოსტიკურ მაჩვენებელს. ბუნებრივ მდგომარეობაში ნიადაგებს ახასიათებთ სტრუქტურიანობა ანუ უნარი დაიშალონ სხვადასხვა ზომის და ფორმის სტრუქტურულ აგრეგატებად. აგრეგატები ანუ პედები ენოდება სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებისგანაც შედგება ნიადაგის მასა. ისინი ნიადაგებში წარმოიქმნებიან ცალკეული მექანიკური ელემენტების შენებებით (შეცემენტებით) ანუ აგრეგაციით. ნიადაგების სტრუქტურა წარმოადგენს სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის აგრეგატების ერთობლიობას.

აგრეგატების ზომები ფართო საზღვრებები ცვალებადობენ როგორც სხვადასხვა ნიადაგში, ისე ერთი ნიადაგის ცალკეულ ჰორიზონტებშიც. ზომის მიხედვით აგრეგატები იყოფიან: 1.მიკროაგრეგატებად (მიკროსტრუქტურა) -  $<0,25\text{მმ}$ ; 2. მეზოაგრეგატებად (მეზოსტრუქტურა) -  $0,25-7(10)\text{მმ}$ ; 3.მაკროაგრეგატებად (მაკროსტრუქტურა) -  $>7(10)\text{ მმ}$ .

ნიადაგები და მათი გენეზისური ჰორიზონტები სტრუქტურული აგრეგატების ფორმის არაერთგვაროვნებით ხასიათდებიან. ფორმის მიხედვით განასხვავებენ აგრეგატების სამ ტიპს: 1. კუბურს (მარცვლოვანი, კაკლოვანი, კომტოვანი ანუ გოროხოვანი, ბელტოვანი); 2. პრიზმულს (პრიზმისებრი, სვეტისებრი); 3. ფიქალოვანს (ფიქალოვანი, ფურცვლოვანი).

კუბური ტიპის აგრეგატს სიგრძე, სიგანე, სიმაღლე დაახლოებით თანაბარი აქვს და წააგავს კუბს ან სფეროს. პრიზმულს სტრუქტურული აგრეგატის სიგრძე-სიგანე არათანაბარია, შედარებით განვითარებულია სიმაღლეზე და გააჩნია პრიზმის ან სვეტის ფორმა. ფიქალოვანი აგრეგატი სიმაღლეზე სუსტად არის განვითარებული, ვიდრე სიგრძე-სიგანეზე, გაბრტყელებულია და აქვს ფიქალის (ფირფიტის) ფორმა. სტრუქტურული აგრეგატების ცალკეული ტიპები, ზომების და დაკუთხულობის ხარისხის მიხედვით, იყოფიან უფრო წვრილ ერთეულებად (გვარებად და სახეებად).

ნიადაგებში შესაძლებელია ერთდროულად არსებობდეს მრავალ-გვარი ფორმის და ზომის აგრეგატი. სტრუქტურული ერთეულების სიდიდე და ფორმა წათლად ასახავს ნიადაგებში მიმდინარე პროცესების ხასიათს, ამიტომ სხვადასხვა ტიპის ნიადაგები ან ერთი და იმავე ნიადაგის გენეზისური ჰორიზონტები ერთმანეთისგან განსხვავდებიან აგრეგატების მორფოლოგით. შავიზნებისთვის დამახასიათებელია მარცვლოვანი სტრუქტურა, ბიცობებს ახასიათებთ პრიზმული სტრუქტურა და ა.შ. პრაქტიკულად ნიადაგების მთელ პროფილში შე-

იმჩნევა სტრუქტურის კანონზომიერი ცვლილება ზედაპირიდან ნიადაგნარმომქმნელ ქანამდე. მარცვლოვანი სტრუქტურა თვისობრივია ჰუმუსოვანი ჰორიზონტისთვის, კაელოვანი—ილუვიური ჰორიზონტისთვის, ფირფიტისებრ-ფურცლოვანი სტრუქტურა ტიპიურია ელუვიური ჰორიზონტისთვის. ნიადაგებს, უმეტესად, გააჩნიათ შერეული სტრუქტურა. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება სტრუქტურის ორმაგი დასახელება: კოშტოვან-მარცვლოვანი, მარცვლოვან-კაელოვანი. ზოგადად; ნიადაგების სტრუქტურის სახელწიდება ჭარბი სტრუქტურული ერთეულების მიხედვით განისაზღვრება. ამრიგად, რაოდენობრივად ჭარბი აგრეგატები ბოლოში უნდა მოვაციორთ.

მორფოლოგიური თვალსაზრისით ნიადაგს აქვს განსაზღვრული სტრუქტურა, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს სხვადასხვა ხარისხით: ძალიან სუსტი, სუსტი, საშუალო ანუ ზომიერი, კარგი, ძალიან კარგი ან ნიადაგი საერთოდ უსტრუქტუროა. ასეთ ნიადაგებში მექანიკური ელემენტები წარმოდგენილია ცალ-ცალკე, ერთმანეთთან კავშირის გარეშე და არ აქვთ სტრუქტურული აგრეგატების წარმოქმნის უნარი ან ეს ელემენტები იმდენად ძლიერად არია შეეავშირებული, რომ ვერ იყოფიან ცალკეულ აგრეგატებად. თიხნარი და თიხიანი ნიადაგები თითქმის ყოველთვის სტრუქტურულია, ჩვეულებრივ უსტრუქტუროა ქვიშნარები და ქვიშები. ნიადაგების სტრუქტურული მდგომარეობა ცვალებადია და შესაძლებელია მისი გაუარესება ან გაუმჯობესება ფიზიკურ-ქიმიური, მექანიკური, ბიოლოგიური მიზეზებით.

ნიადაგების საველე დიაგნოსტიკის დროს აღინერება აგრეგატების მაჩვენებლები: ხარისხი, კლასი და ტიპი.

სტრუქტურის ხარისხი ნიადაგების გასტრუქტურიანების დონეს გამოხატავს. გამოყოფენ მის ოთხ გრადაციას: 1. უსტრუქტურო—ნიადაგებში არ შეიმჩნევა აგრეგატების წარმოქმნის პროცესი; 2. სუსტი—ნიადაგებში ბევრია არააგრეგირებული მასალა და აგრეგატები წაკლებად შესამჩნევია; 3. საშუალო — ნიადაგებში შეიმჩნევა სხვადასხვაგვარი, ზომიერად მტკიცე აგრეგატები, ნიადაგები იშლებიან მთლიან აგრეგატებად და მცირეა შეუწებებელი მასალა; 4. მტკიცე-ნიადაგების დაურღვეველ მდგომარეობაში წათლად ჩანს მტკიცე სტრუქტურული ერთეულები, მსუბუქი ზემოქმედებით ნიადაგები არ იშლებიან მთლიან აგრეგატებად.

სტრუქტურის კლასები გამოიყოფიან აგრეგატების ზომების (მმ) მიხედვით: ძალიან წვრილი, წვრილი, საშუალო, მსხვილი, ძალიან მსხვილი.

სტრუქტურული აგრეგატების ფორმებით ადგენენ სტრუქტურის ტიპებს: კუბური, პრიზმული და ფიქალოვანი.

## ცხრ.1. სტრუქტურის კლასები და ტიპები

სტრუქტურის კლასები	კუპური	პრიზმული	ფირჩვანი
ძალიან წვრილი	<1-5	<10	<1
წვრილი	5-10	10-20	1-2
საშუალო	10-20	20-50	2-5
მსხვილი	20-50	50-100	5-10
ძალიან მსხვილი	>50	>100	>10

საველე დიაგნოსტიკის დროს ნიადაგების სტრუქტურას ადგენენ მარტივი წესით: დაუშლელი ნიადაგის მასას დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლეზე აგდებენ, ამ დროს ის იშლება გარკვეული ზომისა და ფორმის აგრეგატებად, რომლებიც განსაზღვრავენ სტრუქტურას.

საველე გამოკვლევის პირობებში აწარმოებენ ნიადაგების სტრუქტურის სიმტკიცისა და სიმაგრის განსაზღვრას. აგრეგატის დასაშლელად საჭირო ძალა აჩვენებს მის სიმაგრეს, სიმტკიცე კი წყლის დამშლელი მოქმედებისადმი ნინაალმდეგობის უნარით დგინდება. სიმტკიცის დასადგენად სტრუქტურულ ერთეულებს ჩაყრიან წყლიან ჭურჭელში: მტკიცე სტრუქტურის ნიადაგები მაღლ არ იძლებიან ანუ შენარჩუნებულია აგრეგატების ფორმა და სიდიდე. ნიადაგების სტრუქტურის სიმაგრის გასაგებად აგრეგატებს თითებშუა ათავსებენ და სრესენ: მაგარი აგრეგატები ძნელად იძლებიან, სუსტი სტრუქტურული ერთეულები, პირიქით, ადვილად იფშვნებიან.

### აგებულება

აგებულება, როგორც ერთ-ერთი მორფოლოგიური ნიშანი, ნიადაგების სიმკვრივის, სიმაგრისა და ფორმიანობის გარეგან გამოხატულებას წარმოადგენს. ის გვიჩვენებს ნიადაგის მასაში ნაწილაკთა შორის კავშირს და დამოკიდებულია მექანიკურ და ქიმიურ შედგენილობაზე, სტრუქტურასა და ტენიანობაზე.

ფორიანობა. ნებისმიერი ნიადაგი ფოროვანი სხეულია, მაგრამ სხვადასხვა ნიადაგებში ფორიანობის ხასიათი, ფორების ზომები, ურთიერთგანლაგება ანუ კონფიგურაცია განსხვავებულია და დაკავშირებულია ნიადაგების გენეზისთან, საერთო მორფოლოგიასთან და ნიადაგნარმომებულ ქანებთან. ნიადაგების მექანიკური ნაწილაკები და სტრუქტურული აგრეგატები ერთმანეთს მთელი ზედაპირით არ ეხებიან, რის გამოც მათ შორის წარმოიქმნება თავისუფალი სიცარიე-

ლექტონი, რომელთა ჯამს ნიადაგის ფორიანობა ეწოდება. ნიადაგების ფორიანობა გამოწვეულია მექანიკური ნაწილაკების და სტრუქტურული აგრეგატების თავისებური ნყობით, რაც სხვადასხვა ნიადაგებში სხვადასხვანაირად არის გამოსახული. ფორიანობა დიდად არის დამოკიდებული ნიადაგის სტრუქტურაზე. გასტრუქტურებულ ნიადაგებში ფორიანობა ყოველთვის მაღალია უსტრუქტურო ნიადაგებთან შედარებით. ერთი და იგივე ნიადაგის პროფილში ფორიანობა იცვლება მექანიკური შედგენილობის, ჰუმუსიანობის, ნყლის რეჟიმის ცვალებადობასთან ერთად. ჰუმუსოვანი ჰორიზონტები შედარებით მაღალი ფორიანობით ხასიათდებიან, ვიდრე ქვედა ჰორიზონტები. მინიმალური ფორიანობით ილუვიური ჰორიზონტები გამოიჩინებან. თიხიანი ნიადაგების ფორიანობა უფრო მეტია, ვიდრე თიხნარებისა და ქვიშნარების.

ნიადაგებში ფორიანობა, გარეგატულობისა და განსაზღვრული სტრუქტურის მიხედვით, შეიძლება იყოს შიგააგრეგატული და აგრეგატშორისი. აგრეგატების შიგნით თაგმოყრილია წვრილი ფორები: კაპილარული, მიკროფორები და ულტრამიკროფორები, აგრეგატებს შორის კი განლაგებულია მსხვილი ფორები.

ნიადაგებში განასხვავებენ ფორიანობის სხვადასხვა სახეებს: საერთო ფორიანობას, კაპილარულ ანუ შიგააგრეგატულ ფორიანობას, არაკაპილარულ ანუ აგრეგატშორის ფორიანობას. არაკაპილარული ე.ნ. მსხვილი ფორები აგრეგატებს შორის თითქმის ყოველთვის დაკავებულია ჰაერით. კაპილარული ფორები მცირე ზომის ფორებია და ბუნებრივ პირობებში მათი დიდი ნაწილი დაკავებულია ნელით. ნიადაგებში ასევე გამოყოფენ: მიკროფორებს -  $<0,01$  მმ; ნერილ კაპილარულ ფორებს  $->0,01$  მმ, რომლებიც აგრეგატებს შიგნით დაკავებულია წყლით და ჰაერით; საშუალო ფორები-აგრეგატებშიდა სიცარიელებია, რომლებიც დატენიანებისას წყლით არის დაკავებული, გამოშრობის შემდეგ კი-ჰაერით.

საველე დიაგნოსტიკის დროს ძირითადი ყურადღება ეთმობა ფორების ფორმას, ზომას და რაოდენობას. ველზე ნიადაგების ფორიანობის დასადგენად შესაძლებელია ლუპის გამოყენება.

ნიადაგების ფორიანობა ხასიათდება სტრუქტურულ აგრეგატებს შიგნით ან მათ შორის ფორების სიდიდითა და ფორმით. შესაბამისად განასხვავებენ ნიადაგების აგებულების შემდეგ ტიპებს: 1. ნერილფორიანი - ფორების დიამეტრი  $<1$  მმ; 2. ფორიანი - ფორების დიამეტრი 1-3 მმ; 3. ღრუბლისებრი - სიცარიელეების დიამეტრი 3-5 მმ; 4. ხვრელოვანი - სიცარიელეების დიამეტრი 5-10 მმ; 5. დანაპრალებული - თავისუფალი ადგილების დიამეტრი  $>10$  მმ.

ცხრ. 2. ნიადაგების ფორმების რაოდენობა ( $N/1 \text{ სმ}^2$ )

ფორმების რაოდენობა	ფორმების დიამეტრი	
	>100	<100
ერთეული	≤2	<5
ცოტა	2-5	5-10
ზომიერი	5-10	10-25
ბევრი	10-15	25-50
ძალიან ბევრი	>15	>50

სიმკვრივე ანუ სიმაგრე. ნიადაგების აგებულების მეორე განმ-საზღვრელს წარმოადგენს სიმკვრივე, რომელიც ეწოდება მათი წინა-ალმდეგობის უნარს გარკვეული ძალით დაწოლის მქონე სხეულების მიმართ. სიმკვრივეში წიადაგის მასის სიმაგრე იგულისხმება. წიადა-გის სიმაგრე მისი მკვრცვი ფაზის ბმულობის ხარისხს გამოსახავს და იზომება მექანიკური ძალისადმი წინაღობის უნარით. წიადაგების სიმკვრივე/სიმაგრე დამოკიდებულია მექანიკურ შედგენილობაზე, სტრუქტურიანობაზე, შთანთქმულ კატიონებზე, ტენიანობაზე, მექა-ნიკური ელემენტებისა და სტრუქტურული აგრეგატების წყობის ხა-სიათზე. სიმკვრივის აღწერისას გამოიყენება დანა ან სატეხი.

წიადაგების საველე გამოკვლევის პირობებში გამოყოფენ სიმკვ-რივის შემდეგ კატეგორიებს: 1.ძალიან მკვრივი (დაწილებული) - ასეთი აგებულების წიადაგის მოსათხრელად იყენებენ წერაქვს ან ლომს (ბა-რით ვერ ითხრება). მისი ჩამოჭრილი ბელტის ზედაპირი ბზინავს, უს-ტრუქტუროა ან აქვს ბელტოვანი და პრიზმისებრი სტრუქტურა; 2. მკვრივი - წიადაგი ბარით ძნელად ითხრება, დანა ძნელად აღწევს წია-დაგში 1-2 სმ-მდე ძლიერი ზეწოლით; 3. მომკვრივო - ასეთი აგებულე-ბის წიადაგის მასა კარგად არის გასტრუქტურებული, ბარით შედარე-ბით ადვილად ითხრება. დანის წვერი წიადაგში 2 და მეტ სმ სიღრმეზე ჩადის მცირე ზეწოლის შედეგად; 4. მოფხვიერო - წიადაგს კარგად გა-მოხატული სტრუქტურა აქვს, ადვილად ითხრება. წიადაგის ნაწილა-კები ნაკლებად ცვივა ჭრილის კედლიდან და მასში დანა ადვილად შე-დის. ბელტი ადვილად იშლება აგრეგატებად; 5. ფხვიერი - ასეთი აგე-ბულების წიადაგს ახასიათებს სტრუქტურულ აგრეგატთა შორის ნაკ-ლები შეკავშირება და კარგად გამოხატული ფორმანანობა. დანის ან ბა-რის შეხებით წიადაგის მასა ადვილად იფშვნება.; 6. ბნევადი - ასეთი აგებულების წიადაგებში მექანიკური ნაწილაკები არ არის შეცემენ-ტებული და წიადაგის მასა ბნევადობის თვისებით ხასიათდება.

ნიადაგების სიმკვრივე ანუ სიმაგრე იყოფა ორ სახედ: 1. აგებულების სიმკვრივე ტენიან მდგომარეობაში; 2. აგებულების სიმაგრე მშრალ მდგომარეობაში. ორივე მაჩვენებელი ველზე განისაზღვრება.

აგებულების სიმკვრივეს ადგენენ ტენიანი ნიადაგის მასის ხელში გასრესვით და გამოყოფენ შემდეგ გრადაციებს: 1. ბნევადი — ნიადაგის მასა არ არის ბმული და პნევადია; 2. ძალიან ფხვიერი — ნიადაგის მასა იშლება ძალიან მსუბუქი მოსრესვით, მაგრამ არ იბნევა; 3. ფხვიერი — ნიადაგის მასა ადვილად იშლება თითებს შორის მსუბუქად ან ზომიერად გასრესვის შედეგად; 4. მკვრივი — ნიადაგის მასა ირლევა თითებშუა ზომიერი გასრესვის შემდეგ, თუმცა ნინააღმდეგობა შესამჩნევია; 5. ძალიან მკვრივი — ნიადაგის მასა იშლება ძლიერი მოსრესვის შემდეგ; 6. განსაკუთრებულად მკვრივი — ნიადაგის მასის მხოლოდ ნაწილი იშლება ძალიან ძლიერი გასრესვის შედეგად; 7. დანიდული — ნიადაგების ნაწილაკები მჭიდროდ არიან განლაგებული, რომელთანაც შეთანანყობაშია აგებულების მაღალი სიმკვრივე.

ნიადაგების სიმაგრე განისაზღვრება ჰაერმშრალ მდგომარეობაში და განასხვავებენ შემდეგ გრადაციებს: 1. ფხვიერი (ბნევადი) — ნიადაგის მასა არ არის ბმული; 2. რბილი — ნიადაგის მასა სუსტად ბმულია და ფხვიერია, თითებს შორის ძალიან მსუბუქი გასრესვით იშლება.; 3. ნაკლებად მაგარი — ნაკლებად მდგრადია, გასრესვისას ადვილად იშლება თითებს შორის; 4. მაგარი — ნიადაგის მასა ხელით გასრესვის შემდეგ ძნელად იშლება; 5. ძალიან მაგარი — ნიადაგის მასა ხელით გასრესვის შემდეგ არ იშლება.

ნიადაგების აგებულებასთან უშუალოდ დაკავშირებულია ნიადაგის მასის კონსისტენცია (სიმკვრივის ხარისხი). ნიადაგების კონსისტენცია ნარმოადგენს თვისებათა ერთობლიობას, რომელსაც ნიადაგი იღებს ზემოქმედების შედეგად და უპირველესად მჟღავნდება ფორმების შეცვლისადმი ნინააღმდეგობის განვის უნარით.

ნიადაგების კონსისტენცია დროში საკმაოდ ცვალებადია და დიდად არის დამოკიდებული ტენიანობაზე. ამავდროულად, ის ძლიერადაა დაკავშირებული ნიადაგების შედარებით მდგრად თვისებებთანაც: მექანიკურ შედეგენილობასთან, (ქვიშიანი ნიადაგები ვერ ინარჩუნებენ მუდმივ ფორმას დატენიანების დროსაც კი, თიხა ნიადაგები კარგად იღებენ გარკვეულ ფორმებს ტენიანობის დიდ დიაპაზონში), შთანთქმის კომპლექსის თავისებურებასთან, ორგანული და ორგანულ-მინერალური ნაერთების ხასიათთან.

ნიადაგების კონსისტენცია მნიშვნელოვან საველე დიაგნოსტიკურ ნიშანს ნარმოადგენს, რომელიც მოიცავს წებოვნების და პლასტიკურობის თვისებებს.

**წებოვნება.** წებოვნება ეწოდება ნიადაგების ნაწილაკების თვისებას გარკვეული ტენიანობის პირობებში მიენებონ ერთმანეთს და გარეშე სხეულებს (ხე, ლითონი და სხვ.). წებოვნების თვისება ტენის ოდენობის მიხედვით ცვალებადობს. მშრალ ნიადაგს წებოვნება არ ახასიათებს. გარკვეულ საზღვრამდე ტენის მატება ადიდებს ამ თვისებას. წებოვნება იზომება ძალის იმ სიდიდით (გ/სმ<sup>2</sup>), რომელიც საჭიროა ნიადაგების შენებებული ნაწილაკების ერთმანეთისგან ან მათზე მიკრული გარეშე საგნის მოსაცილებლად. წებოვნების მიხედვით გამოყოფენ ნიადაგების შემდეგ ჯგუფებს: 1. ძალიან ძლიერი სიბლანტის ნიადაგები - >15 გ/სმ<sup>2</sup>; 2. ძლიერი სიბლანტის ნიადაგები - 5-15გ/სმ<sup>2</sup>; 3. საშუალო სიბლანტის ნიადაგები - 2-5გ/სმ<sup>2</sup>; 4. სუსტი სიბლანტის ნიადაგები - 0,5-2 გ/სმ<sup>2</sup>; 5. ბნევადი ნიადაგები - 0,1-0,5გ/სმ<sup>2</sup>.

საველე გამოკვლევის დროს ნიადაგების წებოვნება გახსაზღვრულ ტენიან მდგომარეობაში აღინიერება. ამისათვის ნიადაგის მასას თითებშუა მოსრესავენ. გამოყოფენ წებოვნების შემდეგ გრადაციებს: 1. არანებოვანი — მოსრესვის შემდეგ თითებზე არ რჩება მინებებული მასალა; 2. სუსტად წებოვანი — თითებს ენებება უმნიშვნელოდ, მაგრამ ადვილად სცილდება მიკრული მასალა და თითები სუფთა რჩება; 3. ზომიერად წებოვანი ანუ წებოვანი — ნიადაგის მასის გასრესვის შემდეგ თითებზე რჩება ძნელად მოსაშორებელი მინებებული მასალა; ძალიან წებოვანი — ნიადაგის მასა ძალიან წებოვანია, მოსრესვის შემდეგ თითებზე რჩება ძლიერად მინებებული მასალა, რომელიც ძალიან ძნელად იწმინდება.

**პლასტიკურობა.** პლასტიკურობა ეწოდება ნიადაგების უნარს გარეშე ძალის ზემოქმედებით მიიღოს ნებისმიერი ფორმა და შეინარჩუნოს ის ამ ძალის მოხსნის შემდეგაც. რაც მეტია ნიადაგებში თიხის ფრაქცია, მით მეტად მულავნდება პლასტიკურობა. პლასტიკურობის უნარს ნიადაგები ტენიანობის გარკვეულ შუალედებში ავლენენ. დაბალი ტენიანობის პირობებში ნიადაგები პლასტიკურობის თვისებას მოკლებულები არიან.

საველე პირობებში პლასტიკურობა განისაზღვრება ნოტიო ნიადაგის მასის ზონარად დასორსლებით. დადგენილია პლასტიკურობის შემდეგი სტადიები: 1. არაპლასტიკური — ნიადაგის მასა ზონარად არ სორსლდება; 2. ძალიან სუსტად პლასტიკური — ნიადაგის მასა ძნელად სორსლდება და ზონარის სისქე ნაკლებია 8 მმ-ზე; 2. სუსტად პლასტიკური - ნიადაგის მასა სორსლდება ზონარად, რომლის სისქე ნაკლებია 3 მმ-ზე, მაგრამ ადვილად დეფორმირდება; 3. ზომიერად პლასტიკური ან პლასტიკური - ნიადაგის მასა ადვილად სორსლდება 1-2 მმ სისქის ზონარად, მაგრამ გარეგანი ზემოქმედებით (მოღუნვა,

დაგრეხვა) დეფორმირდება; 4. ძალიან პლასტიკური — 1მმ-ზე მცირე სისქის ზონარი ადვილად წარმოიქმნება, დეფორმირდება მხოლოდ ძლიერი ზემოქმედების შედეგად.

მმრალი ნიადაგების კონსისტენცია ხასიათდება სიმყიფით, სიმაგრით, ზემოქმედებისადმი მაქსიმალური ნინაალმდეგობის განევის უნარით, დაშლის (დაკუთხულ ნატეხებად ან ფევნილისებრ მასად) მეტნაკლებად გამოხატული ტენდენციით. მშრალი ნიადაგების კონსისტენციის დასადგენად ნიადაგის ნიმუშს ხელით ტეხავენ და გამოყოფენ შესაბამის გრადაციებს: 1. მსუბუქი - ნიადაგის მასა ძალიან სუსტადაა ბმული და მყიფეა, იშლება ცალკეულ მარცვლებად (ან იფხვნება) ძალიან სუსტი ზემოქმედებით; 2. ნაკლებად მაგარი - ზემოქმედებისადმი სუსტ ნინაალმდეგობას ამჟღავნებს, თითებს შორის ნიმუში ადვილად იფშვნება ხელით, მაგრამ იშვიათად ტყდება თითებს შორის; 3. მაგარი - ზემოქმედებას ზომიერ ნინაალმდეგობას უწევს, ნიმუში ადვილად იფშვნება ხელით, მაგრამ იშვიათად ტყდება თითებს შორის; 4. ძალიან მაგარი - გამოიჩინევა ზემოქმედებისადმი ძლიერი ნინაალმდეგობით, ნიმუში მხოლოდ დიდი ძალდატანების შემდეგ იშლება; 5. განსაკუთრებულად მაგარი - ზემოქმედებას ძალიან ძლიერ ნინაალმდეგობას უწევს, შეუძლებელია ხელით ნიადაგის ნიმუშის დამტვრევა.

ნიადაგების საველე მორფოლოგიური აღნერის დროს ახასიათებენ როგორც აგებულების ცალკეულ კომპონენტებს (ფორიანობა, სიმკვრივე, სიმაგრე), ასევე ნიადაგის მასის საერთო აგებულებას. ნიადაგები ერთმანეთისგან განსხვავდებიან საერთო აგებულებით, რომელიც დამოკიდებულია ნიადაგნარმოქმნის ტიპსა და ასაკზე, ნიადაგნარმოქმნელ ქანებზე, ანთროპოგენურ ფაქტორზე. განსხვავდებენ ნიადაგების საერთო აგებულების შემდეგ ტიპებს: 1. ფხვიერი აგებულება - ნიადაგებში ნაწილაკები ან აგრეგატები ერთმანეთთან დაკავშირებული არ არიან ან მათ შორის კავშირი იმდენად სუსტია, რომ ნიადაგის მასა ადვილად იფშვნება მექანიკური ზემოქმედების (ამოთხრა, მოხვნა) შედეგად; 2. მკვრივი აგებულება - ნიადაგების ნაწილაკები ან აგრეგატები ერთმანეთთან საკმაოდ ძტყიცედ არიან დაკავშირებული და ნარმოქმნიან ერთიან მდგრად სხეულს, რომელიც მხოლოდ ძალის გამოყენებით იშლება; 3. დაწიდული აგებულება - უსტრუქტურო ნიადაგების ნაწილაკები და მიკროაგრეგატები ძალიან მტკიცედ არიან შეკავშირებული, ნარმოქმნიან ერთიან ბლანტ, გაჯირჯვებულ მასას ტენიან პირობებში, გამოშრობისას კი ძლიერ დანაპრალებული არიან მსხვილბელტოვან ან სვეტოვან ერთეულებად; 4. ქვიანი აგებულება - ნიადაგების ნაწილაკები, მიკროაგრეგატები ან კონკრეციები შეცემენტებულია ქვიან მასაში, რომელიც არ იშლება სპეციალური იარაღების გამოყენების გარეშე.

## ახალწარმონაქმნები

ნიადაგების პროცესში სხვადასხვა ფორმისა და შედგენილობის ნივთიერებების დაგროვებას ახალწარმონაქმნები ანუ ახალქმნილებები ეწოდება. ისინი ნარმოიქმნებიან და ილექტებიან ნიადაგების ჰორიზონტებში ქიმიური, ბიოლოგიური, ფიზიკური პროცესების, აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა უშუალო ზემოქმედების შედეგად. ახალწარმონაქმნები მორფოლოგიურად კარგად გამოხატული ნივთიერებებია, რომლებიც ფორმირდებიან ნიადაგნარმოქმნის პროცესში და ნიადაგის მასისგან განსხვავდებიან შედგენილობითა და აგებულებით. ნიადაგების ახალწარმონაქმნების კლასიფიკაცია ეფუძნება ორ ძირითად მახასიათებელს: 1. შედგენილობას და 2. ფორმას.

ახალწარმონაქმნები, შემადგენელი ნივთიერებების მიხედვით, იყოფიან შემდეგ ძირითად ჯგუფებად: 1. ადვილად სხნადი მარილები ( $\text{NaCl}$ ,  $\text{CaCl}_2$ ,  $\text{MgCl}_2$ ,  $\text{Na}_2\text{SO}_4$ ,  $\text{MgSO}_4$  და სხვ.); 2. თაბაშირი ( $\text{CaSO}_4 \times 2\text{H}_2\text{O}$ ); 3. კალციუმისა და მაგნიუმის კარბონატები ( $\text{CaCO}_3$ ,  $\text{MgCO}_3$ ); 4. რკინის, ალუმინის, მანგანუმის, ფოსფორის უანგები ( $\text{Fe}_2\text{O}_3$ ,  $\text{Al}_2\text{O}_3$ ,  $\text{Mg}_3\text{O}_4$ ,  $\text{P}_2\text{O}_5$ ); 5. კაუმინა ( $\text{SiO}_2$ ); 6. თიხამინერალები (სილიკატები); 7. ჰუმუსიანი ნივთიერებები.

ახალწარმონაქმნების ფორმები მრავალგვარია: ქერქი, ნაფიფქი, კრისტალები, ძარღვები, ფირფიტები, ნინნკლები (წერტილები), ცრუმიცელიუმი („ობი“), თვლები (ხალები), კონკრეციები, მინაგლესები, ლაქები, ნაღვენთები, ნანვეთები, ორტშტეინები, აფსკები, გამოხალები და სხვ.

ახალწარმონაქმნებს დიდი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვთ. სხვადასხვა ტიპის ნიადაგები ხასიათდებიან მათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ახალწარმონაქმნებით, რაც ნიადაგების საველე გამოკვლევების დროს აადვილებს დიაგნოსტიკას და ნიადაგების ტიპების დადგენას. ადვილად ხსნადი მარილების ახალწარმონაქმნები ახასიათებთ დამლაშებულ ნიადაგებს. ისინი მორფოლოგიური მრავალგვარობით გამოიჩინებან და დამოკიდებული არიან მარილების დაგროვების ხარისხზე. მარილების ახალქმნილებების ძირითადი ფორმებია: თეთრი ძარღვები, თეთრი ნინნკლები, მოთეთრო ნაფიფქები და გამონალექი, იშვიათად ფსევდომიცელიუმსაც ქმნიან. დამლაშების ხარისხის მიხედვით ნარმოიქმნება მარილიანი შრეები და სხვადასხვა სისქის მარილიანი ქერქი. თაბაშირის ახალწარმონაქმნები და მახასიათებელია მშრალი სტეპის ნიადაგებისთვის, საკმაოდ სპეციფიკურია და კარგად გამოიყოფა მორფოლოგიურად. ნიადაგებში ყველაზე ხშირად გამოვლენილია თაბაშირის ნერილერისტალური კონკრეციები, მსხვილი კრისტალები, ნაფიფქები, თეთრი ნინნკლები,

ფსევდომიცელუმი, თეთრი ძარღვები. ნახევრად უდაბნოს და უდაბ-ნოს ნიადაგებში ხშირად გამოიყოფა თაბაშირის ქერქები: გაჯი, წვრილერისტალური ან მსხვილკრისტალური შრეები. კაჟმინის ახალ-ნარმონაქმნი ე.ნ. კაჟმინის მინაფრქვევი, განსაკუთრებით დამახასია-თებელია ენერებისთვის და სოლოდებისთვის. ის ნარმოადგენს წვრილ მოთეთრო (რუს-მონაცრისფრო) ნაფიფქს აგრაგატების ზედა-პირზე. ნიადაგებში ასევე გავრცელებულია კაჟმინის ახალნარმონაქ-მნების შემდეგი ფორმები: მოთეთრო ლაქები, ენები (სოლები), ნაღ-ვენთები. ფართოდაა გავრცელებული კირიან-კაჟმინიანი ქერქი და შრეები, კაჟიან-თაბაშირიანი კონკრეციები. რკინის, ალუმინის, მან-განუმის და ფოსფორის ჟანგების ახალნარმონაქმნები გავრცელებუ-ლია ნითელმინებში, ყვითელმინებში და ასევე ტენიანი სუბტროპიკუ-ლი ზონის სხვა ნიადაგებში. რკინა-მანგანუმიანი ახალნარმონაქმნე-ბის ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა კონკრეცია, განსაკუთ-რებით ჭარბი დატენიანების პირობებში. ერთნახევარი ჟანგებისა და მანგანუმის ჟანგის ახალნარმონაქმნები ხასიათდებიან შემდეგი ფორ-მებით: ჟანგისფერი ნაოფლარები და ქერქები ნიადაგების ბზარებისა და აგრეგატების ზედაპირზე, ჟანგისფერი ლაქები და ღვენთილები. რკინის ქვეჟანგების ახალნარმონაქმნები დამახასითებელია ჭაობიანი ნიადაგებისთვის. მათი გავრცელებული ფორმებია: მომტრედისფერო აფსეები, მომწვანო რუხი ლაქები, ლურჯი ვივაინიტის ნაოფლარები და კონკრეციები.

ნიადაგებში საკმაოდ გავრცელებულია კარბონატების ახალნარ-მონაქმნები. ისინი გავრცელებულია სხვადასხვა ბუნებრივ ზონებში, კარბონატული ქანების არეალში. კარბონატები სხვადასხვა ფორმის ახალქმნილებებს ნარმოქმნიან: გამონალექს, ძარღვებს, ნაფიფქს, ნინნკლებს, ფსევდომიცელუმს („ობს“), ხალებს (თვლებს), კონკრე-ციებს, კრისტალებს. ეს ახალნარმონაქმნები ყველაზე ახალგაზრდა ფორმებია. ქერქი, ჯავშანი, შრეები ნარმოადგენენ ნიადაგნარმოქმ-ნის ძეველ პირობებთან დაკავშირებულ ნარმონაქმნებს. ველზე კარ-ბონატულობა განისაზღვრება ნიადაგის მასაზე 10% HCL-ის ზემოქმე-დებით. როდესაც ნიადაგი კარბონატულია, მაშინ მარილმჟავასთან ურთიერთობისას შიშინებს (შხეუის) და გამოიყოფა ნახშირორჟანგი ბუშტების სახით. მარილმჟავას ზემოქმედებაზე მაგნიუმის კარბონა-ტები რეაგირებენ გაცილებით სუსტად, ვიდრე კალციუმის კარბონა-ტები. ნიადაგის ჰორიზონტებზე 10% HCL-ის ზემოქმედებით აღინიშნე-ბა შემდეგი ვარიანტები: 1. არ შიშინებს; 2. შიშინი თვალით არ შეიმჩ-ნევა; 3. შიშინი თვალით შესამჩნევია; 4. ძლიერ შიშინებს - რეაქციის შედეგად ნარმოქმნება ქაფი და ჩნდება ბუშტები; 5. ძალიან ძლიერ

შიშინებს — რეაქციის შედეგად წარმოიქმნება სქელი ქაფი, ძლიერ შხვის და გამოიყოფა ბეკრი ბუშტი.

ნიადაგებში გავრცელებულია ბიოლოგიური წარმოშობის ახალქ-მნილებები: ნაჭიარი, ნაფესურები, ნათხუნელარი. ნიადაგებში თრიას, ზაზუნას, თხუნელას და სხვ. ცხოველების მოძრაობით ჩნდება ახალქ-მნილი „სოროები“, რომლებიც ამოვსებულია ზემოდან ჩამოტნილი ჰუმუსოვანი ნივთიერებებით. ჭიაყელებისა და სხვა ჭიების კუჭ-ნან-ლავიდან ექსკრემენტების სახით გამოყოფილი ლორწოვანი ნივთიე-რებები მცირე გორგლების სახით ნიადაგის მასას აწებებენ და წარ-მოქმნიან ე.ნ. ზოოლოგიურ ახალქმნილებებს.

თიხამინერალები წარმოქმნიან სპეციფიკურ ახალწარმონაქმ-ნებს: თიხის აფსკებს, თიხის ნაღვენთებს, თიხის ქერქებს სტრუქტუ-რული ერთეულების ზედაპირზე. ნიადაგებში ფართოდა გავრცელე-ბული თიხა-ჰუმუსიანი აფსკები და ნაღვენთები აგრეგატების ნახა-გებზე, ასევე ხშირია მილისებრი ფორმის ჰუმუსიან-თიხიანი ახალ-წარმონაქმნი ფესვების გასავალზე. ორგანული წარმოშობის ახალ-წარმონაქმნებიდან ალსანიშნავია ჰუმუსის აფსკები და ღვენთილები აგრეგატების ზედაპირზე პრიალა ლაქებისა და ზოლების სახით. ჰუ-მუსის ახალწარმონაქმნების ფორმებს ასევე წარმოადგენს ჰუმუსის ლაქები, სოლები და ჰუმუსის ქერქი.

კუტანი ეწოდება ახალწარმონაქმნებს, რომლებიც გამოვლენი-ლია აფსკების სახით აგრეგატების, ჩანართებისა და ქვების ზედა-პირზე. ის აერთიანებს: თიხის აფსკებსა და ღვენთილებს, რკინის ლა-ქებსა და აფსკებს, მანგანუმის აფსკებს, კაუმინის მინაფრქვევებს, კარბონატულ ცრუმიცელიუმებს, ქერქებს, ნაფიფქებს, მინაგლესებს. კუტანი არის ნიადაგის მასალის ბუნებრივი ზედაპირების აგებულე-ბაში, მექანიკურ შედგენილობასა და სტრუქტურაში მომხდარი ცვლი-ლება, რომელიც გამოწვეულია ნიადაგის ცალკეული კომპონენტების კონცენტრაციით „in situ“. კუტანები დაყოფილია ადგილმდებარეობის მიხედვით: აგრაგატების კუტანები, ზედაპირის კუტანები, ფორმების კუტანები. შედგენილობის მიხედვით განასხვავებენ შემდეგ კუტა-ნებს: თიხიანი, ერთნახევარი უანგების, მანგანუმის ოქსიდების, კალ-ციუმის კარბონატის, თაბაშირის, ნებალესნადი მარილების, კაუმინის, რთული (მედგება რამდენიმე მასალისგან).

საველე ანალიზის დროს კუტანები აღინიერება შემდეგი მაჩვენებ-ლებით: რაოდენობა, ბუნება, ადგილმდებარეობა, გამოხატულების სიმკვეთრე. კუტანის რაოდენობას ადგენენ მის მიერ გადაფარული აგრეგატების ზედაპირების მიხედვით და სარგებლობენ ნომრგრა-მით, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა შემდეგი გრადაციები: 1. 0% - არ არის; 2. 0-2% - ძლიან ცოტა; 3. 2-5% - ცოტა; 4. 5-15%-საშუალო; 5.

15-40% - ბევრი; 6. 40-80% - ძალიან ბევრი. კუტანის ბუნება აღინერება შემდეგნაირად: თიხიანი; თიხა-ერთნახევარ უანგეულებიანი; თიხა-ჰუმუსიანი; დატყებილი ზედაპირები; ნანილობრივ გადაკვეთილი „სლიქენსაიდები“ (გაპრიალებული და ღრმულიანი ზედაპირები, რომლების წარმოიქმნებიან ერთი მასას მეორეზე სრიალით); ძლიერად გადაკვეთილი „სლიქენსაიდები“; მგზინავი ზედაპირები. ადგილმდებარეობის მიხედვით კუტანები გამოიყოფიან: აგრეგატის ზედაპირზე; აგრეგატის ვერტიკალურ ზედაპირზე; აგრეგატის ჰორიზონტალურ ზედაპირზე; მსხვილი ფრაგმენტები; ფენები (თიხის გუნდები); ფორებში; არ აქვს სპეციფიკური ადგილმდებარეობა. გამოხატულების სიმკვეთრის ანუ კონტრასტულობის მიხედვით აღინერება სუსტი, განსხვავებული და შესამჩნევი კუტანები.

ახალწარმონაქმნების საველე დააგნოსტიკის დროს აუცილებელია აღინიშნოს მათი შემდეგი ჰარამეტრები: ადგილმდებარეობა, ფერი, ფორმა, ზომა, რაოდენობა. მათი მორფოლოგიური აღნერისას გამოიყენება ლანცეტი, ლუპა, მანსელის ფერთა სკალა.

## ჩანართები

ჩანართები წარმოადგენენ ნიადაგის პროფილში კარგად გამოყოფილ მორფოლოგიურ ელემენტებს, რომლებიც გენეზისურად არ არიან დაკავშირებული ნიადაგნარმოქმნის პროცესებთან. ჩანართები ენოდება ნიადაგში შემთხვევით მოხვედრილ სხეულებს, რომლებიც ორგანული ან მინერალური წარმოშობისაა. ჩანართების კლასიფიკაციაში გამოყოფენ ორ ჯგუფს: ანთროპომორფები და ბიომორფები.

ანტროპომორფები არიან ანთროპოგენური ჩანართები: აგურის ნატეხები, მინის ნამსხვრევები, კერამიკის ნამტვრევები, ლითონის საგნები, ნამარხი ნაშთები.

ბიომორფები მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ჩანართებია: ცხოველების ძვლები, მოლუსკის ნიჟარები, ფესვების და ღეროების ნამარხი ნაშთები.

ჩანართებს ნიადაგის თვისებების დასადგენად არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით ნიადაგების ასაკის განსაზღვრისთვის, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ჩანართებით-არქეოლოგიური ნარჩენებით.

## ფესვები

ნიადაგების და მათი ცალკეული ჰორიზონტების მნიშვნელოვან დიაგნოსტიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს მცენარეთა ფესვების რაოდენობა და მათი გავრცელების სიღრმე. აქედან გამომდინარე, საველე დიაგნოსტიკის დროს, დეტალურად აღნიერება მცენარეთა ფესვთა სისტემის განაწილების ხასიათი - ფესვების ზომები და რაოდენობა. ნიადაგების პროფილის მორფოლოგიური ანალიზისას ფესვების რაოდენობას ისე აღნიერენ, როგორც ეს ჩანს ჰორიზონტებში.

ნიადაგების პროფილში ფესვების განაწილების დახასიათებისთვის ადგენენ: 1. ფესვების რაოდენობას და 2. ზომებს.

ფესვების რაოდენობის აღნიერისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი მაჩვენებლები: 1. არ არის ფესვი — ფესვები არ ჩანს; 2. ერთეული ფესვები — 1-2 ფესვი; 3. იშვიათად ფესვები — 3-7 ფესვი; 4. ცოტა ფესვი — 7-15 ფესვი; 5. ბევრი ფესვი — თითოეულ კვადრატულ დეციმეტრზე არის რამდენიმე ფესვი; 6. ხშირი ფესვები — ფესვები ქმნიან ერთიან ქსელს; 7. კორდი — ჰორიზონტის მოცულობის 50%-ზე მეტს ფესვები შეადგენენ.

ფესვების ზომების (მმ) დახასიათებისთვის გამოყენება შემდეგი მაჩვენებლები: 1. ძალიან წვრილი ფესვები — 1-2 მმ; 2. წვრილი ფესვები — 2-5 მმ; 3. საშუალო ფესვები — 5-10 მმ; 4. საშუალო ფესვები — 5-10 მმ; 5. მსხვილი ფესვები — >10 მმ.

## ტენიანობა

ნიადაგების პროფილების მორფოლოგიური აღნიერის დროს საჭიროა ვიზუალურად განისაზღვროს ტენიანობა, რომელიც ფასდება ცალკეული ჰორიზონტის ტენიანობით, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს მთლიანი პროფილის დატენიანების ხარისხს. აღნიშნული ტენიანობა არ წარმოადგენს დიაგნოსტიკურ თვისებას, რამდენადაც მნიშვნელოვნად და სწრაფად ცვალებადობს დროში. საველე პირობებში ტენიანობის განსაზღვრა მიახლოებითა, რაც სრულიად საკმარისია მორფოლოგიური ანალიზის თვალსაზრისით. ტენიანობა გათვალისწინებული უნდა იქნას სხვა დიაგნოსტიკური თვისებების (ფერი, სტრუქტურა, აგებულება) დასადგენად.

ტენიანობის საველე აღნიერისას გამოყენებული უნდა იქნას შემდეგი კრიტერიუმები: 1. მშრალი ნიადაგი — ხელის შეხებით ტენი არ იგრძნობა, გამოშრობისას არ ღიავდება და წყლის დამატებით მუქდე-

ბა, ხელს არ აცივებს; 2. მონესტიანო ნიადაგი — არ მტვრიანდება თი-თებშუა მოსრუსვით, ხელის შეხებისას სიგრილე იგრძნობა, გამოშრო-ბისას უმნიშვნელოდ ღიავდება, წყლის დამატებით მუქდება; 3. ნეს-ტიანი ნიადაგი — თითების შეხებით სინესტე იგრძნობა და ნიადაგი ატენიანებს ფილტრის ქალალდს. გამოშრობისას მნიშვნელოვნად ღი-ავდება, წყლის დამატებით არ მუქდება; 4. ტენიანი ნიადაგი — ხელის შეხებით ტენი იგრძნობა, გამოშრობის დროს ღიავდება, წყლის დამა-ტებით არ მუქდება; 5. სველი ნიადაგი — ნიადაგის ნიმუშის თითებშუა მოსრუსით ან გატეხვის შემდეგ ჩანს წყლის წვეთები, დასველებით ფერს არ იცვლის; 6. ძალიან სველი — ნიადაგის ნიმუშზე ჩანს წყლის წვეთები ან ნიადაგური ჭრილის კედელზე წყალი მოჟონავს, დასვე-ლების შედეგად ფერს არ იცვლის.

ნიადაგების საველე დიაგნოსტიკის დროს, მორფოლოგიური ანა-ლიზის გარდა, შესაძლებელია ნიადაგების ზოგიერთი ქიმიური თვი-სების განსაზღვრა, რისთვისაც საჭიროა შესაფერისი რეაქტივები (მარტივი ქიმიური რეაქციებისთვის) და აპარატურა.

pH - ის საველე განსაზღვრა. ნიადაგის რეაქციას ადგენენ გენეზი-სური პორიზონტიდან აღებული ნიმუშის წყლის გამონაწურის (1: 2,5) pH-ის მიხედვით, რისთვისაც იყენებენ პორტატულ pH-მეტრს.

საველე დიაგნოსტიკის დროს, ნიადაგის არეს ხარისხობრივი შე-ფასებისას, საქმარისია შემდეგი გრადაციების მითითება: 1. <6,0-6,5-მუავე; 2. 6,5-7,5 — ნეიტრალური; 3. >7,5 ტუტე.

ადვილად ხსნადი მარილების საველე განსაზღვრა. საველე პირო-ბებში ადვილად ხსნადი მარილების შემცველობა შესაძლებელია მიახ-ლოებით განისაზღვროს წყლის გამონაწურში (1:5), ელექტროკონ-დუქტორეტრის (EC) გამოყენებით.

საველე დიაგნოსტიკის დროს ნიადაგების დამლაშების ხარისხს აფასებენ გამონაწურის ელექტროგამტარობის (დეცისიმენსი/მ ან მი-ლისიმენსი/სმ) მიხედვით და გამოყოფენ შემდეგ გრადაციებს: 1. <4 — არ არის დამლაშებული; 2. 4-16 — დამლაშებული; 3. >16 — ძალიან დამლაშებული (ადვილად ხსნადი მარილების შემცველობა აღემატება 1%-ს).

საველე პირობებში ნიადაგის ზოგიერთი ქიმიური ნივთიერების მხოლოდ თვისობრივი განსაზღვრაა შესაძლებელი, მათი რაოდენობ-რივი შესწავლა ლაბორატორიული კვლევის საგანს ნარმოადგენს.

## დანართები

1. ნიადაგური მაჩვენებლების გრადაცია
  1. ნიადაგური ხსნარის რეაქცია
 

ძლიერ მუავე	< 4,5
მუავე	4,5 — 5,5
სუსტად მუავე	5,5 — 6,5
ნეიტრალური	6,5 — 7,5
სუსტად ტუტე	7,5 — 8,0
ტუტე	8,0 — 9,0
ძლიერ ტუტე	> 9,0
  2. ჰუმუსის შემცველობა (პროცენტული მშრალ ნონაკზე)
 

ძალიან მაღალი	> 10
მაღალი	6 — 10
საშუალო	4 — 6
დაბალი	2 — 4
ძალიან დაბალი	< 2
  3. ჰუმუსის ჯეუფური შედგენილობა (ჰუმინის მუავების ნახშირ-ბადის შეფარდება ფულვომუავების ნახშირბადთან, C/C<sub>0</sub>)
 

ფულვატური	< 0,5
ჰუმატურ-ფულვატური	0,5 — 1
ფულვატურ-ჰუმატური	1 — 2
ჰუმატური	> 2
  4. ბთანთქმის ტევადობა (მგ-ეკვ 100 გ ნიადაგ ზე)
 

მცირე	< 20
საშუალო	20 — 40
დიდი	> 40
  5. ბიცობიანობის ხარისხის მიხედვით (ბთანთქმული კატიონების ჯამიდან გაცვლითი Na-ს შემცველობით, %)
 

სუსტად ბიცობიანი	5 — 10
საშუალოდ ბიცობიანი	10 — 15
ძლიერ ბიცობიანი	15 — 20
ბიცობები	> 20
  6. ბიცობების დაყოფა სვეტოვანი პორიზონტის ზედა საზღვრის მდებარეობის სიღრმის მიხედვით (სმ)
 

ქერქოვანი	0 — 5
ნერილქერქოვანი	5 — 10
ღრმად ქერქოვანი	10 — 20

## 2. საქართველოს ნიადაგების ძირითადი მაჩვენებლები

ნიადაგი	pH <sub>H2O</sub>	ჰუმური ზედა ჰორიზო- ნტში, %	C <sub>3</sub> /C <sub>2</sub>	შთანხმის ფევეროგა, გგ-ეკვ/100 გ.6.	ლეპს განაცილე- ბა
წითელ- მიწა	4,0-5,5	3 - 6	0,6 - 0,9	10 - 25	ელუვიურ- ილუვიური
ყვითელ- მიწა	4,5-6,0	3 - 6	0,7 - 0,9	15 - 35	ელუვიურ- ილუვიური
ჭაობიანი	6,5-7,5	3 — 5	1,2 - 1,7	25 — 40	აკუმულა- (ტიური)
ყვითელ- მიწა-ენერი	4,5-5,5	3 — 5	0,7 - 0,9	15 — 35	ელუვიური
ყვითელმი- წა-ენერ- ლებიანი	5,5-7,0	3 — 6	0,8 - 1,1	20 — 35	ელუვიურ- ილუვიური
ყვითელ- ყომრალი	5,0-6,0	3 — 13	0,7 - 0,9	20 — 40	ელუვიურ- ილუვიური
ყომრალი	5,5-7,0	3 — 8	0,9 - 1,1	25 — 45	ელუვიურ- ილუვიური
ყომრალ- შავი	6,0-6,5	4 — 9	0,9 - 1,2	30 — 45	აკუმულა- (ტიური)
კორდიან- კარბონა- ტული	7,0-8,0	4 — 11	1,1 - 1,8	25 — 45	აკუმულა- (ტიური)
ყავისფე- რი	6,5-8,0	3 — 5	1,0 - 1,8	25 - 45	აკუმულა- (ტიური)
მდელოს- ყავისფე- რი	6,5-8,0	3 — 6	1,0 - 1,6	30 — 45	შუათანა- აკუმულა- (ტიური)
რუხი-ყა- ვისფერი	7,5-8,5	1 — 3	1,8 - 2,0	30 — 45	შუათანა- აკუმულა- (ტიური)
მდელოს- რუხი ყა- ვისფერი	7,5-8,5	2 — 4	1,7 - 1,9	30 — 45	შუათანა- აკუმულა- (ტიური)
შავი	6,5-7,0	3 — 5	1,7 - 1,9	40 — 50	აკუმულა- (ტიური)
შავნიწა	6,5-7,0	3 — 7	1,5 - 1,8	40 — 60	აკუმულა- (ტიური)

მთა-ტყე- მდელოს	4,5-5,5	4 — 10	0,8 - 0,9	15 — 25	აკუმულა- ციური
მთა- მდელოს	4,0-6,5	3 — 9	0,8 - 0,9	15 — 35	აკუმულა- ციური
მთა-ტყე- მდელოს შავმიწი- სებრი	5,5-6,5	3 — 10	0,8 - 0,9	20 — 40	აკუმულა- ციური
დამლაშე- ბული	7,0-8,0	2 — 4	1,5 - 2,2	35 — 45	თანაბარი
ალუვიუ- რი	7,0-8,0	2 - 5	1,4 - 1,9	25 - 40	აკუმულა- ციური

## ლიტერატურა

1. ნიადაგების რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზა, 84, თბილისი, 2005.
2. საქართველოს ნიადაგების რუკა. მასშტაბში 1 : 500 000 (პროფ. თ. ურუშაძის რედაქტორობით), „კარტოგრაფია“, თბილისი, 1999.
3. თენგიზ ურუშაძე - საქართველოს ძირითადი ნიადაგები. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1997.
4. თენგიზ ურუშაძე - ნიადაგების კლასიფიკაცია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2013.
5. თ. ურუშაძე, ა. ბაჯელიძე, შ. ლომინაძე - ნიადაგმცოდნეობა. გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2011.
6. თენგიზ ურუშაძე, ვინფრიდ ბლუმი - ნიადაგების გეოგრაფია ნიადაგმცოდნეობის საფუძვლებით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2011.
7. თენგიზ ურუშაძე, ლია მაჭავარიანი - პრაქტიკული ნიადაგ-მცოდნეობაში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2012.
8. თენგიზ ურუშაძე, ეკატერინე სანაძე, თამარ ქვრივიშვილი - ნიადაგის მორფოლოგია, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 2010.